

პროექტის ნომერი: 53118-001  
2021 წ. აგვისტო  
განახლებულია 2023 წლის ნოემბერში

საქართველო: საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების  
საინვესტიციო პროგრამა თანაბარი განვითარებისთვის

საბავშვო ბაღის მშენებლობა  
თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში  
პაკეტი LCIP-CW-011b

მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ),  
რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს  
მთავრობის მიერ, აზიის განვითარების ბანკისთვის (აგბ)

**ვალუტის ეკვივალენტები**  
(2023 წ. 03 ნოემბრის მდგომარეობით)

ვალუტის ერთეულები – ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი)

1.00 აშშ დოლარი = 2.7200 ლარს

**წონა და ზომები**

ჰა	–	ჰექტარი
კმ	–	კილომეტრი
კმ <sup>2</sup>	–	კვადრატული კილომეტრი
მ	–	მეტრი
მ <sup>3</sup>	–	კუბური მეტრი
მმ	–	მილიმეტრი

**შენიშვნა**

წარმოდგენილ ანგარიშში, “\$” აღნიშნავს აშშ დოლარს

წარმოდგენილი პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების პროექტის განახლებული ვერსია სესხის ამღების დოკუმენტს წარმოადგენს. დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები შესაძლოა არ წარმოადგენდეს აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს, ხელმძღვანელობის ან პერსონალის მოსაზრებებს და ატარებდეს წინასწარ ხასიათს.

რომელიმე ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადების პროცესში, პროექტის დაფინანსების ან აღნიშნულ დოკუმენტში რომელიმე კონკრეტული ტერიტორიის, ან გეოგრაფიული არეალის მოხსენიებისას, აგბ-ის განზრახვას არ წარმოადგენს რომელიმე ტერიტორიის ან არეალის სამართლებრივი, ან სხვა სტატუსის განხილვა.

### აბრევიატურები

AASHTO	სატრანსპორტო გადაზიდვებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეების ამერიკული ასოციაცია
ADB	აზიის განვითარების ბანკი
AP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი
CC	სამშენებლო კომპანია
CH	კულტურული მემკვიდრეობა
Covid-19	დაავადება კორონავირუსი 2019
CSC	მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტნტი
CWUW	ურბანული განვითარების და წყლის განყოფილება, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
dB	დეციბელი
DED	დეტალური საინჟინრო პროექტი
EA	აღმასრულებელი ორგანიზაცია
EAC	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექი
EARF	გარემოს შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი
EHS	გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EM	გარემოსდაცვითი მენეჯერი
EMP	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა
EMP	გარემოს დაცვის მართვის გეგმა
ERP	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
EU	ევროკავშირი
GEO	საქართველო
GIS	გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა
GOG	საქართველოს მთავრობა
GRC	საჩივრების მოგვარების კომისია
GRM	საჩივრების მოგვარების მექანიზმი
HSP	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმები
IA	განმახორციელებელი ორგანიზაცია
IBA	ფრინველების მნიშვნელოვანი არეალი
IEE	პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IUAP	ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმები
IUCN	ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანება

LARP	მიწის შექმნის და განსახლების გეგმა
LCIP	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა
MDF	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MoEPA	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MPC	მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები
MRDI	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NACHP	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
NEA	ეროვნული გარემოს დაცვის სააგენტო
REA	სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასება
SAEMR	ნახევარი წლის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიში
SanN&R	სანიტარული სტანდარტები და წესები
SEAH	სექსუალური ექსპლოატაცია, შეურაცხყოფა და შევიწროება
SOP	სტანდარტული სამოქმედო პროცედურები
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი
SSEMP	სამშენებლო მოედნის სპეციფიკური გარემოს დაცვის მართვის გეგმა
STP	კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა
SWM	მყარი ნარჩენების მართვა
SWMCG	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
TRTA	ტრანზაქციის ტექნიკური დახმარება
TSP	შეწონილი ნაწილაკების ჯამური მოცულობა
USIIP	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა
WMP	ნარჩენების მართვის გეგმა
µg	მიკროგრამი

## სარჩევი

### ანოტაცია

- A. პროექტის შინაარსი, ზემოქმედება, შედეგი და შედეგები
- B. გარემოსდაცვითი კატეგორიები და გარემოსდაცვითი კომპლექსური კვლევა
- C. ალტერნატიული ვარიანტები
- D. არსებული მდგომარეობა
- E. ძირითადი ზემოქმედების იდენტიფიკაცია
- F. ძირითადი მართვა და შემარბილებელი ღონისძიებები
- G. მონიტორინგი
- H. დასკვნები და რეკომენდაციები

### II. შესავალი

- A. ზოგადი ინფორმაცია
- B. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების მიზანი

### III. პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

- A. ქვეყნის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკა
- B. გარემოს დაცვის რეგულაციები და სტანდარტები
- C. საერთაშორისო გარემოს დაცვითი შეთანხმებები და მათი გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ფარგლებში
- D. აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის გარემოსდაცვითი მოთხოვნები
- E. ქვეყნის და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისობა
- F. ადმინისტრაციული ჩარჩო

### IV. პროექტის აღწერა

### V. ალტერნატივების ანალიზი

### VI. საბაზისო გარემო

- A. ზოგადი აღწერა
- B. გეოლოგია, გეომორფოლოგია და სახიფათო გეოლოგიური პროცესები

- C. კლიმატი და ჰაერის ხარისხი
- D. ხმაური და ვიბრაცია
- E. ჰიდროლოგია
- F. ნიადაგები
- H. სოციალურ-ეკონომიკური გარემო
- J. კულტურული მემკვიდრეობა
- K. ტურიზმი

VII. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები

- A. მეთოდოლოგია
- B. მოკლე ინფორმაცია ღონისძიებებისა და მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ
- C. საჭირო გარემოსდაცვითი დოკუმენტები
- D. ჰაერის ხარისხი
- E. ხმაური და ვიბრაცია
- F. წყლის ხარისხი
- G. ნიადაგის ხარისხი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა
- H. ბიოლოგიური გარემო
- I. ნარჩენების მართვა
- J. საგზაო მოძრაობა
- K. არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები
- L. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ადგილობრივი საზოგადოებისთვის
- M. შრომითი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რისკები

VIII. ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაცია და მონაწილეობა

- A. კონსულტაციები მონაწილე მხარეებთან
- B. საჩივრების მოგვარების მექანიზმი

IX. გარემოს დაცვის მართვის და მონიტორინგის გეგმები

- A. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (EMP)
- B. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (EMP)

## X. დასკვნები და რეკომენდაციები

### A. დასკვნები

### B. რეკომენდაციები

დანართი A. ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

Error! Bookmark not defined.

დანართი B. მონაწილე მხარეებთან ონლაინ შეხვედრის ოქმები

### ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. საქართველოს მთავრობის მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და კონკრეტული მოთხოვნები საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან დაკავშირებით

ცხრილი 2. ჰაერის ხარისხის სტანდარტები

ცხრილი 3. საქართველოს სტანდარტები ხმაურის დონეებთან დაკავშირებით

ცხრილი 4. ხმაურის დონის მოქმედი სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით

ცხრილი 5. სამუშაო გარემოს ხმაურის მოქმედი ზღვრები, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით

ცხრილი 6. ვიბრაციის ზოგადად დასაშვები ზღვრები საქართველოში

ცხრილი 7 AASHTO-ს ვიბრაციის დონეების მაქსიმალური ზღვრები, დაზიანების თავიდან აცილების მიზნით

ცხრილი 8. სხვადასხვა ნაერთების და ელემენტების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციები ნიადაგში

ცხრილი 9. სასმელი წყლის კრიტერიუმები

ცხრილი 10. ზედაპირული წყლის ხარისხთან მიმართებაში მოქმედი სტანდარტები

ცხრილი 11. წყლის ხარისხის მოთხოვნები წყლის მოხმარების კატეგორიით

ცხრილი 12. დამუშავებული (გაწმენდილი) საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების დაცლის წინასწარი შეფასება

ცხრილი 13. საჭირო ნებართვები და თანხმობები

ცხრილი 14. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან მიმართებაში მოქმედი საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები

ცხრილი 15. სახელმწიფო და აგბ-ის უსაფრთხოების მოთხოვნების შედარებითი ანალიზი

- ცხრილი 16. კონკრეტული პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედება
- ცხრილი 17. პროექტის შესაძლო ზემოქმედება საზოგადოების უსაფრთხოებაზე
- ცხრილი 18. მუშების უსაფრთხოების ასპექტი
- ცხრილი 19. გარემოს დაცვის მართვის ხარჯები
- ცხრილი 20. გარემოსდაცვითი მართვის მატრიცა
- ცხრილი 21. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა
- ცხრილი 22. ხმაურის და ვიბრაციის ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 23. წყალზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 24. ნიადაგზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 25. გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 26. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 27. ვიზუალურ/ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 28. სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები
- ცხრილი 29. ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

### **გამოსახულებების ნუსხა**

- გამოსახულება 1. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზა
- გამოსახულება 2. საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობა
- გამოსახულება 3. გენ. გეგმა
- გამოსახულება 4. საბავშვო ბაღის შენობის რენდერი
- გამოსახულება 5. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები
- გამოსახულება 6. სამშენებლო ობიექტის ორგანიზაციის სქემა
- გამოსახულება 7. მგრძნობიარე რეცეპტორები
- გამოსახულება 8. აზომვის წერტილები
- გამოსახულება 9. საჩივრების მოგვარების მექანიზმი
- გამოსახულება 10. საჩივრების ფორმა



## ანოტაცია

1. 2016 წლის ნოემბრიდან აზიის განვითარების ბანკმა (ADB) მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის (GoG) ქალაქის განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომის კურსს, შერჩეული ურბანული კლასტერების სტრატეგიული დაგეგმარების გაუმჯობესებით, უფრო დაბალანსებული რეგიონული განვითარების მისაღწევად - ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმების (IUAP) მომზადებით. აღნიშნულზე დაყრდნობით, მთავრობამ აგბ-თან ურთიერთობაში პრიორიტეტად დასახა გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ურბანული ინვესტიციების განხორციელება, მიზანშეწონილობის კვლევებისა და უსაფრთხოების კომპლექსური შემოწმების გათვალისწინებით, რაც მოიცავს ინტეგრირებულ გადაწყვეტებს, რომელსაც მოქალაქეებისათვის თანა-სარგებელი მოაქვს ურბანული კლასტერების განვითარების კუთხით, მათ შორის წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესების (ქსელისგარეთა გადაწყვეტების ჩათვლით), ურბანული ტრანსპორტისა და გადაადგილების (მათ შორის, არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი), მყარი ნარჩენების მართვის, ეკონომიკური კორიდორების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის, წყალდიდობების კონტროლისა და სადრენაჟე სისტემების, ურბანული უსაფრთხოებისა და ადაპტაციის უნარის ჩათვლით და ა.შ.
2. დაბალანსებული რეგიონული განვითარების დაჩქარების მიზნით, პრიორიტეტულია ძირითადი ურბანული მომსახურებისა და ტრანსპორტის მხარდაჭერა, განსაკუთრებით პატარა და რეგიონულ ქალაქებში, რომლებიც ტურიზმის, აგრობიზნესისა და რეგიონალური ვაჭრობის პოტენციური კერაა, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი. სტაბილური შედეგების მისაღწევად და ინფრასტრუქტურული პროექტების ოპერატიული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მმართველობა და შესაძლებლობების განვითარება უნდა განხორციელდეს შემდგომ პროექტებში.
3. საქართველოს მთავრობა გამოვიდა საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ამუშავების ინიციატივით საქართველოს და თბილისის მასშტაბით ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. პროგრამა (LCIP) ხელს შეუწყობს ურბანული კლასტერების სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებას მჭიდროდ დაკავშირებული შემდეგი სახის შედეგებით:
  - (i) ურბანული ინფრასტრუქტურისა და სამსახურების გაუმჯობესებული კომპეტენტურობა და ეფექტიანობა;
  - (ii) რეგიონული ტურისტული კლასტერების ხელმისაწვდომობის, კავშირისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება;
  - (iii) ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განხორციელებისა და მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება,

- (iv) ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული გარემო: ახალი სათამაშო მოედნები ბავშვების მოტორიკის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხო შენობა - სახანძრო სიგნალიზაციისა და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით, სუფთა და თანამედროვე სანიტარული ინფრასტრუქტურა, მათ შორის სველი წერტილები და სამზარეულო;
  - (v) საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება; მეტი სივრცე ერთ სულ ბავშვზე და ერთ სულ აღმზრდელზე; საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური შენობა;
  - (vi) გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები ბავშვებისა და აღმზრდელებისათვის;
  - (vii) ინკლუზიური, ბავშვზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა;
  - (viii) სოციალური ზემოქმედება - მოსახლეობის გაზრდილი შემოსავალი განხორციელების პროცესში (მუშახელის დასაქმება) და მშენებლობის დასრულების შემდეგ;
  - (ix) მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, რაც თავის მხრივ შეამცირებს ახალგაზრდების ალკოჰოლზე დამოკიდებულებას და მათ მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას;
  - (x) ახალი სპორტკომპლექსები ხელს შეუწყობს ათლეტების წარმატებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის ახალგაზრდა მოსახლეობისათვის, რადგანაც თემის წარმომადგენლები ხშირად აღწევენ ხელშესახებ წარმატებას საერთაშორისო არენაზე სპორტის ისეთ სახეობებში, როგორცაა წყალბურთი, სინქრონული ცურვა და ა.შ.
4. საბავშვო ბაღის მშენებლობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ერთ-ერთ (ქვე) პროექტს წარმოადგენს. პროექტი მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის.
5. პროექტით გათვალისწინებულია 6 ჯგუფზე (120 ბავშვი) გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ კურდღელაურში. საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობია 4025 მ<sup>2</sup>, საკადასტრო კოდი: 53.07.43.034. მიწის ნაკვეთი თელავის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების საკუთრებას წარმოადგენს. ახალი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის ფართობია 927.93 მ<sup>2</sup>, ხოლო მთლიანი ფართობი: 1398.42 მ<sup>2</sup>. მიწის ნაკვეთის დანარჩენ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის ეზოს, მასზე კი სათამაშო მოედნების და მწვანე კუნძულების მოწყობა.

6. პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. პროექტის ფარგლებში არც ერთი სამუშაო არ განხორციელდება დაცულ ტერიტორიებზე, ზურმუხტის უბნებსა თუ ტყეებში ან აღნიშნული ტერიტორიების სიახლოვეს.
7. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო დებულებების, წესების და რეგულაციების თანახმად, ის სამუშაოები, რომლებიც არ შედის საქართველოს გარემოზე ზემოქმედების კოდექსის 1 და მე-2 დანართებში, არ საჭიროებენ გარემოსდაცვით სკრინინგს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ან სახელმწიფო ნებართვას.
8. დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, საჭირო გახდა პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) განახლება. ხმაურის, ვიბრაციისა და ჰაერის ხარისხის შესახებ საბაზისო ინფორმაციის ჩართვა საშუალებას იძლევა ამომწურავად გავიგოთ პროექტის პოტენციური ზემოქმედება გარემოზე. ეს ინფორმაცია გვეხმარება ისეთი ათვლის წერტილის ჩამოყალიბებაში, რომლის მიხედვითაც შეიძლება განხორციელდეს მომავალი შეფასებები შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესაფასებლად.
9. მგრძობიარე რეცეპტორების დაზუსტება გადამწყვეტია მოწყვლად ტერიტორიებზე ან თემებზე პოტენციური ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და გამკლავებისათვის. ამ რეცეპტორების იდენტიფიცირებით, პროექტს შეუძლია განახორციელოს ზომები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ან შეამსუბუქოს ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება და უზრუნველყოს ამ მგრძობიარე ტერიტორიების დაცვა.
10. არსებული ნაგავსაყრელი ობიექტების და წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის დაზუსტება მნიშვნელოვან დეტალებს უზრუნველყოფს პროექტის ნარჩენების მართვის პრაქტიკის შესახებ. ეს საშუალებას იძლევა შეფასდეს ნარჩენების წარმოქმნასთან და განკარგვასთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედება გარემოზე და შემუშავებულ იქნეს ნარჩენების მართვის შესაბამისი სტრატეგიები ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.
11. ჭარბი ნიადაგის გამოყენების დანიშნულების დადგენა აუცილებელია ნიადაგის გადაადგილებასთან ან განკარგვასთან დაკავშირებული მიზნობრივი გამოყენებისა და პოტენციური ზემოქმედების გასაგებად. ეს ინფორმაცია გვეხმარება შეფასდეს, არის თუ არა ნიადაგი შესაფერისი ხელახალი გამოყენებისთვის, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მდგრად პრაქტიკას და შეამციროს გარემოზე ზემოქმედება.
12. წინასამშენებლო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ჩართვა ამოსავალ მონაცემს იძლევა სამშენებლო და მშენებლობის შემდგომი ფაზების შესადარებლად. ზემოხსენებული საშუალებას იძლევა უკეთ შეფასდეს პროექტით გამოწვეული

ნებისმიერი ცვლილება ან ზემოქმედება, და საჭიროა შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის განსასაზღვრად.

13. სამშენებლო ბანაკის განლაგების გეგმის დამატება, ყოველგვარი ახალი ზემოქმედების გარეშე, იმაზე მიუთითებს, რომ პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული სამშენებლო ძალის განთავსების საჭიროებებს პროექტის ტერიტორიაზე. ეს საშუალებას იძლევა უკეთესად დაიგეგმოს და იმართოს სამშენებლო სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს მიმდებარე გარემოს და თემების მინიმალურ შეფერხებას.

#### **A. პროექტის შინაარსი, ზემოქმედება, შედეგი და შედეგები**

14. პროექტი ითვალისწინებს სოფელ კურდღელაურში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას, აღსაზრდელთა 6 ჯგუფისათვის (120 ბავშვი). ახალი საბავშვო ბაღი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 53.07.43.034, ფართობი 4025 მ<sup>2</sup>) აშენდება. მიწის ნაკვეთი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. ტერიტორიის ფართობი მთლიანად: 927.93 მ<sup>2</sup>, ხოლო სამშენებლო ფართობი - 1398.42 მ<sup>2</sup>. მიწის ნაკვეთის დანარჩენი ნაწილის გამოყენება მოხდება საბავშვო ბაღის ეზოს მოსაწყობად, სადაც მოეწყობა სათამაშო მოედნები და მწვანე სივრცეები.

15. დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა, დადასტურებულია ადგილმდებარეობა. მდებარეობა მოსახერხებელია რაიონში არსებული ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო კავშირების და ა.შ. გამო. შემოთავაზებული ადგილი განლაგებულია საცხოვრებელ უბანში და ვარგისია, რადგან არსებულ ნაკვეთზე არის საკმარისი სივრცე ახალი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად. უბნის მთავარ მგრძნობიარე რეცეპტორებად შეიძლება ჩაითვალოს საცხოვრებელი კორპუსები (მანძილი სამშენებლო ობიექტიდან - 2-80 მ) მშენებლობის პროცესში ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის წარმოქმნის თვალსაზრისით. დეტალური ინფორმაცია მგრძნობიარე რეცეპტორებთან დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც განსაზღვრულია EMP-ში, განხორციელდება სამშენებლო კომპანიის მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის შეწყუბების მინიმიზაციის მიზნით. მშენებლობისთვის გამოყოფილი ფართობია 4025 მ<sup>2</sup>.

16. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია მუნიციპალურ საკუთრებად. არანებაყოფლობითი განსახლება გათვალისწინებული არ არის. ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოახდინოს არსებული შენობის დემონტაჟი და სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა. იძულებითი განსახლება გათვალისწინებული არ არის.

17. მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე შენობები არ არის და მუნიციპალურ საკუთრებად არის რეგისტრირებული. იძულებითი განსახლება გათვალისწინებული არ არის.

#### **B. გარემოსდაცვითი კატეგორიები და გარემოსდაცვითი კომპლექსური კვლევა**

18. აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებული ყველა პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს აგბ-ის 2009 წ. უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადთან (SPS, 2009). აგბ-ის მიზანია დაეხმაროს განვითარებად წევრ ქვეყნებს, განვითარების პროექტებში - გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მოგვარებაში და მოახდინოს ადამიანებზე და გარემოზე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა და შერბილება, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება პრევენცია. უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი მოქმედებს აგბ-ის მხარდაჭერით განხორციელებულ ყველა პროექტთან მიმართებაში. აგბ თანამშრომლობს სესხის ამღებებთან, პოლიტიკის პრინციპებისა და მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით - პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის და პოტენციალის განვითარების მხარდაჭერის საფუძველზე. უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი უზრუნველყოფს ასევე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და პროექტში ჩართული სხვა მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობას, პროექტის ტექნიკურ პროექტირებასა და განხორციელებაში.

19. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (LCIP) კლასიფიცირებულია როგორც „B“ კატეგორია ADB SPS-ზე, შესაბამისად, საჭიროა პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE), პროექტის განსახილველად. აღნიშნული IEE-ის განახლებული დოკუმენტი სოფელ კუდელაურში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის მომზადდა, რომელიც განხორციელდა სამაგიდე კვლევისა და საბაზისო გარემოს შესახებ არსებული სხვა ხელმისაწვდომი მასალების განხილვის საფუძველზე, ასევე პროექტის არეალის სპეციალისტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. პროექტის დეტალური ტექნიკური პროექტის დამუშავება მიმდინარეობს სამშენებლო პროცესის პარალელურად, შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტი (IEE) განახლდა თებერვალში, განახლებული ინფორმაციის, მათ შორის, საბაზისო მონაცემების და პროექტთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე.

20. აღნიშნული, განახლებული IEE-ს მომზადების ფარგლებში, გაიმართა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, პროექტის შესახებ შეხვედრების უკუკავშირის მოსაპოვებლად. შეხვედრა გაიმართა 2020 წლის 3 ივნისს. შეხვედრის ოქმი თანდართულია IEE-ის განახლებულ დოკუმენტზე. კონსულტაციები მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროექტის საქმიანობის მოცულობის, შემოთავაზებული საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე საჭირო ზომების თაობაზე, რომლებიც განხორციელდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლო ზემოქმედებები შემოიფარგლება სამშენებლო

მოედნით და არ ახდენს გავლენას საზოგადოებაზე. კონსულტაციის პროცესი გაგრძელდება და გაფართოვდება პროექტის განხორციელების პროცესში, რათა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობა პროექტში და მათ მონაწილეობა მიიღონ მის განვითარებაში, დასრულებასა და განხორციელებაში. აღნიშნული დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი ნებისმიერი კომენტარი და /ან პრობლემები აისახა ოქმში.

21. პროექტის აღმასრულებელი უწყებაა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი ორგანიზაციაა მუნიციპალური განვითარების ფონდი (სსიპ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში). განმახორციელებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს გარემოს დაცვის გარანტიების მოთხოვნების გათვალისწინებას სატენდერო და საკონტრაქტო დოკუმენტებში, პროექტის ბიუჯეტში და ზოგადად, პროექტის განხორციელების პროცესში. მშენებლობის ეტაპზე, განმახორციელებელ ორგანოს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საპროექტო ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომების დაცვაზე, სათემო დონეზე გამოთქმული საჩივრების მოგვარებაზე (თუკი მოხდება მსგავსი საჩივრების წარმოდგენა) და იმის უზრუნველყოფაზე, რომ კონტრაქტორებმა შეასრულონ კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (SSEMP) გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება. განმახორციელებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს უსაფრთხოების გარანტიების მოთხოვნებთან შეუსაბამობების დროულ გამოსწორებას.
22. განმახორციელებელ ორგანიზაციას დახმარებას გაუწევს ზედამხედველი კონსულტანტი. გარდა ამისა, კონტრაქტორს მოეთხოვება გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ოფიცრის სრულ განაკვეთზე აყვანა, რომელიც იმუშავებს ყველა სამუშაოს დასრულებამდე და უზრუნველყოფს კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (გეგმების) (SSEMP) სრულად შესრულებას, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. სამშენებლო კომპანიამ გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელების ღირებულება, ასევე შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები და დამატებითი სამუშაოები (მსგავსი სამუშაოების შესრულების საჭიროების შემთხვევაში) და კვლევები (თუკი კვლევების განხორციელება წარმოადგენს საჭიროებას განმახორციელებელი ორგანოს აზრით, და პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) საფუძველზე), უნდა გაითვალისწინოს პროექტისთვის განსაზღვრულ ბიუჯეტში. აღნიშნული დოკუმენტების (IEE/EMP) განხორციელება კონტრაქტორის ვალდებულებას წარმოადგენს. კონტრაქტორებს უნდა ეცნობოთ პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) განახლების თაობაზე.
23. მშენებლობის ზემოქმედების შერბილებას უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა, გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (EMP)

გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველყოფის გზით, ასევე უნდა განისაზღვროს, საპროექტო ტერიტორიების გარშემო არსებული გარემო და თემები (მსგავსი თემების არსებობის შემთხვევაში) დაცულები არიან თუ არა სათანადოდ. აღნიშნული მოიცავს დაკვირვებების განხორციელებას საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიღმა, ასევე დოკუმენტების შემოწმებას, ისეთი გარემოსდაცვითი პარამეტრების ინსტრუმენტულ მონიტორინგს, როგორცაა ხმაურის დონე, ჰაერის ხარისხი და ა.შ. მაკორექტირებელი საქმიანობის საჭიროება აისახება გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშებში.

### C. ალტერნატიული ვარიანტები

24. საბავშვო ბაღის მშენებლობის ადგილი შეირჩა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: რაიონი მჭიდროდ არის დასახლებული, ბავშვების რაოდენობა აღემატება რაიონულ საბავშვო ბაღებში დაშვებულ სტანდარდს; საკმარისი სივრცე საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს მოსაწყობად; მიწის ნაკვეთის საკუთრებაში არსებობა (უპირატესობა მიენიჭა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს); კომუნიკაციების (ელექტროენერგია, გაზი) არსებობა; შესაბამისად, არსებობს გაზრდილი მოთხოვნა აღნიშნული საჯარო სერვისის ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწოდებაზე. მოსახლეობის სტატისტიკა ასევე მიუთითებს სოფელ კურდღელაურში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის საჭიროებაზე.
25. უმოქმედობა ან ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, ამიტომ სოფელ კურდღელაურის ბავშვებისათვის საბავშვო ბაღში საკმარისი ადგილების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა გადაუჭრელი დარჩება.
26. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სოფელ კურდღელაურის ურბანული ტერიტორტიის სიცოცხლისუნარიანობის ზრდას, ხარისხიან სკოლამდელ ინფრასტრუქტურაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ასევე გაუმჯობესებული გარემოს შექმნით: ახალი სათამაშო მოედნები ზრდის ბავშვების მოტორიკასთან დაკავშირებულ უნარებს; უსაფრთხო შენობა - ხანძარსა და ალმდეგო და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით; სუფთა და განახლებული სანიტარული ინფრასტრუქტურა, საპირფარეოს და სამზარეულოს ჩათვლით; საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება; გაზრდილი სივრცე ბავშვისა და მასწავლებლისთვის; ენერგო-ეფექტური საბავშვო ბაღის შენობა; გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის - საბავშვო ბაღში; გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ინკლუზიურ, ბავშვების მიმართ მეგობრულ, ხარისხიან განათლებაზე.

### D. არსებული მდგომარეობა

27. სოფელი კურდღელაური თელავის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 530 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მანძილი ქ. თელავიდან 3 კმ-ია. თელავის მუნიციპალიტეტის ფართობია 1095 მ2, საიდანაც 33, 156 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია. მასში შედის ქალაქი თელავი და 29 სოფელი. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 5 (ხუთი) დიდი სოფელი, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 2500 (ორიათას ხუთას) ადამიანს აჭარბებს.
28. საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს.
29. საპროექტო ტერიტორია გარშემორტყმულია კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწებით.
30. საპროექტო ტერიტორია ვაკეა.
31. სამშენებლო ტერიტორიის მგრძნობიარე რეცეპტორები საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს ფიქსირდება; მანძილი მერყეობს 2-დან 80 მეტრამდე.
32. საპროექტო ტერიტორიაზე, წყლის ობიექტების, ფლორის ან ფაუნის გადაშენების საფრთხის პირას მყოფი სახეობების ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მსგავსი მგრძნობიარე რეცეპტორები, არ აღინიშნება. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის.
33. პროექტით გათვალისწინებულმა სამუშაოებმა შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობაზე; აღნიშნული ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურთან, გამონახოლქვთან და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან, თუმცა აღნიშნული, უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარებით.
34. საბავშვო ბაღის შენობა აშენდება ურბანულ, მოდიფიცირებულ გარემოში. საპროექტო ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობა ნაკლებად მოსალოდნელია.
35. მშენებლობის პროცესში ვეგეტაციაზე ზემოქმედებას ექნება უმნიშვნელო ხასიათი, რადგან საბავშვო ბაღის მშენებლობის ტერიტორიაზე მცენარეები არ არის. სოფელ კურდღელაურში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესში ხეების მოჭრა გათვალისწინებული არ არის. საბავშვო ბაღის მშენებლობის ტერიტორიაზე მცენარეები არ არის.
36. საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვა განპირობებულია გზით, საცხოვრებელი სახლებით და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებით. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია მიმზიდველი ადგილია ცხოველების ბუდობისთვის, არსებული ურბანული განვითარების და გზის



გათვალისწინებით. შესაბამისად, პროექტის ზემოქმედება ფაუნის სახეობებზე, მოსალოდნელი არ არის.

37. დაცული ტერიტორიები, ზურმუხტის ქსელი და კულტურული მემკვიდრეობის ზონები საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, არ არის; შესაბამისად, პროექტის განხორციელების პროცესში, ზემოქმედება აღნიშნულ ტერიტორიებზე, მოსალოდნელი არ არის.

#### **E. ძირითადი ზემოქმედების იდენტიფიკაცია**

38. პროექტი მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს სოფელ კურდღელაურის მოსახლეობაზე, საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების შედეგად, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

39. წინა-სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედება გარემოზე, როგორცაა მაგ. სამშენებლო კომპანიის მიერ ოფისის მოწყობა, აუცილებელი აღჭურვილობის განთავსება, სამშენებლო ტერიტორიის მომზადება და შესაბამისი მისასვლელელების მოწყობა, გათვალისწინებულია, და ყველა ეს ღონისძიება არ გამოიწვევს გარემოს არსებული პირობების გაუარესებას.

40. პროექტის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია შემდეგი ზეგავლენა გარემოზე: ხმაური, ვიბრაცია, მტვერი, თხევადი და მყარი ნარჩენები. ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი იქნება სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, რადგან საპროექტო ტერიტორია საცხოვრებელი შენობების სიახლოვეს მდებარეობს. სამშენებლო ეტაპზე გათვალისწინებული ზემოქმედება მოკლევადიანია (პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 13 თვე), და აღნიშნული ზემოქმედება არ მოახდენს არსებული პირობების გაუარესებას.

41. სამშენებლო სამუშაოებით გათვალისწინებულია ტერიტორიის გასუფთავებისა და სხვა სახის მიწის სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო მექანიზმების, ბულდოზერების, ექსკავატორების, გრეიდერების გამოყენება. ასევე გამოყენებული იქნება სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა, სამშენებლო მასალების გადასატანად და მუშების გადასაცვანად. მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა სამშენებლო აღჭურვილობის ოპერირება გამოიწვევს ნახშირბადის მონოქსიდის, NOx, SO2, ნახშირწყაბადის და მყარი ნარჩენების ემისიებს. ემისიებმა და მტვერის გამოყოფამ შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს სამშენებლო ობიექტის და საცხოვრებელი ტერიტორიების სიახლოვეს არსებულ შენობებზე, მასალების ტრანსპორტირების მარშრუტების გასწვრივ.

42. ხმაურისა და ვიბრაციის დონე გაიზრდება სამშენებლო სამუშაოების დროს ტექნიკის,

ბულდოზერების, ექსკავატორების, გრეიდერების, ავტომანქანების და ტრანსპორტირებისათვის საჭირო აღჭურვილობის ოპერირებისას. სამშენებლო ტექნიკა გამოირჩევა ხანგამოშვებითი მობილურობით და ხმაურის მაღალი დონით (რომელიც 80~90 დეციბელს აღწევს 5 მ მანძილიდან).

43. ემისიები და მტვრის წარმოქმნა შეაწუხებს ობიექტთან მდებარე შენობების ბინადრებს და მასალის ტრანსპორტირების მარშრუტების გასწვრივ არსებულ დასახლებებს. სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის ემისიები, ისევე როგორც მტვერი, დამახასიათებელია ყველა სამშენებლო სამუშაოებისთვის. ძირითადი რეცეპტორებია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებული საცხოვრებელი სახლები. მანძილი სამშენებლო ობიექტის საზღვრიდან 2-80 მეტრია. აღნიშნული ზემოქმედება დროებითია და შეფასებულია, როგორც საშუალო, თუ არ მოხდება მისი სათანადოდ შერბილება. კარგი სამშენებლო პრაქტიკის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ზემოქმედების შემცირება უმნიშვნელო და მისაღებ დონემდე.
44. სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში მოსალოდნელია უმნიშვნელო ზემოქმედება მცენარეულობაზე. საპროექტო ტერიტორიაზე რამდენიმე ხე და ბუჩქია. ხის მოჭრა საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესში, გათვალისწინებული არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეები არ არის.
45. პროექტის განხორციელების პროცესში, ზედაპირული და გრუნტის წყლის დაბინძურების რისკი მინიმალურია. მიწისქვეშა წყლები შეიძლება დაბინძურდეს დამუშავებული ნიადაგის არასათანადო განთავსების, სამშენებლო ბანაკის ცუდი მართვისა და სამშენებლო მასალების არასათანადო შენახვისა და სამშენებლო ტექნიკიდან საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვის გამო.
46. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს წყლის ობიექტები არ აღინიშნება.
47. ექსპლოატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე შესაძლოა გამოიწვიოს მოწყობილი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის (სამუშაოებმა), რაც დაკავშირებული იქნება მყარი ნარჩენების წარმოქმნასთან და შეზღუდული მოცულობის ჩამდინარე წყლით დაბინძურებასთან.

#### **F. ძირითადი მართვა და შემარბილებელი ღონისძიებები**

48. წარმოდგენილი პროექტის აღმასრულებელი უწყებაა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო განმახორციელებელი - მუნიციპალური განვითარების ფონდი (საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფარგლებში არსებული სსიპ). განმახორციელებელი

უწყება უზრუნველყოფს როგორც გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას - ტენდერისა და საკონტრაქტო დოკუმენტების, საპროექტო ბიუჯეტის შესაბამისად, ასევე მთლიანი პროექტის განხორციელებას. მშენებლობის ეტაპზე, განმახორციელებელი უწყება იღებს სრულ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობაზე - საპროექტო ტერიტორიებზე, ასევე ადგილობრივ დონეზე არსებული პრეტენზიების (მსგავსი პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში) მოგვარებასა და იმაზე, რომ სამშენებლო კომპანიამ უზრუნველყოფს შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება, კონკრეტული ობიექტისთვის დამტკიცებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (SSEMP) შესაბამისად. განმახორციელებელმა უწყებამ ასევე უნდა უზრუნველყოს გარემოს დაცვით მოთხოვნებთან გამოვლენილი შეუსაბამობების დროული აღმოფხვრა.

49. განმახორციელებელ უწყებას დახმარებას გაუწევს მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი „ეპტისა“. მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტი განმახორციელებელი უწყების სამართლებრივი წარმომადგენელია, და იღებს სრულ პასუხისმგებლობას კონტრაქტორის მიერ წარმოებული სამუშაოების პროფესიონალურ ზედამხედველობაზე - მგფ-ის სახელით. ის უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორები შესაბამისობაში იყვნენ დეტალური პროექტების, ტექნიკური სპეციფიკაციების, გარემოსდაცვითი, სოციალური და გენდერული დოკუმენტაციის მოთხოვნებთან და მართავს სამშენებლო კონტრაქტებს, ასევე უზრუნველყოფს სამუშაოების წარმოებას, სამშენებლო კონტრაქტების დებულებების შესაბამისად.
50. მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო კომპანიამ უნდა მოამზადოს გარემოსდაცვითი გეგმები, მათ შორის: კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMP), სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა, ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა, მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაცია (საჭიროების შემთხვევაში), ნარჩენების მართვის გეგმა (WMP), აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში), ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის გეგმა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სამშენებლო მოედნის მართვის გეგმა, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) და ანგარიში ჰაერში გამოყოფილი სახიფათო ნივთიერებების მუდმივი წყაროების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).
51. სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, სამშენებლო კომპანია ასევე ვალდებულია შეიმუშაოს და რეგულარულად რედაქტირება გაუკეთოს (საჭიროებისამებრ), ნებისმიერ სხვა დოკუმენტს/გეგმას და ჩაატაროს ნებისმიერი სხვა საჭირო კვლევა, დამკვეთის მოთხოვნისამებრ.
52. სამშენებლო კომპანიამ უნდა დაიქირავოს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (SSEMP) შემუშავებაზე, რაც უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს, კონკრეტული ობიექტის გარემოს დაცვითი მართვის გეგმის (SSEMP) განხორციელებას და ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ საკონტრაქტო დებულებებს,

ასევე უნდა მოხდეს თემებიდან მიღებული საპროექტო ტერიტორიის დონეზე გამოთქმული პრეტენზიების/საჩივრების მოგვარება, კოორდინაცია პროექტის განმახორციელებელ უწყებასთან და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მგფ-სა და მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტისთვის.

53. სამშენებლო კომპანიამ ასევე უნდა მოახდინოს საპროექტო ტერიტორიებზე სამუშაოების დაწყებამდე არსებული მდგომარეობის დოკუმენტირება, საბაზისო გარემოსდაცვითი პირობების დადგენა, ველზე და/ან საპროექტო ტერიტორიაზე გამოთქმული პრეტენზიების/საჩივრების მოგვარება, ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების წარდგენა განმახორციელებელი უწყებისთვის, საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება მომუშავე პირების და თემების უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, განმახორციელებელი უწყების/მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტისთვის დახმარების გაწევა უსაფრთხოებასთან, ჯანმრთელობასთან და სამუშაო სტანდარტებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში და პროექტის ზედამხედველი კონსულტანტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება.
54. შედარებით ზომიერი ზემოქმედება დაკავშირებულია მტვრის ემისიასთან. აღნიშნული დროებით ზემოქმედებას წარმოადგენს და მისი შერბილება უნდა მოხდეს შემდეგი ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე: დატენიანება მფრქვევანებიანი წყლის ცისტერნებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ტრანსპორტირებადი მასალების გადახურვა/დასველება, მტვრის შესამცირებლად; ნაგებობების, მექანიზმების და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო ტექნიკური მდგომარეობის უზრუნველყოფა, გამონაბოლქვის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით; კვამლის გამომცემი სატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა არ დაიშვება და უნდა მოხდეს მათი შეკეთება ან გაყვანა საპროექტო ტერიტორიიდან და ა.შ.
55. ხმაურის დონის შესამცირებლად უნდა მოხდეს შემდეგი ღონისძიებების გატარება: ხმაურის გამომწვევი სამუშაოების განხორციელება მხოლოდ დღის განმავლობაში; ხმაურიანი სამუშაოების განხორციელების შეზღუდვა - პარალელურად; საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის აღჭურვა შესაბამისი დამცავი აღჭურვილობით; გაფრთხილების გაცემა უნდა მოხდეს დროულად - შესაბამისი, სენსიტიური ობიექტების მიმართ, ისეთი ხმაურიანი სამუშაოების განხორციელების პერიოდების შესახებ, როგორცაა მაგალითად ექსკავაცია და სხვ.
56. სამშენებლო კომპანიამ წინასწარ უნდა დააზუსტოს სამშენებლო მექანიზმების მოძრაობის მარშრუტები და ასახოს აღნიშნული მარშრუტები სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმაში. მექანიზმების მოძრაობა უნდა მოხდეს აღნიშნული, დაზუსტებული გზების გამოყენებით და ძეგლებიდან მაქსიმალური მოშორებით.

57. სამშენებლო სამუშაოების წარმოების გრაფიკი სამშენებლო კომპანიამ უნდა შეათანხმოს უახლოესი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებლებთან.
58. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს ხმაურის და ვიბრაციის დონეების ინსტრუმენტულ გაზომვას და მონიტორინგს სამუშაოების წარმოების პროცესში და განახორციელებს შემარბილებელ ღონისძიებებს, რათა ხმაურისა და ვიბრაციის დონეები ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში მოაქციოს.
59. სამშენებლო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტერიტორიის გასუფთავება და აღდგენა, სამუშაოების დაწყებამდე არსებულ ან უკეთეს მდგომარეობამდე. განმახორციელებელი უწყების შეტყობინება, რომ შესრულებული სამუშაოები დამაკმაყოფილებელია და ტერიტორია გასუფთავებული, უნდა აისახოს „სამუშაოების მიღება-ჩაბარებაში“ და აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს გადახდის პირობას.
60. სამშენებლო სამუშაოებზე მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი, უარყოფითი ზემოქმედების დროული დაფიქსირებისა და თავიდან აცილების მიზნით.
61. სამშენებლო სამუშაოების ურბანულ არეალში, საცხოვრებელი შენობების სიახლოვეს წარმოების შემთხვევაში, არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებიც, შესაბამისად, საჭიროა წინასწარი გაფრთხილების უზრუნველყოფა, როგორც მუშების, ასევე მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. სამშენებლო კომპანიამ ადგილობრივი თემის ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მართვა უნდა განახორციელოს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

## G. მონიტორინგი

62. ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და შეფასებას, გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელების პროცესში:
- მტვრის გავრცელება, გამონახოლქვის კვამლი (NO<sub>x</sub>, SO<sub>2</sub>, CO) სამშენებლო ბანაკსა და ობიექტზე, სატრანსპორტო მარშრუტები, უახლოესი შენობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა მგრძნობიარე რეცეპტორები, ინტენსიური ოპერირებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პირობებში, განსაკუთრებით, მშრალ და ქარიან ამინდში - სამუშაო დღის დასაწყისში და/ან პრეტენზიების შემთხვევაში;

- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მგძნობიარე ობიექტებზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საჯარო სკოლის და საცხოვრებელი სახლების ჩათვლით;
- სატრანსპორტო მოძრაობა მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტების გასწვრივ;
- ნიადაგის და გრუნტის ხარისხი სამშენებლო ბანაკებისა და ობიექტების, მასალებისა და ნარჩენების განთავსებისთვის განკუთვნილი ადგილების მიმდებარე ტერიტორიებზე - ვიზუალური დაკვირვების წარმოება სამუშაო დღის ბოლოს და ლაბორატორიული შემოწმება - მოცულობით დაღვრის შემთხვევაში;
- მოხსნილი გრუნტის დროებითი განთავსება სამშენებლო ტერიტორიაზე და გრუნტის განთავსების ადგილები - ყოველ დღე, მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ;
- ნარჩენების მართვა და ზეთის და საპოხი მასალები სამშენებლო ბანაკებსა და ობიექტებზე, ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილები - ყოველი სამუშაო დღის დასრულების ბოლოს და წარმოებული და გატანილი ნარჩენების მოცულობების შესახებ არსებული დოკუმენტების შემოწმება;
- მისასვლელი გზის ტექნიკური მდგომარეობა, თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა სატრანსპორტო მარშრუტების დერეფნებში - ინტენსიური სატრანსპორტო ოპერირების დროს;
- შრომის უსაფრთხოება სამუშაო ტერიტორიაზე - ვიზუალური დაკვირვებით - ყოველი სამუშაოს დაწყებამდე და ობიექტზე წარმოებული სწავლების (ტრენინგების) შესახებ არსებული დოკუმენტების და ჯანმრთელობის და უსაფრთხოების იარაღების ყუთის ყოველდღიური შემოწმება.

## H. დასკვნები და რეკომენდაციები

63. ტექნიკური პროექტის, საველე კვლევების, არსებული მონაცემების, მათ შორის საბაზისო გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასების, შესწავლის და კონსულტაციის საფუძველზე, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ კურდღელაურში მნიშვნელოვანი ხასიათის უარყოფით ზემოქმედებას არ გამოიწვევს. მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობასთან და შესაძლებელი იქნება მათი სტანდარტულ დონეებამდე დაყვანა, გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (EMP) რეკომენდებული შემარბილებელი ღონისძიებების ჩართვის ან გამოყენების და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე - ექსპლოატაციის ეტაპზე, დაკავშირებული იქნება ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასთან და მყარი ნარჩენების და ჩამდინარე წყლის წარმოქმნასთან. პოტენციური ზემოქმედებები ხელახლა უნდა შეფასდეს, შესწორდეს ტექნიკური პროექტი და საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს შემარბილებელი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ ქვეპროექტი არ იქონიებს (i) შეუქცევად, მრავალფეროვან ან უპრეცედენტო მნიშვნელოვან

უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე; და (ii) გავლენას ფიზიკური სამუშაოების არეალის მიღმა, უფრო დიდ ფართობზე.

64. მშენებლობის ზემოქმედების შერბილებას უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამა, რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (EMP) გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას და განსაზღვრავს, საპროექტო ტერიტორიების გარშემო არსებული გარემო და თემები (არსებობის შემთხვევაში), სათანადოდ არიან დაცვულები თუ არა. აღნიშნული მოიცავს ობიექტზე დაკვირვებების განხორციელებას, დოკუმენტების შემოწმებას, ისეთი გარემოსდაცვითი პარამეტრების ინსტრუმენტულ მონიტორინგს, როგორცაა ხმაურის და ვიბრაციის დონეები, ჰაერის ხარისხი და ა.შ. გამოსასწორებელი სამუშაოების საჭიროება აისახება გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშებში.
65. ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები უნდა შესრულდეს პროექტთან მიმართებაში, იმისთვის, რომ არ მოხდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება:
- წარმოდგენილი დოკუმენტი (IEE-ის განახლებული ვერსია) გარემოსდაცვით მართვის გეგმასთან (EMP) ერთად, უნდა შევიდეს სატენდერო და საკონტრაქტო დოკუმენტებში;
  - პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) განახლება/შესწორება უნდა მოხდეს სამშენებლო კომპანიის სამუშაო მეთოდოლოგიის საფუძველზე და/ან მოულოდნელი ზემოქმედების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამუშაო მოცულობების, განლაგების ან ადგილმდებარეობის ცვლილება;
  - სამშენებლო კომპანიამ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული ობიექტების გარემოსდაცვითი მართვის გეგმები (SSEMP) და სამუშაოები არ უნდა დაიწყოს მანამ, სანამ აღნიშნულ გეგმებს არ დაამოწმებს განმახორციელებელი უწყება (პროექტის განმახორციელებელი ერთეული);
  - არსებული მასალები, რომლებიც ექვემდებარებიან დემონტაჟს, უნდა შემოწმდეს სახიფათო შემცველობაზე. ასევე უნდა მოხდეს ნარჩენების განკარგვის, შენახვის, ტრანსპორტირების და გატანის სამოქმედო გეგმის მომზადება, სამშენებლო კომპანიის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე და მკაცრი მონიტორინგი - პროექტის განხორციელების პროცესში;
  - (მყარი და თხევადი) ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე/ობიექტზე განთავსება და გატანა (დაყრა თავისუფალ მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია);
  - უსაფრთხოების ღონისძიებების შემოღება მშენებელი კომპანიისთვის, კონტრაქტის მინიჭების შემდეგ;
  - გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელების მკაცრი ზედამხედველობა;
  - კვალიფიცირებული გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ოფიცრების დანიშვნის უზრუნველყოფა მშენებლობის კონტრაქტორის მიერ, სამუშაოების დაწყებამდე;

- რეგულარული დოკუმენტირება და ანგარიშგება, პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად;
- მუდმივი კონსულტაციების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებთან;
- ინფორმაციის დროულად გამჟღავნება და საჩივრების მოგვარების მექანიზმის დაარსება;
- სამშენებლო კომპანიის, მათ შორის, ქვეკონტრაქტორების ჩართვა, საჩივრების მოგვარების მექანიზმის პირველ დონეზე; და
- პროექტის განმახორციელებელი უწყების წარმომადგენლებმა, ზედამხედველობის კონსულტანტებმა და მშენებლობის კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყონ გარემოს და ადამიანების დაცვა ნებისმიერი ზემოქმედებისაგან, პროექტის განხორციელების პროცესში.

66. IEE-ის განახლებული დოკუმენტი, EMP-ის ჩათვლით, შეტანილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციაში და უნდა წარმოადგენდეს სამშენებლო კომპანიის ხელშეკრულების დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს.



## II. შესავალი

### A. ზოგადი ინფორმაცია

67. აზიის განვითარების ბანკმა (აგბ) და საქართველოს მთავრობამ მოახდინეს ურბანული სექტორის ოპერირების რეორიენტირება, საქართველოში განვითარებადი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქებისთვის ინტეგრირებული და პროგრამული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. აღნიშნული ეხება ეკონომიკურად კონკურენტუნარიან, სოციალურად ინკლუზიურ და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მდგრად ქალაქებს<sup>1</sup>. 2016 წ. ნოემბრიდან, აგბ მხარს უჭერს მთავრობას, ურბანული განვითარების მიმართ ინტეგრირებული და მონაწილეობითი მიდგომის შემუშავების პროცესში. აღნიშნული გამოიხატება შერჩეული ურბანული ტერიტორიების კლასტერების გაუმჯობესებულ სტრატეგიულ დაგეგმარებაში, უფრო დაბალანსებული რეგიონული განვითარების მისაღწევად - ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმების (IUAPs)<sup>2</sup> მომზადების გზით, რის საფუძველზეც, მთავრობამ მოახდინა მნიშვნელოვანი ურბანული ინვესტიციების პრიორიტეტებად დაყოფა აგბ-სთვის, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და უსაფრთხოების კომპლექსური კვლევის ანგარიშების დაწინაურების საფუძველზე. აღნიშნული მოიცავს ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს, რასაც მოაქვს თანა-სარგებელი მოქალაქეებისთვის, ურბანული კლასტერების განვითარების პროცესში. ეს შესაძლოა იყოს წყალმომარაგების, კანალიზაციის და სანიტარული პირობების (რაც ასევე გულისხმობს არა-ქსელურ გადაწყვეტებს), ურბანული ტრანსპორტის და მობილობის (მათ შორის არა მოტორიზებული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის), მყარი ნარჩენების მართვის, ეკონომიკური დერეფნების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის, წყალდიდობების მართვის და სადრენაჟე სისტემების, საბავშვო ბაღების, სპორტული კომპლექსების, ურბანული უსაფრთხოების და მრავალი სხვა საკითხების გაუმჯობესებას. ამასთან, საქართველოს მთავრობამ საგანმანათლებლო სექტორის განვითარება გამოაცხადა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანად. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ მოამზადა სტრატეგიული დოკუმენტი - სკოლამდელი სტრატეგია 2019-2021 წლებისთვის, რაც მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, რისი მიღწევაც შეუძლებელია შესაბამისი სკოლამდელი ინფრასტრუქტურის და გარემოს გარეშე. ზემოხსენებულის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ მტკიცედ დაიწყო ინვესტიციების განხორციელება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაში, ძირითადად საბავშვო ბაღების და სკოლების შენობებში. პროექტის საბოლოო მიზანს ხარისხიანი

1 აგბ-ის 2012-2020 წლების ურბანული ოპერირების გეგმა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი, ინკლუზიური და მწვანე ქალაქების ზრდას, ქალაქების მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით - ეკონომიკურ, თანასწორობის და გარემოს დაცვის (3Es) ფრონტებზე. აღნიშნული ფოკუსირებულია 3 ინოვაციურ მიდგომაზე, რაც ემსახურება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების განვითარებას და წარმოადგენს გრძელვადიან პროცესს, რისი მიღწევაც შესაძლებელია ინვესტიციების ინტეგრირებული დაგეგმვის და განხორციელების საშუალებით.

2 <https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/49367/49367-001-tcr-en.pdf>

სკოლამდელი/საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შექმნა წარმოადგენს.

68. დაბალანსებული რეგიონული განვითარების დაჩქარებისთვის, პრიორიტეტი მიენიჭა საბაზისო ურბანული სერვისების და ტრანსპორტის ხელშეწყობას, განსაკუთრებით, პატარა და რეგიონულ ქალაქებში, რომლებიც პოტენციურად წარმოადგენენ ტურიზმის, აგრობიზნესის, რეგიონული ვაჭრობის ცენტრებს და ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალებს. აუცილებელია, რომ განხორციელდეს მართვის და შესაძლებლობების განვითარების ინტეგრირება აღნიშნულ პროექტებში, უფრო ძლიერი შედეგების მისაღწევად და ინფრასტრუქტურული პროექტების საოპერაციო და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით<sup>3</sup>.
69. მთავრობის შემოთავაზებას წარმოადგენს საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (LCIP), ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურის და სერვისების გაუმჯობესების მიზნით - მთელი საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული პროგრამა (LCIP) ხელს შეუწყობს ურბანული ტერიტორიების კლასტერების სიცოცხლიუნარიანობის გაუმჯობესებას, ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი სახის შედეგების მიღწევის გზით:
- (i) ურბანული ინფრასტრუქტურის და სერვისების გაუმჯობესებული ადეკვატურობა და ეფექტიანობა;
  - (ii) რეგიონული ტურისტული კლასტერების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, დაკავშირებადობა და მიმზიდველობა;
  - (iii) გაძლიერებული ინსტიტუციური შესაძლებლობა ურბანული ინფრასტრუქტურის და სერვისების განხორციელებისა და მართვისთვის;
  - (iv) გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ხარისხიან სკოლამდელ ინფრასტრუქტურაზე; გაუმჯობესებული გარემო: ახალი სათამაშო მოედნები ზრდის ბავშვების მოტორიკულ უნარებს; უსაფრთხო შენობა: ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით; სუფთა და განახლებული სანიტარული ინფრასტრუქტურა, საპირფარეშოს და სამზარეულოს ჩათვლით;
  - (v) საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება; გაზრდილი სივრცე ბავშვისა და მასწავლებლისთვის; ენერგო-ეფექტური საბავშვო ბაღის შენობები;
  - (vi) საგანმანათლებლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესება ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის საბავშვო ბაღში;
  - (vii) გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ინკლუზიური, ბავშვის ინდივიდუალიზმზე მორგებული ხარისხიანი განათლება;
  - (viii) სოციალური ზემოქმედება: მოსახლეობის შემოსავლის ზრდა განხორციელების ეტაპზე (მუშების დასაქმება) და მშენებლობის შემდეგ;

<sup>3</sup> <https://www.adb.org/sites/default/files/project-documents/49367/49367-001-tcr-en.pdf>

(ix) ცხოვრების ჯანსაღი სტილის დანერგვა მოსახლეობაში, რაც ასევე შეამცირებს ახალგაზრდების დამოკიდებულებას ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე;

(x) ახალი სპორტული კომპლექსები, რაც გამოიწვევს სპორტსმენების წარმატებების ზრდას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრებისთვის, რადგან სწორედ თემების წარმომადგენლებს აქვთ ხშირად მნიშვნელოვანი წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მათ შორის წყალბურთში, სინქრონულ ცურვაში და ა.შ.

70. სავალალო მდგომარეობაში მყოფი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც წესი, ნაკლებად კონკურენტუნარიანია განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალების მოსაზიდად. სოფლის საბავშვო ბაღების უმეტესი ნაწილი გამოუსადეგარი და მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაშია, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის არაადაპტირებული და დაგეგმარების ძველი სტანდარტებით, რომლებიც შორს არის თანამედროვე დიზაინისგან. შენობების ცუდი მდგომარეობა დიდ საფრთხეს ქმნის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. ბავშვთა ცხოვრების ადრეული წლები ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის. შესაბამისად, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და კომფორტული გარემო დადებითად აისახება ბავშვების განვითარებაზე, განათლების პროცესსა და მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ აქტიურად დაიწყო სკოლამდელი და სასკოლო ინფრასტრუქტურის დაფინანსება, ძირითადად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით. 2018 წლიდან საქართველოს მთავრობამ საგანმანათლებლო სექტორი ეროვნული მნიშვნელობის საქმედ გამოაცხადა და გადაწყვიტა მრავალი რეფორმის განხორციელება მშპ-ს 6%-ის ინვესტიციით - ბიუჯეტის მეოთხედი. რეფორმების გარდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გარემო.
71. 2019 - 2021 სკოლამდელი აღზრდის სტრატეგიის თანახმად, 2023 წლისთვის მთავრობამ მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა უნდა გაზარდოს 95%-მდე. გარდა ამისა, UNICEF-ის კვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარდა საქართველოს რეგიონებში, საკმაოდ დაბალია სკოლამდელი ჩარიცხვის მაჩვენებლები, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ამასთან, გაეროს „მდგრადი განვითარების მიზნებში“ გაწევრიანებით, საქართველოს მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს, რომ ყველა გოგონასა და ბიჭს ჰქონდეს წვდომა ადრეული ასაკის ბავშვთა ხარისხიან განვითარებაზე, ზრუნვასა და სკოლამდელ განათლებაზე, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისთვის.
72. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში ახალი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა ერთ-ერთი ქვეპროექტია, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების ინვესტიციის პროგრამის ფარგლებში.

## **B. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების მიზანი**

73. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში (კახეთის რეგიონი) ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების განახლება (IEE) განხორციელდა შემოთავაზებული საცხოვრებლად ვარგისი

ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) მომზადების კონტექსტში და აგბ-ის სახელმძღვანელო პრინციპებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS 2009) მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ასევე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE) მოიცავს პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულ ყველა ფიზიკურ აქტივობას.

74. საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებით გარემოსდაცვითი სკრინინგის ან გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) განხორციელების საჭიროება არ არის.
75. სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) და ადგილმდებარეობის შესწავლის საფუძველზე მოხდა პროექტის კატეგორიის განსაზღვრა. აგბ-ის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკის (2009) საფუძველზე, აღნიშნული პროექტი შეესაბამება აგბ-ის პროექტების „B“ კატეგორიას, რაც განსაზღვრავს პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) საჭიროებას.
76. წარმოდგენილი დოკუმენტი (IEE-ის განახლება) მომზადებულია TRTA (ტრანზაქციის ტექნიკური დახმარება) ფარგლებში, სესხის მიმღებისათვის, მოცემულ შემთხვევაში - საქართველოს მთავრობისათვის, აგბ-ის საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების პროგრამისთვის (LCIP) განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მეთოდოლოგია მოიცავდა მეთოდებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების კომბინაციას. კერძოდ, დოკუმენტი (IEE-ის განახლება) მომზადდა შემდეგი შედეგების საფუძველზე: (a) პროექტის დამხმარე დოკუმენტაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვა; (b) პირადი და ონლაინ შეხვედრები ქუთაისის მუნიციპალიტეტის და ქალაქ ქუთაისის წარმომადგენლებთან, კონსულტანტებთან, საპროექტო ორგანიზაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; (c) ტექნიკური სტანდარტებისა და ნორმების ანალიზი; (d) საბაზისო ინფორმაციის (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში) და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ანალიზი, შესაძლო ზემოქმედების დადგენის, მათი მნიშვნელობის განსაზღვრის და შემარბილებელი ღონისძიებების დადგენის მიზნით.

### III. პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო

#### A. ქვეყნის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკა

77. საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების პროგრამის (LCIP) განხორციელებას არეგულირებს 1 ცხრილში წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის მოქმედი გარემოსდაცვითი აქტები, წესები, პოლიტიკა და რეგულაციები. ჰაერის, ზედაპირული წყლის, გრუნტის წყლის, ემისიების, ხმაურის, სატრანსპორტო საშუალებების გამონახობის და შლამის და ბიო-მყარი ნარჩენების გატანის და სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტები მოცემულია გარემოსდაცვით რეგულაციებსა და სტანდარტებში.

78. B. გარემოს დაცვის რეგულაციები და სტანდარტები

79. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი ჰაერის დამაბინძურებლების ზღვრულ დასაშვებ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს (GEO), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და ევროკავშირის კანონმდებლობით.

80. მე-2 ცხრილი - სანიტარული საკანალიზაციო წყლები

81. სანიტარული საკანალიზაციო წყლები სამრეწველო ობიექტებიდან შეიძლება შეიცავდეს ჩამდინარე წყლებს საყოფაცხოვრებო კანალიზაციიდან, კვების ობიექტებიდან, და სამრეცხაოდან, რომლებიც ობიექტის პერსონალს ემსახურება. სხვადასხვა სახის საკანალიზაციო წყლები ლაბორატორიებიდან, სამედიცინო პუნქტებიდან, და ა.შ. შესაძლოა ასევე ჩაედინებოდეს ჩამდინარე წყლების გამწმედ სისტემაში. რეკომენდებული სანიტარული საკანალიზაციო წყლების მართვის სტრატეგია გულისხმობს:

- (i) საკანალიზაციო წყლების ნაკადების გამოცალკევება, რათა უზრუნველყოფილ იქნას შერჩეულ გაწმენდის ვარიანტთან შესატყვისობა (მაგ. სეპტიკური სისტემა, რომელიც მხოლოდ საყოფაცხოვრებო კანალიზაციას ესადაგება);
- (ii) ნავთობისა და ცხიმის შენეველი ჩამდინარე წყლების გამოცალკევება და წინასწარი გაწმენდა (მაგ. ცხიმდამჭერების გამოყენება) საკანალიზაციო სისტემაში ჩადინებამდე.

82. თუ საწარმოდან წამოსული საკანალიზაციო წყლები ზედაპირულ წყლებში უნდა ჩაიღვაროს, უნდა განხორციელდეს წმენდა ეროვნული ან ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ან ამგვარის არარსებობის შემთხვევაში, ინდიკატიური სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, რომელიც სანიტარული საკანალიზაციო წყლებისათვის გამოიყენება და რომელიც მოცემულია ცხრილში.
83. თუ საწარმოდან წამოსული საკანალიზაციო წყლები ჩაედინება ან სექტიკურ სისტემაში ან იქ, სადაც გამწმენდად მიწა გამოიყენება, საჭიროა წმენდა, რომელიც ეროვნულ ან ადგილობრივ სტანდარტებს შეესაბამება. სანიტარული წყალგამწმენდი სისტემიდან გამოსული ლამის განკარგვა უნდა მოხდეს ადგილობრივი მარეგულირებლის მოთხოვნების შესაბამისად. მისი არარსებობის შემთხვევაში კი, განკარგვა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უსაფრთხოების პრინციპებთან და წყლისა და მიწის რესურსების გრძელვადიანი მდგრადობის და კონსერვაციის მოთხოვნებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობისას გამოყენებული უნდა იქნას მეტად შემზღუდავი სტანდარტები.
84. მშენებლობის ეტაპზე, წყლის ხარისხის მონიტორინგი შეფასდება ეროვნული სტანდარტების საფუძველზე. საკანალიზაციო წყლების გადინება სამშენებლო მოედნიდან და ბანაკებიდან შეფასდება IFC-ის მოთხოვნების მიხედვით (ნებისმიერი გაწმენდილი ჩამდინარე სანიტარული წყლებისათვის).
85. ცხრილი 12. ზოგადად, საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები შესატყვისობაშია IFC/WB სტანდარტებთან, თუმცა განსხვავების არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება უფრო მეტად შემზღუდავი სტანდარტები.

ცხრილი 1. საქართველოს მთავრობის მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა და კონკრეტული მოთხოვნები საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან დაკავშირებით

კანონი	აღწერა	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნა
<p>საქართველოს კონსტიტუცია [მიღების თარიღი: 1995 წ.]</p>	<p>მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, იგი იძლევა სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და საზოგადოების წვდომას გარემოსდაცვით პირობებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.</p> <p>მე-3-ე თავის მუხლი 37 იუწყება, რომ „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით“, ხოლო 1-ლი თავის მუხლი 41-ს თანახმად: ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.</p>	<p>აღნიშნული ნიშნავს შემდეგს: საქართველოსა და აგბ-ს შორის პროექტთან დაკავშირებით გაფორმებული სამართლებრივი შეთანხმების პირობებს ენიჭება უპირატესობა, ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით, წინააღმდეგობის გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნული ასევე გულისხმობს შემდეგს: თუ ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის მოთხოვნები განსხვავდება წარმოდგენილ დოკუმენტსა (EARF) და პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემებისგან, უპირატესობა მიენიჭება სწორედ უკანასკნელ დოკუმენტებს, რადგან საქართველოსა და აგბ-ს შორის გაფორმებული სამართლებრივი შეთანხმების თანახმად, პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) განხორციელება ვალდებულებას წარმოადგენს.</p>
<p>გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (EAC) [მიღების თარიღი: 2017 წ. ივნისი]</p>	<p>ახალმა კოდექსმა შეცვალა კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების, გარემოზე სტრატეგიული შეფასების, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასების,</p>	<p>აღნიშნული კანონი დაეხმარება მუნიციპალური განვითარების ფონდს იმის განსაზღვრაში, თუ რა დამატებითი ნებართვები ან ლიცენზიები იქნება საჭირო ქვეპროექტების ფარგლებში.</p>



	<p>საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექსპერტიზის დებულებებსა და პროცედურებს. გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს (მე-2 თავის მე -5 მუხლი).</p>	
<p>საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ [მიღების თარიღი: 2005 წ.]</p>	<p>აღნიშნული კანონი განსაზღვრავს საქმიანობის ჩამონათვალს, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას ან ნებართვას, მათ შორის ე.წ. "გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება". იგი ასევე განსაზღვრავს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის მოთხოვნებს. კანონი, ნორმატიულ აქტებთან ერთად, არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან მოქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიშროების მომატებით, გავლენას ახდენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებზე ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსის გამოყენებასთან. აღნიშნული კანონი არეგულირებს ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირებულ სფეროს; იგი აწვდის ლიცენზიებისა და ნებართვების სრულ ჩამონათვალს და ადგენს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესებს, შეიტანს მათში ცვლილებებს ან გააუქმებს მათ. კანონის თანახმად, ლიცენზიის ან ნებართვის მეშვეობით საქმიანობის ან მოქმედების სახელმწიფო რეგულაცია ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული საქმიანობა ან მოქმედება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების სფეროებს. სახელმწიფო</p>	<p>აღნიშნული კანონი დაეხმარება განმახორციელებელ უწყებებს იმის განსაზღვრაში, თუ რა დამატებითი ნებართვები, ან ლიცენზიები იქნება საჭირო ქვეპროექტების ფარგლებში.</p>

	<p>რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ლიცენზიის ან ნებართვის გაცემა რეალური საშუალებაა საშიში საფრთხის შესამცირებლად ან ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.</p>	
<p>საქართველოს კანონი წყლის შესახებ [მიღების თარიღი: 1997 წ.]</p>	<p>საქართველოს ყველა მაცხოვრებელი ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა. მათ უნდა აღკვეთონ მისი კონტამინაცია, დაბინძურება და ამოწურვა. აღნიშნული კანონის შესაბამისად, აკრძალულია სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნაგვისა და ნარჩენების გადაყრა წყლის ობიექტებში. სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ჩამდინარე წყლების განთავსება წყლის ობიექტებში ნებადართულია სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების დაცლისთვის ზედაპირული წყლის ობიექტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ წყლის გამოყენების ლიცენზიის საფუძველზე, რომელიც გაცემულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული წყლის დანიშნულების მრავალფუნქციური გეგმისა და წყლის მართვის ბალანსის საფუძველზე. კანონის თანახმად, წყლის ობიექტში ჩადვრილი ჩამდინარე წყლების გაწმენდა საჭიროა დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. წყლის რესურსების ხარისხის დასაცავად, კანონი ითხოვს სანიტარული დაცვის ზონის შექმნას, რომელიც შედგება სამი სარტყლისგან, რომელთაგან თითოეული განსაკუთრებული რეჟიმით მოქმედებს. წყლის ხარისხის სტანდარტების, გარემოში მავნე ნივთიერებების (მიკროორგანიზმების ჩათვლით) ემისიის მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის, წყლის ამოღების კვოტებისა და მავნე</p>	<p>კანონი არეგულირებს წყლის მიღების და დაცვის პროცესებს. აღნიშნული კანონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს საპროექტო ზონებში მდინარეების დაბინძურების ან ძლიერი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას, შემცირებას, ან მართვას.</p>

	<p>ნივთიერებების (მათ შორის მიკროორგანიზმების) წყალში ემისიის დროებითი მაჩვენებლები (ლიმიტები) განისაზღვრება საქართველოს კანონით გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 20 (მდინარის წყლის დაცვის ზონა) განსაზღვრავს, რომ მდინარის დამცავი ზონა უნდა იყოს მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაწესებულია სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დასაცავად დაბინძურების, დანაგვიანების, გაფუჭების და განადგურებისგან. ამ ზონაში შეიძლება შედიოდეს მისი მშრალი კალაპოტი, მიმდებარე ტერასები, ბუნებრივი ამაღლებული და ციცაბო მდინარის ნაპირი, აგრეთვე მდინარის პირას უშუალოდ მდებარე ხეობები. მდინარის წყლის დამცავი ზონის სიგანე უნდა შეფასდეს მდინარის კალაპოტის ნაპირიდან ორივე მხრიდან მეტრით შემდეგი პროცედურის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 10 მეტრი - 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,</li> <li>• 20 მეტრი - 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,</li> <li>• 30 მეტრი - 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარის შემთხვევაში,</li> <li>• 50 მეტრი - 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარის შემთხვევაში.</li> </ul>	
<p>ნარჩენების მართვის კოდექსი [მიღების თარიღი: 2015 წ. იანვარი]</p>	<p>კანონის მიზანია უზრუნველყოს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისა და ნარჩენების ხელახალი გამოყენების, ეკოლოგიურად სუფთა დამუშავების გაზრდის მიზნით ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივი პირობები და მეორადი ნედლეულის მოპოვება, ენერჯის აღდგენა ნარჩენებისგან, ასევე უსაფრთხო გადაყრა). ამ კანონის მიზანია დაიცვას გარემო და ადამიანის ჯანმრთელობა: ნარჩენების წარმოქმნის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება და შემცირება; ნარჩენების მართვის ეფექტური</p>	<p>აღნიშნული კანონის მოთხოვნების თანახმად, მშენებელმა კონტრაქტორმა (კონტრაქტორებმა) უნდა დაიქირავოს კვალიფიცირებული გარემოს დაცვის მენეჯერი (მენეჯერები), რომელმაც უნდა მოამზადოს ნარჩენების მართვის გეგმა და წარუდგინოს დასამტკიცებლად გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ნარჩენების კოდექსის</p>

	<p>მექანიზმების დანერგვით; რესურსების გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და ამგვარი გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებით. საქართველოში ნარჩენების მართვის ახალი კოდექსის შესაბამისად, ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც აწარმოებენ წლიურად 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენებს, ან იურიდიულმა პირებმა, რომლებიც აწარმოებენ წლიურად 400 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენებს, ან 120 კგ-ზე მეტ სახიფათო ნარჩენებს, მოამზადებენ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმას, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. ასევე აუცილებელია გარემოს მენეჯერის იდენტიფიცირება და ინფორმაციის მიწოდება სამინისტროსთვის. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესი განისაზღვრება კოდექსით, აგრეთვე საშიში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული აკრძალვებით. კოდექსი ავალდებულებს ყველას შეიმუშაოს სახიფათო ნარჩენების სეგმენტაციისა და შეგროვების სისტემა, წლის განმავლობაში 2 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის წარმოების შემთხვევაში. მე-17 მუხლში წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების მართვის ზოგადი ვალდებულებები, ხოლო მე-18 მუხლი განსაზღვრავს სპეციალურ ვალდებულებებს სახიფათო ნარჩენების მართვისთვის.</p>	<p>მოთხოვნების შესაბამისად, სამშენებლო კომპანიამ უნდა მართოს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცესი, ნარჩენების საბოლოო გატანის უზრუნველყოფით.</p>
<p>საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ [მიღების თარიღი: 2007 წ.]</p>	<p>კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნებს „დიდი მოცულობის“ სამშენებლო სამუშაოების მიმართ. ამ მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერებზე მუშაობისა და მოპოვების შესახებ, აგრეთვე სპეციალური მნიშვნელობის მქონე ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას, როგორც ეს შეიძლება განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით, იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დადებითი</p>	<p>აღნიშნული კანონი ავალდებულებს ტექნიკური პროექტის კონსულტანტს, რომ შეისწავლოს საპროექტო ტერიტორია და იმ შემთხვევაში, თუ პროექტს ექნება ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე მშენებლობის, ან ექსპლოატაციის ეტაპზე, მან უნდა შეიმუშაოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე კანონი განსაზღვრავს, თუ რა</p>

	<p>გადაწყვეტილების საფუძველზე. დასკვნის საფუძველია სათანადო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომელიც უნდა ჩატაროს მიწის სამუშაოების განხორციელების მსურველმა ორგანიზაციამ. მიწის სამუშაოების განხორციელების მსურველი სუბიექტი ვალდებულია სამინისტროში წარადგინოს დოკუმენტაცია მოცემული ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ. წინასწარი კვლევა უნდა მოიცავდეს საველე-კვლევით და ლაბორატორიულ სამუშაოებს. შესასწავლ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, არქეოლოგიური კვლევის დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: (ა) კვლევის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და საგნების საფუძვლიანი შესწავლა თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით; ბ) რეკომენდაციები გამოვლენილი ობიექტების კონსერვაციის პრობლემისა და პროექტის ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის დაგეგმვის შესახებ, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე.</p>	<p>პროცედურა უნდა გაიაროს მშენებელმა კონტრაქტორმა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში ისეთი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც განეკუთვნება კულტურულ მემკვიდრეობას.</p>
<p>კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ [მიღების თარიღი: 1999]</p>	<p>კანონი არეგულირებს ატმოსფერული ჰაერის დაცვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისგან. კანონის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ადამიანი ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი. განხილულია დაბინძურების ოთხი ტიპი (კარი II, თავი IV, მუხლი II.2): (i) ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება; (ii) ატმოსფერულ ჰაერზე რადიაციული ზემოქმედება; (iii) ატმოსფერული ჰაერის მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაბინძურება; და (iv) ატმოსფერულ ჰაერზე ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური</p>	<p>საცხოვრებლად ვარგისი ქლაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მშენებლობის და რეაბილიტაციის ეტაპზე, აღნიშნული კანონის მოთხოვნები დაარეგულირებს ხმაურის, ვიბრაციის და ემისიების დონეს, საპროექტო ზონების ტერიტორიაზე.</p>

	<p>ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედება. სახიფათო ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციის დაშვებული მაქსიმალური ზღვრები განისაზღვრება თითოეული დამაბინძურებლისთვის და წარმოადგენს საშიში დამაბინძურებლების მაქსიმალურ კონცენტრაციას, გასაშუალოებული პერიოდისთვის, რომელთა განმეორებადი მოქმედება არ ახდენს უარყოფით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. ატმოსფერულ ჰაერში სახიფათო ნივთიერებების ემისიის დაშვებული მაქსიმალური დონე განისაზღვრება საწარმოს განვითარების პერსპექტიული შესაძლებლობებით, ფიზიკური, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, გამოყოფილი ნივთიერებების დისპერსიის, სხვა მეზობელი საწარმოებიდან გამონაბოლქვი ნივთიერებების ფონური კონცენტრაციის, არსებული ან დაგეგმილი საცხოვრებელი სახლების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი ზონების ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. კანონის შესაბამისად (პუნქტი 28), სახიფათო გამონაბოლქვის სტაციონარული წყაროებიდან 21 დაბინძურების შეზღუდვის მიზნით, უნდა დადგინდეს გამონაბოლქვის ზღვარი. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები (მუხლი 29). ემისიის მაქსიმალური წლიური დონე ნიშნავს გამოყოფის მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს. ეს არის ემისიის ყოველწლიურად დასაშვები რაოდენობა, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია ტექნოლოგიით, გამოყოფის სტანდარტული ნებადართული</p>	
--	--	--



	<p>სიმძლავრის პირობებში. წლიური მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება თითოეული საშიში ნივთიერებისათვის და გამოითვლება ისე, რომ ემისიის ყველა სტაციონარული წყაროსთვის დაგროვილი გამონაბოლქვი ყველა რეგისტრირებული გამოყოფილი წყაროდან არ აღემატებოდეს შესაბამის მაქსიმალურ დასაშვებ დონეს.</p> <p>აკრძალულია სტაციონარული წყაროებიდან საშიში გამონაბოლქვის ემისია, გამოყოფის დამტკიცებული ზღვრის გარეშე. ემისიის სტანდარტები (მუხლი 30) უნდა შეიმუშაოს თავად საწარმომ. კანონის თანახმად (38-ე მუხლი) საწარმოს ევალება თვითმონიტორინგის განხორციელება, რომელიც მოიცავს გაფრქვევათა გაზომვას (შეფასებას), აღრიცხვას / რეგისტრაციას და ანგარიშგების წარმოებას. ემისია, რომელიც არ არის დაფიქსირებული თვითმონიტორინგის ჩანაწერში, მიიჩნევა უკანონოდ. როგორც 51-ე მუხლშია ნახსენები, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ ინფორმაციის შედეგები ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.</p>	
<p>კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ [მიღების თარიღი: 2007 წ.]</p>	<p>კანონის მიზანი შემდეგია: მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება. კანონი განსაზღვრავს მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. საზოგადოების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო</p>	<p>კანონი არეგულირებს ყველა სახის საქმიანობას/ქმედებას, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობაზე, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ქვეპროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში.</p>

	<p>გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრო ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხარისხობრივ ნორმებს (ატმოსფერული ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება), რომლებიც მოიცავს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებისა და მავნე ზემოქმედების ნორმებს. ნორმები სავალდებულოა. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია: არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას; დაიცვას სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოებასა და ტექნოლოგიურ პროცესებში სანიტარიული ნორმების დარღვევით გამოწვეული ყველა საგანგებო სიტუაციის შესახებ და სხვ. სტანდარტების დაცვა კონტროლდება შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. შიდა და გარე აუდიტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება სერტიფიცირებულ, დამოუკიდებელ ლაბორატორიას.</p>	
<p>კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ [მიღების თარიღი: 1994 წ.]</p>	<p>კანონი ითვალისწინებს ნაყოფიერი ნიადაგის რესურსების დაცვისა და შენარჩუნების პოლიტიკის მოთხოვნებსა და პრინციპებს ნეგატიური ზემოქმედებისგან. ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან საქართველოში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიცობი, მჟავე და ძლიერ დატენიანებული ნიადაგების სწორი და რაციონალური გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვია. აღნიშნული კანონის</p>	<p>საცხოვრებლად ვარგისი ქლაქების საინვესტიციო პროგრამის პროექტის სამუშაოების ფარგლებში, აღნიშნული კანონის მოთხოვნები არეგულირებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და შემდგომი მართვის წესებს - მშენებლობის, ან რეაბილიტაციის პროცესში.</p>



	<p>მიზანია განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად; კანონი განსაზღვრავს ნიადაგის დაცვის ზომებსა და მეთოდებს და კრძალავს გარკვეულ საქმიანობას, მაგალითად, აყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოუყენებლად; ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს; და ა.შ. აღნიშნული კანონის გარდა, ნიადაგის დაცვის საკითხები რეგულირდება სოფლის მეურნეობის მინისტრის # 2-277 (25.11.2005) ბრძანებით, „ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“.</p>	
<p>შრომის კოდექსი</p>	<p>შრომის კოდექსი არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. დამსაქმებლები ვალდებული არიან დაიცვან დოკუმენტის მოთხოვნები და მუხლები, რათა უზრუნველყონ თანამშრომელთა უფლებების დაცვა.</p>	<p>საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტის მშენებლობაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის უფლებები დაცული იქნება აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.</p>
<p>საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ</p>	<p>განსაზღვრავს იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების იმ ზოგადი პრინციპებს, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს. კანონი ვრცელდება</p>	<p>საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტის მშენებლობაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის უფლებები დაცული იქნება აღნიშნული</p>

	<p>სამუშაოებზე, რომლებიც მიიჩნევა, რომ საფრთხის შემცველია, სიმძიმეა, მავნეა და საშიშია. დამსაქმებლის მიერ საქართველოში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას არეგულირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი დეპარტამენტების მეშვეობით.</p>	<p>კანონის მოთხოვნების შესაბამისად.</p>
--	--	---

**B. გარემოს დაცვის რეგულაციები და სტანდარტები**

86. ცხრილი გვიჩვენებს ჰაერის ძირითადი დამაბინძურებლების ზღვრულ დასაშვებ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს (GEO), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და ევროკავშირის კანონმდებლობით

*ცხრილი 2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები*

პარამეტრი	გასაშუალოების პერიოდი	ლიმიტი (მკგ / მ <sup>3</sup> )			პროექტში გამოსაყენებელი სტანდარტები
		კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები (MPC) ჰაერის ხარისხისთვის	საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სახელმძღვანელოს ნორმა	ევროკავშირის (EU) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო ნორმები	
აზოტის დიოქსიდი (NO <sub>2</sub> )	30 წუთი	200	-	-	200 მკგ/ მ <sup>3</sup>
	1 საათი	200 მკგ/ მ <sup>3</sup>	200	200	200 მკგ/მ <sup>3</sup>
	24 საათი	40	-	-	
	1 წელი	40 მკგ/ მ <sup>3</sup>	40	40	
გოგირდის დიოქსიდი (SO <sub>2</sub> )	10 წუთი	-	500	-	
	30 წუთი	500	-	-	500
	1 საათი	-350 მკგ / მ <sup>3</sup>	-	350	-350 მკგ / მ <sup>3</sup>
	24 საათი	125 მკგ/ მ <sup>3</sup>	20	125	
ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	30 წუთი	5,000	-	-	5,000
	24 საათი	3,000	-	-	
	8 საათი	10 მგ/ მ <sup>3</sup>	-	-	10 მგ/ მ <sup>3</sup>
	24 საათი	150	-	-	

ჯამური შეწონილი მყარი ნაწილაკები (TSP) / მტვერი	30 წუთი	500	-	-	500
PM10	1 წელი	40 მკგ / მ <sup>3</sup>	20	40	20
	24 საათი	50 მკგ / მ <sup>3</sup>	50	50	50
PM2.5	1 წელი	25 მკგ / მ <sup>3</sup>	10	25	10
	24 საათი		25	-	25
ოზონი	მაქსიმალური დღიური 8-საათიანი კონცენტრაცია	120 მკგ/ მ <sup>3</sup>	100	120	

შენიშვნა: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელოს გლობალური განახლება, 2005 წ. PM 24-საათიანი ნორმა არის 99-ე პოცენტილი. მოცემულია შუალედური სამიზნეები იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა საჭირო რეკომენდაციების მისაღწევად.

87. IFC-ის ხმაურის დასაშვები ნორმები და საქართველოს ეროვნული სტანდარტები საცხოვრებელი ადგილებისთვის მსგავსია. ხმაურის ეროვნული ნორმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად - საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სივრცეებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ (დოკუმენტი # 300160070.10.003.020107, თარიღი 15/08/2017) იხილეთ ცხრილი.
88. IFC-ის თანახმად, ხმაურის ზემოქმედებამ არ უნდა გადააჭარბოს აკუსტიკური ხმაურის ზღვრულ მაჩვენებლებს, რაც წარმოდგენილია ზემოთ, „სივრცის“, ე.ი. დახურული ფანჯრების და კარების რუტინული ოპერირების პირობებში (გამონაკლისს წარმოადგენს - ჩაშენებული სავენტილაციო არხები), როდესაც ვენტილაცია, კონდიციონერება, განათება (განათების არსებობის შემთხვევაში) ჩართულია; ფონური (საბაზისო) ხმაური (როგორცაა მაგ. მუსიკა, საუბარი) არ ითვლება;
89. IFC-ის თანახმად, ხმაურის ზემოქმედებამ არ უნდა გადააჭარბოს ცხრილებში მოცემულ დონეს ან გამოიწვიოს ფონის დონის მაქსიმალური ზრდა 3 დეციბელით (დბ), ადგილს გარეთ მდებარე უახლოეს მიმდებთან. ეს პროგრამა შეესაბამება როგორც IFC-ის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასევე საქართველოს სტანდარტებს. გაითვალისწინეთ, რომ

ქართული სტანდარტები ეხება დასაშვებ საზღვრებს შენობაში და არა შენობის ფასადზე.

90. საბაზისო მონიტორინგის, და სამშენებლო და ექსპლოატაციის ეტაპების დროს ხმაურის შეფასების მიზნით, მოხდება IFC-ის ნორმების დაცვა. სამუშაო ადგილზე ხმაურთან მიმართებაში უნდა მოხდეს IFC-ის სახელმძღვანელო ნორმების დაცვა.

**ცხრილი 3: ხმაურის დონის<sup>4</sup> ქართული სტანდარტები**

სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები (A-დეციბელები (დბA))		
	L დღე		23:00 - 08:00
	08:00 - 19:00 დღე	სადამო 19:00-23:00	L <sub>დაღე</sub> , ღამე
სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
სასტუმროების/ მოტელის ნომრები	40	35	35
სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
მყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
მცირე ზომის ოფისების (≤100 მ3) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
მცირე ზომის ოფისების (≤100 მ3) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
საკონფერენციო დარბაზები / შეხვედრების ოთახები	35	35	35
ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	55	50	45
ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შენიშვნა: 1. იმ შემთხვევაში თუ როგორც შიდა, ისე გარე წყაროების მიერ წარმოქმნილი ხმაური იმპულსური ან ტონალური ხასიათისაა, ნორმატივად ითვლება ცხრილში მითითებულ მნიშვნელობაზე 5 დბ A-ით ნაკლები სიდიდე. შენიშვნა 2. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სივრცის

<sup>4</sup> დასაშვები ზღვრები შენობის შიგნით, და არა შენობის ფასადზე

ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ე.ი. როცა სივრცეში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერის, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და ვიზიტორთა საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

91. აკუსტიკური ხმაურის ზემოაღნიშნული დასაშვები ნორმები დადგენილია სივრცის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისთვის, ანუ, როცა სივრცეში დახურულია კარები და ფანჯრები (გამონაკლისია ჩაშენებული სავენტილაციო არხები), ჩართულია ვენტილაციის, კონდიციონერის, ასევე განათების მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ამასთან, ფუნქციური (ფონური) ხმაური (მაგ., ჩართული მუსიკა, მომუშავეთა და საუბარი) გათვალისწინებული არ არის.

**ცხრილი 4.** გამოსაყენებელი ხმაურის დონის სახელმძღვანელო მითითებები, IFC-ის გარემოს დაცვის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად

მიმღები	ერთსაათიანი $L_{aeq}$ (დბA)	
	დღისით 07.00-22.00	ღამით 22.00 – 07.00
საცხოვრებელი; ინსტიტუციური; საგანმანათლებლო (დაწესებულება)	55	45
სამრეწველო; კომერციული	70	70

**ცხრილი 5:** სამუშაო ადგილებზე ხმაურის ზღვრულად დასაშვები დონეები IFC-ის გარემოს დაცვის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად

სამუშაოს ტიპი, სამუშაო ადგილი	IFC-ისგარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები
მძიმე მრეწველობა (ზეპირი კომუნიკაციის მოთხოვნა არ არის)	85 ეკვივალენტური დონე $L_{aeq}$ , 8 სთ
მსუბუქი მრეწველობა (ზეპირი კომუნიკაციის მოთხოვნის შემცირება)	50-65 ეკვივალენტური დონე $L_{aeq}$ , 8 სთ

### ვიბრაციის სტანდარტები

92. ვიბრაციის ქართული სტანდარტები შექმნილია ადამიანის კომფორტისთვის. ეს ნაჩვენებია ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ შენობის დაზიანების სტანდარტები არ არსებობს.

**ცხრილი 6: საქართველოს ზოგადი მისაღები ვიბრაციული ნორმები<sup>5</sup>**

ოქტავის ზონების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები (ჰც)	დასაშვები ნორმები X0, Y0, Z0			
	ვიბრო-აჩქარება		ვიბრო-სიჩქარე	
	მ / წმ <sup>2</sup>	დბ	მ/წმ 10 <sup>-4</sup>	დბ
2	4.0	72	3.2	76
4	4.5	73	1.8	71
8	5.6	75	1.1	67
16	11.0	81	1.1	67
31.5	22.0	87	1.1	67
63	45.0	93	1.1	67
შესწორებული და ექვივალენტური შესწორებული ნორმები და მათი დონეები	4.0	72	1.1	67

შენიშვნა: დასაშვებია ვიბრაციის ნორმატიული მნიშვნელობების გადაჭარბება დღის განმავლობაში 5 დბ-ით. არამდგრადი ვიბრაციების ამ ცხრილში დასაშვები დონის ნორმების შესწორებაა 10დბ, ხოლო აბსოლუტური ნორმები მრავლდება 0.32-ზე. ვიბრაციის დასაშვები დონეები საავადმყოფოებისა და დასასვენებელი სახლებისთვის უნდა შემცირდეს 3დბ-ით. გაითვალისწინეთ, რომ შენობის დაზიანების სტანდარტები არ არსებობს.

93. სახელმწიფო გზატკეცილებისა და ტრანსპორტირების ხელმძღვანელთა ამერიკული ასოციაცია (AASHTO) (1990) განსაზღვრავს ვიბრაციის მაქსიმალურ დონეს კონსტრუქციების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ცხრილში 7 შეჯამებულია მაქსიმალური დონე. მშენებლობის ეტაპზე მოხდება აღნიშნული (AASHTO) სტანდარტის დაცვა.

**ცხრილი 7. დაზიანების თავიდან ასაცილებლად AASHTO-ს მაქსიმალური ვიბრაციის დონეები**

ადგილმდებარეობის ტიპი	სიჩქარის შეზღუდვა (წამში)
ისტორიული ადგილები ან სხვა კრიტიკული ადგილები	0.1
საცხოვრებელი კორპუსები, შელესილი კედლები	0.2-0.3
საცხოვრებელი კორპუსები კარგ მდგომარეობაში თაბაშირ-მუყაოს კედლებით	0.4-0.5

<sup>5</sup> საცხოვრებელ სახლებში, საავადმყოფოებსა და დასასვენებელ სახლებში (სანიტარული ნორმები, 2001 წ.).



ადგილმდებარეობის ტიპი	სიჩქარის შეზღუდვა (წამში)
დამუშავებული კონსტრუქციები, ბათქაშის გარეშე	1.0-1.5

**ნიადაგის ხარისხი**

94. საქართველოში ნიადაგის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ინსტრუქციით "ნიადაგის ქიმიური დაბინძურების დონე" (MM 2.1.7. 004-02). ნიადაგში სხვადასხვა ნივთიერებებისა და ელემენტების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

**ცხრილი 8: ნიადაგში სხვადასხვა ნივთიერებებისა და ელემენტების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია**

კომპონენტი	ერთეული	დონე
დარიშხანი	მგ/კგ	2-10
სპილენძი	მგ/კგ	3
ვერცხლისწყალი	მგ/კგ	2.1
ნიკელი	მგ/კგ	4
ტყვია	მგ/კგ	32
თუთია	მგ/კგ	23
ნაჯერი ნახშირწყალბადები	მგ/კგ	0.1
ფენოლი (ნაჯერი)	მგ/კგ	-
ციანიდი	მგ/კგ	-
სულფატი	მგ/კგ	-
ქლორიდი	მგ/კგ	-
ამონიუმის ნიტროგენი	მგ/კგ	-
აორთქლებადი ორგანული ნაერთები		
ბენზოილი	მგ/კგ	0.3
ტოლუოლი	მგ/კგ	0.3
ეთილბენზოლი	მგ/კგ	-
ნაჯერი ქსილენი (ორთო, მეტა, პარა)	მგ/კგ	0.3
ნახევრად აორთქლებადი ნაერთები		
ბენზოპირენი	მგ/კგ	0,02
იზოპროპილენბენზოლი	მგ/კგ	0.5
პესტიციდები		
ატრაზინი	მგ/კგ	0.5
ლინდენი	მგ/კგ	0.1
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ/კგ	0.1

**გრუნტის წყლის ხარისხის სტანდარტები**

95. საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს გრუნტის წყლების ხარისხის სტანდარტებს. გრუნტის წყლების ხარისხი რეგულირდება სასმელი წყლისთვის დადგენილი ნორმებით. სასმელი წყლის ხარისხის კრიტერიუმები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტით სასმელი წყლის შესახებ (მთავრობის რეგულაცია 2014 წლის 15 იანვრიდან N 58) მოცემულია ცხრილი 9-ში).

**ცხრილი 9. სასმელი წყლის კრიტერიუმები**

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ნორმატივი არაუმეტეს:
<b>საერთო მახასიათებლები</b>		
წყალბადის ინდექსი	PH	6-9
პერმანგანატის დაჟანგვა	მგ O2 / ლ	3,0
<b>არაორგანული ნივთიერება</b>		
ბარიუმი (Ba 2+)	მგ / ლ	0.7
ბორი (B, ჯამური)	მგ / ლ	0.5
დარიშხანი (As, ჯამური)	მგ / ლ	0.01
ვერცხლისწყალი (Hg, არაორგანული),	მგ / ლ	0.006
კადმიუმი (Cd, ჯამური)	მგ / ლ	0.003
მანგანუმი (Mn, ჯამური)	მგ / ლ	0.4
მოლიბდენი (Mo, ჯამური)	მგ / ლ	0.07
ნიკელი (Ni, ჯამური)	მგ / ლ	0.07
ნიტრატები (NO-3-ით ხანმოკლე ზემოქმედება)	მგ / ლ	50
ნიტრატები (NO-2-ით ხანმოკლე ზემოქმედება)	მგ / ლ	0.2
სელენი (Se, ჯამური)	მგ / ლ	0.01
სპილენძი (Cu, ჯამური)	მგ / ლ	2.0
ყვია (Pb, ჯამური)	მგ / ლ	0.01
ფტორიდები (F)	მგ / ლ	0.7
ქრომი (Cr6 +)	მგ / ლ	0.05
სტიბიუმი (Sb)	მგ / ლ	0.02
ციანიდები (CN-)	მგ / ლ	0.07
<b>ორგანული ნივთიერება</b>		
პესტიციდების საერთო შემცველობა	მგ / ლ	0.05

შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს გრუნტის წყლების ხარისხის სტანდარტებს. გრუნტის წყლების ხარისხი რეგულირდება სასმელი წყლისთვის დადგენილი ნორმებით.

**ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტები**

96. ზედაპირზე მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციების ნორმები მოცემულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს #297N ბრძანებაში (16.08.2001) გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ (შესწორებულია იმავე სამინისტროს 24.02.2003 წლის №38/ნ ბრძანებით). დამაბინძურებლების დასაშვები დონე ზედაპირულ წყლებში მოცემულია ცხრილში. ყველა ჩამდინარე წყალი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნულ სტანდარტებს. ეროვნულ სტანდარტებში არ არის მითითებული კონკრეტული პარამეტრები; აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება IFC-ის სახელმძღვანელო პრინციპები.

**ცხრილი 10:** ზედაპირული წყლის ხარისხის შესაბამისი სტანდარტები

პარამეტრი	მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია	წყარო
pH	6.5-8.5	ადგილობრივი
გახსნილი ჟანგბადი, მგ / ლ	4-6	ადგილობრივი
BOD5, მგ / ლ	30	IFC
COD, მგ / ლ	125	IFC
საერთო აზოტი, N, მგ / ლ	10	IFC
სულ ფოსფატი, მგ / ლ	2	IFC
ქლორიდი, მგ / ლ	350	ადგილობრივი
ნავთობპროდუქტები, მგ / ლ	0.3	ადგილობრივი
თუთია (Zn <sup>2+</sup> )	1g/kg	ადგილობრივი
ყვია (Pb ჯამური)	23.0	ადგილობრივი
ქრომი (Cr <sup>6+</sup> )	32.0	ადგილობრივი
კადმიუმი (Cd, ჯამური)	6.0	ადგილობრივი
ჯამური შეწონილი მყარი ნაწილაკები, მგ / ლ	50	IFC

შენიშვნა: ეროვნულ სტანდარტებში არ არის მითითებული კონკრეტული პარამეტრები; აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება IFC-ის სახელმძღვანელო პრინციპები.

97. ხარისხის მოთხოვნები დამოკიდებულია წყლის ობიექტის კატეგორიაზე (რეგ. ზედაპირული წყლის დაბინძურებისგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის #425 დადგენილებით, 31/12/2013). კატეგორიებია: (ა) საყოფაცხოვრებო წყლის გამოყენება; ბ) სასმელი წყლის გამოყენება; და (გ) თევზით მდიდარი ადგილები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა უმაღლეს, პირველ და მეორე კატეგორიებად.

**ცხრილი 11:** წყლის ხარისხის მოთხოვნები წყლის გამოყენების კატეგორიის მიხედვით

	წყლის გამოყენების კატეგორია			
	საყოფაცხოვრებო წყლის გამოყენება	საოჯახო წყლის გამოყენება	თევზის სარეწები	
			უმაღლესი და პირველი	მეორე
	ნამატი არ არის უფრო მაღალი, ვიდრე ქვემოთ ჩამოთვლილი			
შეწონილი მყარი ნაწილაკები	0.25 მგ/ლ	0.75 მგ/ლ	0.25 მგ/ლ	0.75 მგ/ლ
	შეწონილი მყარი ნაწილაკების ბუნებრივი შემცველობის მქონე მდინარეებისათვის 30 მგ / ლ დასაშვებია დაახლოებით 5% - იანი ზრდა			
	თუ ჩამდინარე წყლები შეიცავს შეწონილ მყარ ნაწილაკებს, რომელთა დალექვის სიჩქარე 0.2 მმ / წმ-ზე მეტია, წყალსატევებში ჩაღვრა დაუშვებელია. აკრძალულია ჩამდინარე წყლების გამოშვება, რომლებიც შეიცავს შეწონილ მყარ ნაწილაკებს, დეპონირების სიჩქარით 0.4 მმ / წმ-ზე მეტი.			
მოტივტივე მასალა	ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ცხიმების ლაქები და ნადები არ უნდა იყოს გამოვლენილი			
ფერი	არ უნდა იყოს ხილული წყლის სვეტში		წყალს არ უნდა ჰქონდეს უჩვეულო ფერი	
	20 სმ	10 სმ	-	
სუნი, გემო	წყალს არ უნდა ჰქონდეს სუნი და გემო 1 ერთეულზე მაღალი		წყალმა არ უნდა გამოიწვიოს თევზის უჩვეულო სუნი და გემო	
	სხვა დამუშავების ქლორირების შემდეგ	დამუშავების გარეშე	-	
ტემპერატურა	ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემდეგ, წყლის რეზერვუარში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 5 პროცენტზე მეტს ბუნებრივ ნორმასთან შედარებით		წყლის ობიექტებისთვის, რომლებიც წარმოადგენს ცივი წყლის თევზის ჰაბიტატს, როგორცაა <i>Acipenseridae</i> , <i>Coregonidae</i> , მაქსიმალური დასაშვები ტემპერატურა ზაფხულში და	

	წყლის გამოყენების კატეგორია			
	საყოფაცხოვრებო წყლის გამოყენება	საოჯახო წყლის გამოყენება	თევზის სარეწები	
			უმაღლესი და პირველი	მეორე
			ზამთარში არის 20°C და 5°C, ხოლო სხვა წყლის ობიექტებისთვის - 28°C (ზაფხულში), 8°C (ზამთარში).	
pH	უნდა იყოს 6.5 - 8.5 ინტერვალით			
წყლის მინერალიზაცია	<1000 მგ / ლ, ქლორიდების ჩათვლით - 350 მგ / ლ; სულფატები - 500 მგ / ლ	შეესაბამებოდეს გემოსთან დაკავშირებულ ინაწილში მოცემული მოთხოვნასთან (იხ. ზემოთ)	დაბეგვრის შესაბამისად	
გახსნილი ჟანგბადი	არ უნდა იყოს დაბალი, ვიდრე			
	4 მგ/ლ	4 მგ/ლ	6 მგ/ლ	6 მგ/ლ
ბიოლოგიურ ჟანგბადზე მოთხოვნა	20°C ტემპერატურაზე არ უნდა აღემატებოდეს			
	3 მგ/ლ	6 მგ/ლ	3 მგ/ლ	6 მგ/ლ
ქიმიურ ჟანგბადზე მოთხოვნა	არ უნდა აღემატებოდეს			
	15 მგ/ლ	30 მგ/ლ	-	-
ქიმიური ნივთიერებები	არ უნდა აღემატებოდეს დასაშვებ მაქსიმალურ ზღვარს			
პათოგენები	თავისუფალი უნდა იყოს პათოგენებისგან, მათ შორის, ჰელმინთის სიცოცხლისუნარიანი კვერცხუჯრედები, ონკოლოგიური ტენიები და პათოგენური ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანი კისტები.			
ტოქსიკურობა	-	-	მდინარის ჩაშვებისა და კონტროლის მონაკვეთზე არ უნდა აღინიშნოს ტოქსიკური ზემოქმედება.	

სანიტარული ჩამდინარე წყლები

98. საწარმოო ობიექტების საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეიძლება მოიცავდეს საყოფაცხოვრებო კანალიზაციის, კვების სერვისისა და სამრეცხაო ობიექტების ჩამდინარე წყლებს, რომლებიც ემსახურებიან ობიექტის თანამშრომლებს. სხვადასხვა ჩამდინარე წყლები ლაბორატორიებიდან, სამედიცინო საავადმყოფოებიდან, წყლის დარბილებით და ა.შ. ასევე შეიძლება ჩაედინებოდეს სანიტარული ჩამდინარე წყლების დამუშავების სისტემაში. სანიტარული ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგიები მოიცავს:
- i. ჩამდინარე წყლების ნაკადების სეგრეგაციას შერჩეული გამწმენდის ვარიანტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მაგ. სეპტიკური სისტემა, რომელსაც მხოლოდ საყოფაცხოვრებო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მიღება შეუძლია);
  - ii. ნავთობისა და ცხიმის შემცველი ჩამდინარე წყლების გამოყოფა და წინასწარი დამუშავება (მაგ. ცხიმდამჭერის გამოყენება) კანალიზაციის სისტემებში ჩაშვებამდე.
99. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლები უნდა ჩაედინებოდეს ზედაპირულ წყლებში, დამუშავება უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარული ჩამდინარე წყლების გამოყოფის ეროვნულ ან ადგილობრივ სტანდარტებს ან მათი არარსებობის შემთხვევაში, სანიტარული ჩამდინარე წყლების ჩაედინების საორიენტაციო მითითებებს, რომლებიც მოცემულია ცხრილში.
100. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლები უნდა ჩაედინებოდეს სეპტიკურ სისტემაში ან თუ მიწა გამოიყენება გამწმენდი სისტემის შემადგენლობაში, საჭიროა სანიტარული ჩამდინარე წყლების გამოყოფის შესაბამისი ეროვნული ან ადგილობრივი სტანდარტების დაცვა. სანიტარული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებიდან ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნებას და გრძელვადიან მდგრადობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დროს გამოყენებული იქნება ყველაზე მკაცრი სტანდარტები.
101. მშენებლობის ეტაპზე, წყლის ხარისხის მონიტორინგი შეფასდება ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. სამშენებლო ტერიტორიებიდან და ბანაკებიდან ჩამდინარე წყლის მოცილება შეფასდება IFC-ის (დამუშავებული/გამწმენდილი საყოფაცხოვრებო კანალიზაციის მოცილებასთან მიმართებაში მოქმედი) ნორმების შესაბამისად.

**ცხრილი 12. დამუშავებული სანიტარული კანალიზაციის გატანის/მოცილების საორიენტაციო მითითებები**

დამაბინძურებელი	ერთეული	სტანდარტები			პროექტში გამოყენებული სტანდარტები
		GEO	WB	EU	
pH	pH	6-9	6-9	-	6-9
ბიოქიმიური ჟანგბადის მოთხოვნა (BOD)	მგ / ლ	35	30	25	30
ქიმიურ ჟანგბადზე მოთხოვნა(COD)	მგ / ლ	125	125	125	125
ჯამური ფოსფორი	მგ / ლ	2	2	2	2
ჯამური აზოტი	მგ / ლ	15	10	15	10
ჯამური შეწონილი მყარი ნაწილაკები	მგ / ლ	60	50	35	50
კოლიფორმული ბაქტერიები	[1]MPN <sup>b</sup> /100 მლ		400 <sup>a</sup>		400 <sup>a</sup>

102. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები წყლის და კანალიზაციისთვის: წყალმომარაგების სისტემების სასმელი წყლის ხარისხი მოიცავს შემდეგი (ობიექტების) ექსპლოატაციის და მოვლა-პატრონობის შესაბამის ინფორმაციას, აღნიშნული ობიექტებია:

- (i) სასმელი წყლის გამწმენდი და გამანაწილებელი სისტემები; და
- (ii) კანალიზაციის შეკრება ცენტრალიზებულ სისტემებში (როგორცაა მაგ. კანალიზაციის მილებიანი შემკრები ქსელები) ან დეცენტრალიზებული სისტემები (როგორცაა მაგ. სეპტიკური ავზები, რომელსაც შემდგომ ემსახურება სატუმბი აგრეგატები) და გაწმენდილი შეკრებილი კანალიზაცია ცენტრალიზებულ ობიექტებში. საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის სახელმძღვანელო პრინციპები რეკომენდაციას უწევს სასმელი წყლის მომარაგების და კანალიზაციის მართვის ყველა ეტაპზე გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ზემოქმედების პრევენციას, მინიმუმამდე დაყვანას და კონტროლს, მათ შორის, წყლის მოცილებას და წყლის ხარისხის დაცვას, სასმელი წყლის გაწმენდას, წყლის განაწილებას და ჩამდინარე წყლის შეკრებას და გაწმენდას.

103. ნებართვების მიღება უნდა მოხდეს პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებამდე.

104. პროექტის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო მარეგულირებელი ნებართვის და თანხმობის მიღება - სამშენებლო

სამუშაოების დაწყებამდე. მშენებლობის ზედამხედველ კონსულტანტთან და მშენებელ კომპანიასთან ერთად, პროექტის განმახორციელებელი უწყება პასუხისმგებელია ნებართვების/თანხმობების მიღებასა და შესაბამისი პირობების/სპეციფიკაციების/დებულებების გათვალისწინებაზე - ქვეპროექტის ტექნიკურ პროექტში, ხარჯებსა და განხორციელებაში. პროექტის განმახორციელებელმა უწყებამ უნდა აცნობოს აზიის განვითარების ბანკს ნებართვებთან/თანხმობებთან შესაბამისობის სტატუსის თაობაზე, პროექტის რეგულარული ანგარიშგების ფარგლებში.

105. საწარმოო ობიექტების საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეიძლება მოიცავდეს საყოფაცხოვრებო კანალიზაციის, კვების სერვისისა და სამრეცხაო ობიექტების ჩამდინარე წყლებს, რომლებიც ემსახურებიან ობიექტის თანამშრომლებს. სხვადასხვა ჩამდინარე წყლები ლაბორატორიებიდან, სამედიცინო საავადმყოფოებიდან, წყლის დარბილებით და ა.შ. ასევე შეიძლება ჩაედინებოდეს სანიტარული ჩამდინარე წყლების დამუშავების სისტემაში. სანიტარული ჩამდინარე წყლების მართვის სტრატეგიები მოიცავს:

- (i) ჩამდინარე წყლების ნაკადების სეგრეგაციას შერჩეული გამწმენდის ვარიანტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მაგ., სექტიკური სისტემა, რომელსაც მხოლოდ საყოფაცხოვრებო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მიღება შეუძლია);
- (ii) ნავთობისა და ცხიმის შემცველი ჩამდინარე წყლების გამოყოფა და წინასწარი დამუშავება (მაგ. ცხიმდამჭერის გამოყენება) კანალიზაციის სისტემებში ჩაშვებამდე.

106. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლები უნდა ჩაედინებოდეს ზედაპირულ წყლებში, დამუშავება უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარული ჩამდინარე წყლების გამოყოფის ეროვნულ ან ადგილობრივ სტანდარტებს ან მათი არარსებობის შემთხვევაში, სანიტარული ჩამდინარე წყლების ჩადინების საორიენტაციო მითითებებს, რომლებიც მოცემულია ცხრილში.

107. თუ სამრეწველო ობიექტიდან ჩამდინარე წყლები უნდა ჩაედინებოდეს სექტიურ სისტემაში ან თუ მიწა გამოიყენება გამწმენდი სისტემის შემადგენლობაში, საჭიროა სანიტარული ჩამდინარე წყლების გამოყოფის შესაბამისი ეროვნული ან ადგილობრივი სტანდარტების დაცვა. სანიტარული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებიდან ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა არარსებობის შემთხვევაში, ეს უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნებას და გრძელვადიან მდგრადობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დროს გამოყენებული იქნება ყველაზე მკაცრი სტანდარტები.



108. მშენებლობის ეტაპზე, წყლის ხარისხის მონიტორინგი შეფასდება ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. სამშენებლო ტერიტორიებიდან და ბანაკებიდან ჩამდინარე წყლის მოცილება შეფასდება IFC-ის (დამუშავებული/გაწმენდილი საყოფაცხოვრებო კანალიზაციის მოცილებასთან მიმართებაში მოქმედი) ნორმების შესაბამისად.
109. ცხრილში წარმოდგენილია ქვეპროექტისთვის საჭირო ნებართვები ან თანხმობები. კონტრაქტორმა მოთხოვნები მშენებლობის დაწყებამდე უნდა დააკმაყოფილოს და ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვაც მშენებლობის დაწყებამდე უნდა მიიღოს.

**ცხრილი 13. საჭირო თანხმობები და ნებართვები**

<u>მშენებლობა</u>	<u>საჭირო თანხმობა</u>	<u>განხორციელება</u>	<u>ზედამხედველობა</u>
მიწა საპროექტო სამუშაოების განსახორციელებლად	კონკრეტული მიწის გამოყოფა და დამტკიცება მშენებლობის წინა ეტაპზე	განმახორციელებელი უწყება	აღმასრულებელი უწყება
მშენებლობა მემკვიდრეობის ტერიტორიებზე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნა	განმახორციელებელი უწყება	აღმასრულებელი უწყება
ახალი წყალგამწმენდი ნაგებობის (STP) მშენებლობა, ან რეაბილიტაცია	ახალი წყალგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება 50,000-ზე მეტი რაოდენობის მოსახლეობას, საჭიროებს გზმ-ს მომზადებას და შესაბამისი ნებართვის მიღებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. არსებული წყალგამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია გზმ-ს ნებართვას არ საჭიროებს.	განმახორციელებელი უწყება	აღმასრულებელი უწყება
ხეების ჭრა <sup>6</sup>	გარემოს დაცვის და სოფლის	განმახორციელებელი	აღმასრულებელი უწყება

<sup>6</sup> საქართველოს თვითმმართველობის ორგანული კანონის (მე-16 მუხლის) თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის და ტყის რესურსების და მიწის რესურსების მართვაზე. შესაბამისად, თუ მოსაჭრელი ხეები მდებარეობს მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხეების მოჭრის ნებართვა უნდა გაიცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. თუმცა, წითელი ნუსხის სახეობების შემთხვევაში, ხეების ინვენტარიზაცია უნდა მიეწოდოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ხეების მოჭრის ნებართვა უნდა გასცეს საქართველოს მთავრობამ (საქართველოს წითელი ნუსხის და საქართველოს წითელი მონაცემების წიგნის შესახებ არსებული კანონის შესაბამისად, მუხლი 24). №221 რეზოლუციის თანახმად, როდესაც

	მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში არსებული ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაბამისი დასკვნა; ადგილობრივი მუნიციპალიტეტი; სახელმწიფო საკუთრების ეროვნული სააგენტო; საქართველოს მთავრობა	უწყება/მშენებელი კომპანია	
(ცხელი ასფალტო-ბეტონის ნარევის) მოსამზადებელი აგრეგატები, სამსხვრეველები, ბეტონის ქარხნები	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა	მშენებელი კომპანია	განმახორციელებელი უწყება
გენერატორის აგრეგატები			
სახიფათო მასალების განთავსება, განკარგვა და ტრანსპორტირება	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა	მშენებელი კომპანია	განმახორციელებელი უწყება
მინერალების მოპოვება და კარიერები	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა	მშენებელი კომპანია	განმახორციელებელი უწყება
სატრანსპორტო მოძრაობის დროებითი ცვლილება მშენებლობის პროცესში	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (პატრულის პოლიციის დეპარტამენტის) შესაბამისი დასკვნა	განმახორციელებელი უწყება/ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	განმახორციელებელი უწყება/ადგილობრივი მუნიციპალიტეტი
სამშენებლო ბანაკების მოწყობა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს <sup>7</sup>	მშენებელი კომპანია	განმახორციელებელი უწყება

ტერიტორია ეკუთვნის სატყეო ფონდს, შესაბამისი ნებართვა მიღებულ უნდა იქნას ეროვნული სატყეო სააგენტოდან. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ტერიტორიის შემთხვევაში, ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოთ სახელმწიფო საკუთრების ეროვნულ სააგენტოს (საქართველოს სახელმწიფო საკუთრების შესახებ არსებული კანონის შესაბამისად, მუხლი 291).

<sup>7</sup> საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ საპროექტო სამუშაოები არ ითვალისწინებს გზს-ს მომზადებას, სამშენებლო ბანაკის მოწყობისთვის გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასკვნის მიღების საჭიროება არ არის.

	შესაბამისი დასკვნა		
სამშენებლო ნარჩენების გატანა	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად	მშენებელი კომპანია	განმახორციელებელი უწყება
მიწების ჩაწობა და სხვა სამშენებლო სამუშაოები	2 კმ-ზე მეტი სიგრძის კანალიზაციის მიწების ჩაწობის შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო ფართობი 5 ჰექტარზე ან მეტ სივრცეზეა გადაჭიმული, ან თუ გათვალისწინებულია 5 კმ-ზე მეტი სიგრძის მიწების ჩაწობა ნათობის, გაზის, ან ნახშიროჟანგის ტრანსპორტირებისთვის, საჭიროა სკრინინგის ანგარიშების მომზადება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარსადგენად.	განმახორციელებელი უწყება	აღმასრულებელი უწყება
ახალი მიწისებური ჭების მშენებლობა ან ახალი გრუნტის წყლის ამოღება	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დასკვნა	მიმღები მუნიციპალიტეტი	გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო

**C. საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებები და მათი გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ფარგლებში**

110. საქართველო გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებების და კონვენციების ნაწილია, აღნიშნული შეთანხმებები და კონვენციებია:

**ცხრილი 14. საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები და მათი გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან (LCIP) მიმართებაში**

საერთაშორისო შეთანხმება	აღწერა	გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან (LCIP) მიმართებაში და კონკრეტული მოთხოვნები
რამსარის კონვენცია, 1971 წ.	<p>რამსარის კონვენცია მთავრობათშორის შეთანხმებას წარმოადგენს და უზრუნველყოფს ეროვნული (ადგილობრივი) საქმიანობის და საერთაშორისო თანამშრომლობის სტრუქტურას, ჭარბტენიანი ტერიტორიების და შესაბამისი რესურსების დაცვის და რაციონალური გამოყენების მიზნით.</p> <p>საქართველო შეთანხმების ერთ-ერთი ხელმომწერი ქვეყანაა. რამსარის კონვენციის თანახმად, დოკუმენტის ხელმომწერი ქვეყნები ვალდებული არიან, რომ გაითვალისწინონ ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვა ნაციონალური მიწით</p>	<p>არ გამოიყენება, რადგან რამსარის (კონვენციით გათვალისწინებული) ტერიტორიები პროექტის არცერთ ქალაქში არ არის. თუ მომავალში საქმიანობა განხორციელდება რამსარის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიახლოვეს, აუცილებელი იქნება კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა (რამსარის კონვენციის ცნობარი ჭარბტენიანი ტერიტორიების რაციონალური გამოყენებისთვის მე-4 გამოცემა (2010 წ.), (<a href="http://www.ramsar.org/cda/en/ramsar-pubs-handbooks/main/ramsar/1-30-33_4000_0">http://www.ramsar.org/cda/en/ramsar-pubs-handbooks/main/ramsar/1-30-33_4000_0</a>) .</p>

საერთაშორისო შეთანხმება	აღწერა	გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან (LCIP) მიმართებაში და კონკრეტული მოთხოვნები
	სარგებლობის გეგმებში.	
კონვენცია ველური ფაუნის და ფლორის გადაშენების პირას მყოფ სახეობებთან დაკავშირებული საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), 1973 წ.	საქართველო აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი ქვეყანაა; კონვენციის მიზანია გადაშენების პირას მყოფ სახეობებთან დაკავშირებული საერთაშორისო კომერციული ვაჭრობის კონტროლი.	კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატების გათვალისწინების რეკომენდაცია, თუ ნუსხაში შესული სახეობები დაფიქსირდება (საპროექტო) ტერიტორიაზე.
ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და მათი განთავსების შესახებ, 1989 წ.	საქართველო აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი ქვეყანაა; კონვენციის მიზანია ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და სახიფათო ნარჩენების წარმოების შემცირება.	მესამეული დამუშავების პროცესის შედეგად წარმოქმნილი ლამი/ნარჩენები შესაძლოა შეიცავდეს მძიმე ლითონებს, რის გამოც აღნიშნული შესაძლოა მივაკუთვნოთ სახიფათო ნარჩენების კატეგორიას. ლამის/ნარჩენების გადაყრა მოხდება ქვეყნის ფარგლებში და შესაბამისად, არ გამოიწვევს აღნიშნული კონვენციის ამოქმედებას. კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შენახვა, განკარგვა, ტრანსპორტირება და გადაყრა, 2016 წ. სახიფათო ნარჩენების წესების რეგულაციების შესაბამისად.
შეთანხმება ღამურების პოპულაციის დაცვის შესახებ ევროპაში, 1991 წ.	საქართველო აღნიშნული შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანაა; შეთანხმების მიზანია ღამურების წინასწარ განზრახული დაჭერის, მოვლის, ან მოკვლის აკრძალვა, თუ აღნიშნული კვლევითი მიზნით არ ხორციელდება, რა შემთხვევაშიც საჭიროა სპეციალური ნებართვა. გარდა აღნიშნულისა, წევრი ქვეყნების მიერ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი ადგილები	მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს და განიხილოს რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს ეორგნულ (ადგილობრივ) დონეზე.

საერთაშორისო შეთანხმება	აღწერა	გამოყენება საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამასთან (LCIP) მიმართებაში და კონკრეტული მოთხოვნები
	<p>დამურების დაცვის, მათი პოპულაციების სტატუსის და მოძრაობის მიმართულების შესწავლის, ასევე გადაფრენის მარშრუტების კვლევის თვალსაზრისით.</p>	
<p>ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის შესახებ, 1998 წ.</p>	<p>საქართველო აღნიშნული შეთანხმების ხელმძღვანელი ქვეყანაა; შეთანხმების მიზანია, ახლანდელი და მომავალი თაობის თითოეული ადამიანის მხარდაჭერა, რათა მისი ჯანმრთელობისთვის და კარგად ყოფნისთვის ადეკვატურ გარემოში ცხოვრების უფლება იყოს დაცული; თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საზოგადოებრივი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ხელმისაწვდომობა სამართლიანობაზე - გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული კონვენციის დებულებების მიხედვით.</p>	<p>განმახორციელებელმა უწყებამ/აღმასრულებელმა უწყებამ უნდა დაიცვას საქართველოს მთავრობის, აზიის განვითარების ბანკის (მოთხოვნები) და ორჰუსის კონვენცია - გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და სამართლიანობის ხელმისაწვდომობის შესახებ.</p>

#### D. აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის გარემოსდაცვითი მოთხოვნები

111. აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი (ADB SPS) მოითხოვს აგბ-ის ოპერირების ყველა ასპექტის გარემოსდაცვითი საკითხის და 2009 წ. აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადში (SPS) ასახული გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნების გათვალისწინებას. აღნიშნულის თანახმად, აგბ ითხოვს აგბ-ის ყველა ინვესტიციის გარემოსდაცვით შეფასებას.
112. **სკრინინგი და კატეგორიებად დაყოფა.** აგბ იყენებს კლასიფიკაციის სისტემას, გარემოზე პროექტის შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელობის ასახვის მიზნით. პროექტის კატეგორია განისაზღვრება გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ყველაზე მგრძობიარე კომპონენტის კატეგორიით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე პირდაპირი, ირიბი, კუმულაციური და გამოწვეული ზემოქმედების ჩათვლით. თითოეული შემოთავაზებული პროექტის შესწავლა ხდება დეტალურად, მისი ტიპის, ადგილმდებარეობის, მასშტაბის, სენსიტიურობის და გარემოზე მისი შესაძლო ზემოქმედების მიხედვით. პროექტი მიეკუთვნება ქვემოთ წარმოდგენილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს:
  - (i) **კატეგორია „A“** - შემოთავაზებული პროექტი კლასიფიცირდება როგორც „A“ კატეგორია, თუ მას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც შეუქცევადი, მრავალფეროვანი ან უპრეცედენტოა. ამ ზემოქმედებამ შეიძლება გავლენა იქონიოს უზნებსა ან ობიექტებზე მეტ ფართობზე, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ სამუშაოებს. საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასება.
  - (ii) **კატეგორია „B“.** შემოთავაზებული პროექტი კლასიფიცირდება, როგორც „B“ კატეგორია, თუ მისი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება ნაკლებად უარყოფითია ვიდრე „A“ კატეგორიის პროექტებისა. აღნიშნული ზემოქმედება სპეციფიკურია სამშენებლო მოედნისთვის, მათგან რამდენიმე შეუქცევადია და უმეტეს შემთხვევაში შემამსუბუქებელი ზომები უფრო ადვილად შეიძლება შეიქმნას, ვიდრე „A“ კატეგორიის პროექტებისთვის. საჭიროა პირველადი გარემოსდაცვითი კვლევა.
  - (iii) **კატეგორია „C“.** შემოთავაზებული პროექტი კლასიფიცირდება, როგორც „C“ კატეგორია, თუ მას აქვს მინიმალური ან ნულოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. გარემოსდაცვითი შეფასება არ არის საჭირო, თუმცა გარემოზე ზემოქმედების გადახედვა აუცილებელია.
  - (iv) **კატეგორია „FI“.** შემოთავაზებული პროექტი კლასიფიცირდება, როგორც „FI“ (ფინანსური შუამავლის (მედიატორის)) კატეგორია, თუ აღნიშნულით გათვალისწინებულია აგბ-ის თანხების ინვესტირება ფინანსური მედიატორის მიმართ ან მისი საშუალებით.



113. გარემოსდაცვითი სკრინინგი და პროექტის კატეგორიის წინასწარი განსაზღვრა განხორციელდა აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად (SPS, 2009), აგბ-ის სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) საკონტროლო ნუსხის გამოყენებით (დანართი „C“). პროექტი კლასიფიცირდა „B კატეგორიად“.
114. **არსებული ობიექტების გარემოსდაცვითი აუდიტი.** გარემოს დაცვის საკითხებთან შესაბამისობის აუდიტი ჩატარდება უკვე არსებული, ან მშენებარე, ან შემოთავაზებული ობიექტების ქვეპროექტებთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი აუდიტი მოიცავს საპროექტო ტერიტორიის შეფასებას, გარემოს დაცვის თვალსაზრისით წარსული, თუ არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე იმის დასადგენად, განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება თუ არა აგბ-ის მიერ აღმასრულებელი და განმახორციელებელი უწყებებისთვის დადგენილ უსაფრთხოების პრინციპებს და მოთხოვნებს და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრას და დაგეგმვას, შესაბამისობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასებების (IEE) გამოსასწორებელი სამუშაოების სამოქმედო გეგმაზე შეთანხმდებიან აგბ და პროექტის მმართველი უწყებები. გეგმით განისაზღვრება აუცილებელი მაკორექტირებელი ქმედებები, ასევე ბიუჯეტი - აღნიშნული ქმედებებისთვის და შეუსაბამობის გამოსწორებისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთი. გარემოს დაცვის აუდიტის ანგარიში (მაკორექტირებელი სამუშაოების სამოქმედო გეგმის ჩათვლით, მსგავსი გეგმის არსებობის შემთხვევაში) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად. ქვეპროექტით გათვალისწინებული ობიექტების განახლების ან გაფართოების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზემოქმედება გარემოზე, გამოყენებული იქნება EARF-ში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასებების და დაგეგმარების მოთხოვნები - შესაბამისობის აუდიტთან ერთად.
115. **კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური ობიექტები (PCR).** აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS) გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკის პრინციპებით განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური ობიექტების დაცვა და მათი განადგურების ან დაზიანების თავიდან აცილება, გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში კვალიფიცირებული და გამოცდილი ექსპერტების ჩართულობით სავსე კვლევების განხორციელების საფუძველზე. აღნიშნული ასევე განსაზღვრავს შემთხვევითი აღმოჩენების პროცედურის გამოყენებას, რაც მოიცავს წინასწარ დამტკიცებული მართვის და დაცვის მიდგომას იმ მასალებთან მიმართებაში, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს პროექტის განხორციელების პროცესში.
116. **გარემოს დაცვის მართვის გეგმა (EMP).** საჭიროა გარემოს დაცვის მართვის გეგმის მომზადება, რომელშიც ასახული იქნება გარემოსდაცვითი შეფასების შედეგად დადგენილი რისკები და შესაძლო ზემოქმედება გარემოზე. გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP) დეტალების და სირთულის დონე, ასევე დადგენილი ღონისძიებების და ქმედებების პრიორიტეტულობა განისაზღვრება პროექტის ზემოქმედების და რისკების შესაბამისად. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ასლი, ან დამტკიცებული კონკრეტული ობიექტის გარემოს მართვის გეგმა (SSEMP) ხელმისაწვდომი უნდა იყოს

ობიექტზე - მშენებლობის ეტაპის მიმდინარეობისას. გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP), ან კონკრეტული ობიექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის (SSEMP) პირობებთან შეუსაბამობა, ან ნებისმიერი სახით გადახვევა, გულისხმობს შეუსაბამობას და საჭიროებს მაკორექტირებელ ქმედებებს. გარემოს შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი (EARF) და პირველადი გარემოსდაცვითი შეფასება (IEE) განსაზღვრავს გარემოს დაცვის მართვის გეგმის განხორციელების დროს დაკისრებულ ვალდებულებებს, პროექტირების, მშენებლობის და მოვლა-პატრონობის ეტაპებზე.

117. **ინფორმაციის გამჟღავნება.** გარემოს დაცვის უსაფრთხოების დოკუმენტებს აგბ ატვირთავს საკუთარ ვებ-გვერდზე და **შესაბამის** ინფორმაციას განათავსებს ადგილობრივი თემებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში:
- (i) გარემოს დაცვის კატეგორიების მიხედვით, „ა“ კატეგორიის პროექტებისთვის - გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშის პროექტის მომზადება საბჭოს განხილვამდე მინიმუმ 120 დღით ადრე;
  - (ii) გზშ-ს (EIA) და/ან პირველადი ზემოქმედების შეფასების (IEE) საბოლოო, ან განახლებული ვერსია, მიღებისთანავე; და
  - (iii) განმახორციელებელი უწყების მიერ პროექტის განხორციელების პროცესში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები - მიღებისთანავე.
118. **აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის გარემოსდაცვითი მე-6 პრინციპის** თანახმად, გარემოსდაცვითი შეფასების პროექტი (გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) ჩათვლით) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის გასაგები ფორმატით, ენაზე (ენებზე) და ხელმისაწვდომ ადგილას, უნდა გასაჯაროვდეს დროულად - პროექტის შეფასებამდე. საბოლოო გარემოსდაცვითი შეფასება და მისი განახლებული ვერსიები, განახლების შემთხვევაში, უნდა გასაჯაროვდეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) განახლებული დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისთვის, საჯარო კონსულტაციების გამართვამდე გონივრულ ვადით ადრე.
119. **კონსულტაცია და მონაწილეობა.** საგნობრივი კონსულტაციები გაიმართება (პროექტის) ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. საკონსულტაციო პროცესი და მისი შედეგები გაფორმდება დოკუმენტურად და აისახება გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში.
120. **საჩივრების მოგვარების მექანიზმი.** პროექტის მმართველმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმი, ქვეპროექტის გარემოსდაცვითი შესრულების შესახებ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების პრეტენზიების და საჩივრების მისაღებად და მოგვარების ხელშეწყობის მიზნით. საჩივრების მექანიზმის მასშტაბი განისაზღვრება ქვეპროექტის რისკების და უარყოფითი ზემოქმედების

შესაბამისად.

121. **პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.** აგბ-ის მოთხოვნების შესაბამისად, სესხის ამღებმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო მშრომელთათვის, სექტორის და ქვეპროექტის ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი რისკების, მათ შორის, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით.
122. **მოულოდნელი ზემოქმედება გარემოზე.** (პროექტის) განხორციელების პროცესში გარემოზე მოულოდნელი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში, პროექტის მმართველმა უწყებებმა უნდა განახლოონ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (EMP), შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად, ალტერნატიული ვარიანტების შეფასებისა და აღნიშნული ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების და რესურსების განსაზღვრისათვის.
123. **ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი ბუნებრივი რესურსების მართვა** - სესხის ამღები/დამკვეთი შეაფასებს პროექტის ზემოქმედების და რისკების მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნებასა და ბუნებრივ რესურსებზე, გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის ფარგლებში. შეფასება კონცენტრირებული იქნება ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად საფრთხეებზე, როგორცაა მაგალითად ჰაბიტატის განადგურება და ინვაზიური უცხო სახეობების წარმოდგენა, ასევე ზემოქმედება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე - არამდგრადი სახით. სესხის ამღებმა/დამკვეთმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი ღონისძიებები, შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების და რისკების თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის და შერბილების მიზნით, და უკიდურეს შემთხვევაში, შემოგვთავაზოს საკომპენსაციო ზომები, როგორცაა მაგ. ბიომრავალფეროვნების კომპენსირება, რათა არ მოხდეს წმინდა დანაკარგების ან მატების გამოწვევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ბიომრავალფეროვნებაზე.
124. **აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნები.** აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის მოთხოვნების თანახმად, პროექტის მმართველმა უწყებებმა უნდა გამოიყენონ დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნოლოგიები და პრაქტიკა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. თუ საქართველოს მთავრობის რეგულაციები განსხვავდება აღნიშნული რეგულაციებისგან დონეებისა და განზომილებების თვალსაზრისით, პროექტის მმართველმა უწყებებმა უნდა მოახდინონ უფრო მკაცრი მოთხოვნების გამოყენება. თუ კონკრეტული ქვეპროექტის პირობების გათვალისწინებით, უმჯობესია ნაკლებად მკაცრი დონეებისა თუ განზომილებების გამოყენება, პროექტის მმართველმა უწყებებმა უნდა წარმოადგინონ სრული და დეტალური დასაბუთება ნებისმიერი შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტისთვის, აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის მოთხოვნების შესაბამისად.

125. **გამორიცხვის კრიტერიუმები ქვეპროექტის შერჩევის პროცესში.** საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა (LCIP) გამორიცხავს აგბ-ის აკრძალული საინვესტიციო საქმიანობის ნუსხით<sup>8</sup> განსაზღვრულ ნებისმიერი სახის საქმიანობას. ქვეპროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ გამორიცხვის კრიტერიუმებს ქვეპროექტის შერჩევის პროცესში<sup>9</sup>, რაც გულისხმობს ისეთი ქვეპროექტების გამორიცხვას, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი, შეუქცევადი, მრავალფეროვანი, უპრეცედენტო ზემოქმედება (გარემოზე), ან თუ ზემოქმედება ვრცელდება ფართო ტერიტორიაზე, ან იმ ობიექტების მიღმა, ვიდრე ეს ფიზიკური სამუშაოების არეალით არის გათვალისწინებული. გარემოს დაცვის თვალსაზრისით მგრძობიარე ტერიტორიებზე (ბუნებრივი ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბიოსფერული რეზერვების ძირითადი ზონები, კრიტიკული ჰაბიტატები და ა.შ.) განლაგებული საპროექტო ტერიტორიების/ობიექტების რეაბილიტაცია უნდა გამოირიცხოს, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული შემდეგი კრიტერიუმები:

- შემოთავაზებული სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდება არსებული (განსაზღვრული) ზონის და არსებული ინფრასტრუქტურის გასხვისების ზოლის საზღვრებში;
- შემოთავაზებული სარეაბილიტაციო სამუშაოებით ახალი თანხმობების/ნებართვების მიღების საჭიროება არ არის. აუცილებელი იქნება შესაბამისი წერილობითი დასტურის მიღება შესაბამისი დაცული ტერიტორიის მარეგულირებელი უწყების ადგილობრივი ოფისიდან;
- შემოთავაზებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელება შესაძლებელი იქნება, თუ აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატების საზღვრებს მიღმა. (სამუშაოების) კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატების არეალში მოქცევის შემთხვევაში, (სამუშაოების) გაგრძელება შესაძლებელი იქნება, თუ: (i) არ აღინიშნება გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება კრიტიკულად მნიშვნელოვან ჰაბიტატებზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი უნარის, ან ფუნქციის გაუარესება; (ii) არ აღინიშნება აღიარებული, გადაშენების საფრთხის პირას მყოფი ან გადაშენების კრიტიკულ ზღვარზე მყოფი სახეობების პოპულაციის შემცირება; და (iii) ნაკლებად მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება შერბილებულია. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მდებარეობს კანონიერად დაცულ ტერიტორიაზე, მოხდება დამატებითი პროგრამების განხორციელება, დაცული ტერიტორიის დაცვის მიზნების ხელშეწყობის და გაძლიერების მიზნით. ბუნებრივი ჰაბიტატების ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება, ან გაუარესება თუ (i) ალტერნატიული ვარიანტების ხელმისაწვდომობა არ არის; (ii) პროექტის სარგებელი მთლიანად, არსებითად არ გადაწონის გარემოს დაცვის ხარჯებს და (iii) თუ არ ხდება ცვლილების ან გაუარესების სათანადოდ შერბილება (უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის მე-16 გვერდიდან).

<sup>8</sup> აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის დანართი 5.

<sup>9</sup> საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტის (EARF) შეფასებისა და მიმოხილვის ჩარჩო დოკუმენტი (EARF) თანაბარი განვითარებისთვის

126. პროექტებმა, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევენ გარდაუვალ, მრავალფეროვან, ან უპრეცედენტო და მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას გარემოზე, შესაძლოა ზემოქმედება მოახდინონ უფრო ფართო ტერიტორიებზე, ან ობიექტებზე, ვიდრე ეს ფიზიკური სამუშაოების არეალით არის გათვალისწინებული (ე.ი. „A“ კატეგორიის პროექტები, აგბ-ის 2009 წ. უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS) შესაბამისად). აღნიშნული პროექტები ამოღებული იქნება (გამორიცხება) საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების პროგრამიდან.

**E. ქვეყნის და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისობა**

127. აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადი შესაბამისობაშია მრავალმხრივი განვითარების ფინანსურ ინსტიტუტებთან, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკაც უნდა შედარდეს საერთაშორისო გარემოს დაცვით ჩარჩოსთან, მათ შორის, აგბ-ის შესაბამის პოლიტიკასთან. მე-15 ცხრილში წარმოდგენილია შედარება პროექტით განსახორციელებელი აგბ-ის SPS-ს პოლიტიკის პრინციპების, განსხვავებების და ღონისძიებების მიხედვით, არსებული განსხვავებების გადასაჭრელად.

*ცხრილი 15. სამთავრობო და აგბ-ის უსაფრთხოების მოთხოვნების შედარებითი ანალიზი*

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
ზემოქმედების და რისკების გარემოსდაცვითი სკრინინგის თანაფარდობა	1. თითოეული შემოთავაზებული პროექტისთვის სკრინინგის პროცესის გამოყენება მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე, გარემოსდაცვითი შეფასების შესაბამისი მოცულობის და ტიპის განსაზღვრის მიზნით, რათა	პროექტის სკრინინგი ტარდება პროექტის ადრეულ ეტაპზე. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში წარმოდგენილია I და II კატეგორიის აქტივობების ნუსხა.	გზშ მოქმედებს მხოლოდ გზშ-ს აქტში წარმოდგენილი პროექტების ნუსხასთან მიმართებაში, და წყალმომარგების და	აგბ-ს SPS-ის მოთხოვნების და სკრინინგის და კატეგორიებად დაყოფის ინსტრუმენტების განხორციელება, რისკების და შემარბილებელი

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	მოხდეს შესაბამისი კვლევების ჩატარება - მოსალოდნელი ზემოქმედების და რისკების მნიშვნელობის შესაბამისად	II კატეგორიის პროექტთვის გზშ-ს (EIA) საჭიროება განსაზღვრულია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის პროცედურის საფუძველზე.	საკანალიზაციო სისტემების პროექტების კომპონენტები ამოღებულია.	ღონისძიებების დადგენა. ეროვნული გარემოსდაცვითი სტანდარტების მოთხოვნების შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან და უფრო მკაცრი მოთხოვნების მიღება.
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციო-ეკონომიკურ და ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე შესაძლო ზემოქმედების და რისკების შეფასება	2. თითოეული შემოთავაზებული პროექტის გარემოსდაცვითი შეფასება, ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციო-ეკონომიკურ (მათ შორის ზემოქმედება საარსებო საშუალებებზე, შემდეგი საკითხების საფუძველზე: გარემოს დაცვის კომპონენტები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, მოწყვლადი ჯგუფები და გენდერული საკითხები) და	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის ფიზიკურ, ბიოლოგიურ, სოციო-ეკონომიკურ და ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე შესაძლო ზემოქმედების და რისკების შეფასების საქართველოს მთავრობის მოთხოვნები ანალოგიურია	სხვაობა აგბ-ს და საქართველოს მთავრობის კანონმდებლობებს შორის არ აღინიშნება.	ქვეპროექტის შერჩევის კრიტერიუმები, გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი და კატეგორიებად დაყოფა, განხორციელდება უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (SPS) შესაბამისად.

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	ფიზიკურ-კულტურულ რესურსებზე შესაძლო პირდაპირი, არაპირდაპირი, კუმულაციური და განპირობებული ზემოქმედების და რისკების დადგენა, საპროექტო ტერიტორიის კონტექსტში.			
ალტერნატიული ვარიანტების განხილვა, პროექტის ადგილმდებარეობის, ტექნიკური პროექტის, ტექნოლოგიისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მიხედვით	3. ალტერნატიული ვარიანტების განხილვა პროექტის ადგილმდებარეობის, ტექნიკური პროექტის, ტექნოლოგიის, კომპონენტების და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით და კონკრეტული, შემოთავაზებული ალტერნატიული ვარიანტის შერჩევის დასაბუთების დოკუმენტური ასახვა.	ალტერნატიული შეფასებები განხორციელდება პროექტის ადგილმდებარეობასთან და ტექნიკურ პროექტთან დაკავშირებით; მათ შორის შესაძლოა იყოს ნულოვანი ალტერნატივა/არ არსებობდეს ალტერნატიული ვარიანტები.	სხვაობა აგბ-ს და საქართველოს მთავრობის კანონმდებლობებს შორის არ აღინიშნება.	ა/გ

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	დონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	საპროექტო ალტერნატივის არ არსებობის გათვალისწინება.			
გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) მომზადება	<p>4. უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, პრევენციის გარდაუვალობის შემთხვევაში - მინიმუმამდე დაყვანა, შერბილება და/ან წინააღმდეგობის გაწევა და დადებითი ზემოქმედების გაძლიერება, გარემოსდაცვითი დაგეგმარების და მართვის გზით.</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) მომზადება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება შერბილების შემოთავაზებული ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ანგარიშგების მოთხოვნები,</p>	<p>გზშ-ს ანგარიში მომზადდება 1 დანართის პროექტებისთვის. მე-2 დანართის პროექტებთან მიმართებაში გზშ-ს მომზადების საჭიროება გადაწყდება სკრინინგის პროცედურის საფუძველზე.</p> <p>გზშ-ს ანგარიშის შინაარსის სტრუქტურა უნდა აეწყოს ისე, რომ ასახული იყოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (EMP) გზშ-ს (EIA) დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია.</p>	სხვაობა აგბ-ის და საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს შორის არ აღინიშნება.	<p>ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (EMP) უნდა მომზადდეს აგბ-ის ინსტრუმენტების (მაგ. სწრაფი გარემოსდაცვითი შეფასების (REA) საკონტროლო ნუსხა) გამოყენებით.</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) დეტალების და სირთულის დონე, ისევე როგორც დადგენილი ღონისძიებების და</p>



აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	შესაბამისი ინსტიტუციური ორგანიზაციული ზომები, შესაძლებლობების განვითარების და სწავლების (ტრენინგის) ღონისძიებები, განხორციელების გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვები და შესრულების ინდიკატორები. გარემოს დაცვის მართვის გეგმის ძირითადი საკითხებია: მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ისე, რომ არ მოხდეს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება მესამე მხარისთვის და შემდეგი პრინციპის გამოყენება: „იხდის ის, ვინც აბინძურებს“.			ქმედებების პრიორიტეტულობა პროექტის ზემოქმედების და რისკების პროპორციულად იქნება განსაზღვრული.
საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა და საზოგადოებრივი ინტერესები	5. საგნობრივი კონსულტაციების გამართვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და მათი ინფორმირებული მონაწილეობის ხელშეწყობა.	ინფორმაციის გამოქვეყნება ეროვნულ და რეგიონულ მასმედიაში. ორი საჯარო შეხვედრის ორგანიზება - ერთი - სკოპინგის ეტაპზე, მერე კი - გზმ-ს (EIA) ანგარიშის პროექტის	საქართველოს მთავრობის მოთხოვნების თანახმად, საჯარო საკონსულტაციო	აგბ-ის მოთხოვნების გამოყენება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	დონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	<p>ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა კონსულტაციების პროცესში. დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების და შესაბამისი არა-სამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა პროექტის განხორციელების ადრეულ ეტაპზე, მათი შეხედულებების და ინტერესების მიწოდება და განმარტება გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და გათვალისწინება. კონსულტაციების გაგრძელება მონაწილე მხარეებთან პროექტის განხორციელების დროს, საჭიროებისამებრ, გარემოს დაცვის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.</p>	<p>გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენიდან არა უგვიანეს 55-ე დღემდე. შეხვედრაზე მოხდება ყველა დაინტერესებული მხარის მოწვევა.</p> <p>ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან გზშ-ს პროცესში, გაიმართება გამოქვეყნების თარიღიდან არა უგვიანეს 60 დღეში.</p>	<p>შეხვედრების გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან არ არის აუცილებელი პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.</p>	<p>შორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, საგნობრივი კონსულტაციის და დოკუმენტირების საკითხებზე, და მათი მხარდაჭერა ინფორმირებული მონაწილეობის თვალსაზრისით.</p>

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
საჩივრების მოგვარების მექანიზმი	საჩივრების მოგვარების მექანიზმის დაარსება, პროექტის გარემოსდაცვითი შესრულების საკითხებთან დაკავშირებით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ინტერესების და საჩივრების მიღების და მოგვარების ხელშეწყობისთვის.	განმახორციელებელმა უწყებამ ხელი უნდა შეუწყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ წამოჭრილი საკითხების მოგვარებას	საჩივრების მოგვარების კონკრეტული სახელმწიფო რეგულაცია არ არის	გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის კომპონენტი საჩივრების მოგვარების მექანიზმის თაობაზე უნდა გადაწყდეს აგბ-ს მოთხოვნის საფუძველზე.
პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების (IEE) პროექტის და განახლებული დოკუმენტის გასაჯაროება	6. პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის (გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ჩათვლით) დროული გასაჯაროება ხელმისაწვდომ ადგილას და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის და სხვა მონაწილე მხარეებისთვის გასაგები ფორმით და ენაზე (ენებზე) - პროექტის შეფასებამდე. საბოლოო გარემოსდაცვითი შეფასების გასაჯაროება	სკოპინგის დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდება საჯარო კონსულტაციებამდე 45 დღით ადრე. გზშ-ს ანგარიში ხელმისაწვდომი გახდება საჯარო განხილვისთვის საჯარო კონსულტაციებამდე 50-55 დღით ადრე.	საქართველოს მთავრობის მოთხოვნების თანახმად, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გზშ-ს ანგარიშის ელ. ვერსია უნდა გაუგზავნოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს	საჯარო ხელმისაწვდომობა უნდა გახორციელდეს აგბ-ს მოთხოვნების შესაბამისად; აღნიშნული მოთხოვნებია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების განთავსება მის ვებ-გვერდზე და შესაბამისი ინფორმაციის განთავსება და

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, და მისი განახლება, განახლების განხორციელების შემთხვევაში.</p> <p>პირველადი გარემოსდაცვითი შეფასების პროექტი გამოქვეყნდება აგბ-ის ვებ-გვერდზე საბჭოს მიერ პროექტის დამტკიცებამდე 120 დღით ადრე.</p>		გასაჯაროებისთვის, მხოლოდ ქართულ ენაზე.	ხელმისაწვდომობა ადგილობრივი თემებისთვის.
მონიტორინგის ეფექტურობის განხორციელება	<p>7. გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) განხორციელება და მისი ეფექტიანობის მონიტორინგი.</p> <p>დოკუმენტის მონიტორინგის შედეგები, მათ შორის, გამოსასწორებელი სამუშაოების შემუშავების და განხორციელების ჩათვლით</p>	მონიტორინგის გეგმის განხორციელება მშენებელი კონტრაქტორის და პროექტის განმახორციელებელი უწყების ვალდებულებას წარმოადგენს.	საქართველოს მთავრობის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიშების მომზადების და მათი პროექტის მონიტორინგის	აუცილებელია აგბ-ს მონიტორინგის და ანგარიშების მოთხოვნების შესრულება.

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	და მონიტორინგის ანგარიშების გასაჯაროება.		განმახორციელებელი/შემსრულებელი უწყებისთვის გაგზავნის საჭიროება არ არის; ასევე არ არის აღნიშნული ანგარიშების გასაჯაროების მოთხოვნა.	
კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატების და დაცული ფლორის და ფაუნის დაცვა	8. საპროექტო სამუშაოები არ განახორციელოთ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ჰაბიტატების ტერიტორიებზე, თუ (i) არ აქვს ადგილი გაზომვად უარყოფით ზემოქმედებას კრიტიკული მნიშვნელობის ჰაბიტატებზე, რამაც შესაძლოა დაასუსტოს მისი ფუნქცია; (ii) არ ხდება რომელიმე აღიარებული გადაშენების პირას მყოფი, ან გადაშენების კრიტიკულ ზღვარზე მყოფი სახეობის			ბუნებრივი, შეცვლილი და კრიტიკული მნიშვნელობის ჰაბიტატთან მიმართებაში, გამოიყენეთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის განაცხადის (SPS) მოთხოვნები.

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	<p>პოპულაციის შემცირება: და (iii) არ ხდება მცირე ზემოქმედების შერბილება. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი მდებარეობს სამართლებრივად დაცულ ტერიტორიაზე, უნდა მოხდეს დამატებითი პროგრამების განხორციელება, დაცული ტერიტორიის დაცვის მიზნების ხელშეწყობისა და გაძლიერებისათვის.</p> <p>ბუნებრივი ჰაბიტატების ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება, ან დეგრადაცია, თუ (i) ალტერნატიული ვარიანტების ხელმისაწვდომობა არ არის; (ii) პროექტის სარგებელი მთლიანად არსებითად არ გადაწონის გარემოს დაცვის ხარჯებს და (iii) თუ არ ხდება ცვლილების, ან დეგრადაციის</p>			

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	სათანადო შერბილება. გამოიყენეთ ფრთხილი მიდგომა განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების, დამუშავების და მართვის პროცესში.			
დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნოლოგიების გამოყენება	9. გამოიყენეთ დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნოლოგიები და პრაქტიკა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რაც ასახულია საერთაშორისოდ აღიარებულ ისეთ სტანდარტებში, როგორცაა მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპები. გამოიყენეთ გაწმენდის წარმოების პროცესები და კარგი ენერგო-ეფექტური პრაქტიკა. თავიდან აიცილეთ დაბინძურება, ან,	საქართველოს მთავრობის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრავს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ტექნოლოგიების ანალოგიურ მოთხოვნებს	სხვაობა აგბ-ის და საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს შორის არ აღინიშნება.	აგბ ითხოვს უფრო მკაცრი მოთხოვნების გამოყენებას, საერთაშორისო სტანდარტებსა და სამთავრობო რეგულაციებს შორის.

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	<p>დაბინძურების თავიდან აცილების გარდაუვალობის შემთხვევაში, მინიმუმამდე შეამცირეთ, ან გააკონტროლეთ დაბინძურების გამომწვევი ემისიების ინტენსივობა, ან დატვირთვა და დაცლები, მათ შორის, პირდაპირი და არაპირდაპირი სასათბურე აირების ემისიები, ნარჩენების წარმოქმნა და მათი წარმოების, ტრანსპორტირების, განკარგვის და განთავსებით გამოწვეული სახიფათო მასალების გამოცემა.</p> <p>თავიდან აიცილეთ საერთაშორისო აკრძალვებს დაქვემდებარებული, ან წარმოების თანდათან შეწყვეტის პროცესში არსებული სახიფათო მასალების გამოყენება.</p>			



აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	ღონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	შეისყიდეთ, გამოიყენეთ და განკარგეთ პესტიციდები მავნებლების კომპლექსური მართვის მიდგომების საფუძველზე და შეამცირეთ დამოკიდებულება სინთეტიკურ ქიმიურ პესტიციდებზე.			
	10. მომუშავე პერსონალის უზრუნველყოფა უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო პირობებით და უბედური შემთხვევების, დაზიანებების და დაავადებების პრევენცია.			აგბ ითხოვს ობიექტისთვის დამახასიათებელი ისეთი საფრთხეების გათვალისწინებას როგორცაა აზბესტის მასალის არსებობა.
ფიზიკური კულტურული რესურსების დაცვა და მათი განადგურების, ან დაზიანების თავიდან აცილება	11. ფიზიკური კულტურული რესურსების დაცვა და მათი განადგურების, ან დაზიანების თავიდან აცილება საველე კვლევების გამოყენებით, რაც გულისხმობს კვალიფიცირებული და	საქართველოს მთავრობის სამართლებრივი საფუძვლის თანახმად, გზმ-ს მომზადების ეტაპზე საჭიროა არქეოლოგიური	სხვაობა აგბ-ის და საქართველოს მთავრობის მოთხოვნებს შორის არ აღინიშნება.	აგბ-ს SPS-ის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრინციპები მოითხოვს ფიზიკური კულტურული რესურსების დაცვას და

აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) მოთხოვნა	აგბ-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განაცხადის (ADB SPS) პრინციპი	საქართველოს მთავრობის რეგულაცია	განსხვავება	დონისძიებები არსებული განსხვავების მოსაგვარებლად
	<p>გამოცდილი ექსპერტების დაქირავებას (ჩართვას) გარემოს დაცვის შეფასების პროცესში. „შემთხვევითი აღმოჩენების“ პროცედურის გამოყენება, რაც მოიცავს წინასწარ დამტკიცებულ მართვას და დაცვის მიდგომას იმ მასალებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს პროექტის განხორციელების პროცესში.</p>	<p>შესწავლის ანგარიშის მომზადება და წარდგენა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ნებართვის მისაღებად.</p>		<p>მათ განადგურების, ან დაზიანების თავიდან აცილებას, საველე კვლევების წარმოების საფუძველზე - კვალიფიცირებული და გამოცდილი ექსპერტების ჩართულობით - გარემოსდაცვითი შეფასებისას.</p>

## E. ადმინისტრაციული ჩარჩო

128. **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ)** – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია პროექტის მშენებლობასთან, რეაბილიტაციასთან, რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე. შესაბამისად, მგფ პასუხისმგებელია პროექტით გათვალისწინებული მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებზე და შესაბამისი დონორი ორგანიზაციების საქართველოს კანონმდებლობისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისობაზე. გარემოს დაცვის მართვის გეგმის (EMP) შესრულების კონტროლი მგფ-ის პირდაპირი პასუხისმგებლობაა. მგფ-ში არსებობს გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახური, რომელიც უძღვება გარემოსდაცვით საკითხებს. აღნიშნულმა სამსახურმა უნდა განიხილოს მგფ-ის პროექტებთან დაკავშირებული პირველადი გარემოსდაცვითი შეფასებებების (IEEs) განახლებული დოკუმენტები და გარემოსდაცვითი მართვის გეგმები (EMPs) და შეასრულოს მშენებელი კონტრაქტორის საქმიანობის შესაბამისობის მონიტორინგი დამტკიცებულ დოკუმენტებთან (EMP, IEE), გარემოს დაცვის სტანდარტებთან და მშენებელი კონტრაქტორის სხვა გარემოსდაცვით ვალდებულებებთან.
129. **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** - საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (მე-4 მუხლის) თანახმად, სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოში გარემოს დაცვის ყველა საკითხსა და სოფლის მეურნეობაზე. სამინისტროს, როგორც კომპეტენტური ორგანოს პასუხისმგებლობაა: ა) შეაჩეროს, ან შეზღუდოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა გარემოზე, ბ) დაგეგმილი საქმის შემოწმების განხორციელება, გ) სკოუპინგის განხორციელება; დ) პროექტისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამოცემა, რომელიც ექვემდებარება გზმ-ს პროცედურას, ე) დეველოპერის მიერ შემამსუბუქებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი; დ) საზოგადოებასთან შეხვედრების ორგანიზება და გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვა და დოკუმენტაციის მომზადება (მინისტრის ბრძანების პროექტი), რათა გასცეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. სამინისტრო ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სამშენებლო კომპანიის მიერ შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვას პროექტის განხორციელების პროცესში. სამინისტრო პასუხისმგებელია ევროპის ველური ფაუნისა და ფლორისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის განხორციელებაზე - ეროვნულ დონეზე და საქართველოში ზურმუხტის ქსელის განვითარებაზე.
130. **საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო** - პასუხისმგებელია კულტურის მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებისთვის საჭირო ნებართვის გაცემაზე და მიმდინარე სამუშაოების ზედამხედველობაზე. სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია არქეოლოგიურ სამუშაოებზე ნებართვის გაცემაზე - საჭიროების შემთხვევაში, და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობაზე - კულტურული და

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოქმედი კანონის (მე-5 მუხლის) საფუძველზე.

131. **თელავის ადგილობრივი ხელისუფლება** - თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია ქალაქში მიმდინარე კონკრეტული სამშენებლო სამუშაოების ნებართვაზე, ასევე ახალი შენობების მიღების აქტების გაცემაზე. შესაბამისი ნებართვა ხეების მოჭრაზე (არა წითელი ნუსხის სახეობებზე), საჭიროების შემთხვევაში, უნდა გასცეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ (საქართველოს თვითმმართველობის ორგანული კანონის (მე-16 მუხლის) შესაბამისად).

#### IV. პროექტის აღწერა

132. პროექტით გათვალისწინებულია 6 ჯგუფზე (120 ბავშვი) გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში (კახეთის რეგიონი). საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფართობია: 4025 მ<sup>2</sup>, საკადასტრო კოდი: 53.07.43.034. მიწის ნაკვეთი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია. პროექტისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე ძველი შენობის ნანგრევებია. ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებელია, რომ მოახდინოს არსებული შენობის დემონტაჟი და გაიტანოს სამშენებლო ნარჩენები ტერიტორიიდან - სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
133. ახალი საბავშვო ბაღის შენობა იქნება ორსართულიანი, საერთო ფართობი: 1364.09 მ<sup>2</sup>, საიდანაც 718.11 მ<sup>2</sup> სამშენებლო ფართობს წარმოადგენს. მიწის ნაკვეთის დარჩენილ ნაწილში მოეწყობა ეზო, სადაც მოხდება სათამაშო მოედნების და მწვანე კუნძულების მოწყობა. ასევე მოეწყობა თანამედროვე სტილის, ფერადი ფასადი (ლურჯ, თეთრ და ნარინჯისფერ ფერებში). შენობის მთავარ შესასვლელში მოეწყობა ფერადი, მრგვალი მინის ვიტრინა. საძინებლები და სათამაშო ოთახები ბავშვებისთვის, გამოსაცვლელი ოთახები, ბუფეტი, ჰოლი ინვენტარის შესანახი სივრცით, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის ოთახი, სამზარეულო, ლიფტი, სავაკუაციო კიბე და ბოილერის ოთახი მოეწყობა შენობაში. რეგიონის კლიმატის გათვალისწინებით, შენობის ფასადზე მოეწყობა თბოიზოლაცია და დამონტაჟდება დაბალი ემისიის მინა-პაკეტები, ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების მიზნით. ასევე მოეწყობა სახანძრო უსაფრთხოების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ვენტილაციისა და გათბობის სისტემები. პროექტით გათვალისწინებულია ჭაბურღილის მოწყობაც, საბავშვო ბაღის შენობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით. ჩამდინარე წყლის დაცლა მოხდება თელავის საკანალიზაციო ქსელში. შენობაში მოეწყობა პანდუსი და ლიფტები, შშმ პირებისთვის.
134. რეგიონის კლიმატის გათვალისწინებით, შენობის ფასადზე მოეწყობა თბოიზოლაცია და დამონტაჟდება დაბალი ემისიის მინა-პაკეტები, ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების მიზნით.
135. ასევე მოეწყობა სახანძრო უსაფრთხოების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ვენტილაციისა და გათბობის სისტემები. წყლის მომარაგება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან; ჩამდინარე წყლის დაცლა მოხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში. წყლის მოხმარება: 2.12 ლ/წმ, ხანძრის შემთხვევაში: 4.62

ლ/წმ. წყალი შენობას მიეწოდება 50 მმ ფოლადის მილებით. სახანძრო სისტემა მოეწყობა ფოლადის მილებით, ხოლო სასმელი წყლის სისტემა - პლასტმასის მილებით. ცხელი წყლის მიწოდება მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული საქვაბიდან (რომელიც მუშაობს გაზზე). კანალიზაციის სისტემის მოსაწყობად დამონტაჟდება 110-500 მმ საკანალიზაციო მილები.

136. საბავშვო ბაღის წყლით მომარაგებისთვის, პროექტით გათვალისწინებულია ჭაბურღილის მოწყობა ფილტრის ტუმბოებით, ტუმბოს მართვის ბოქსით, ჭაბურღილის თავით, წყლის მრიცხველით და წყლის სადეზინფექციო სისტემით. სამშენებლო კომპანიამ წარმოადგინა კონკრეტული ობიექტისთვის მომზადებული ჭაბურღილის მოწყობის ტექნიკური პროექტი, გარემოზე ზემოქმედების შერბილების და მონიტორინგის ღონისძიებების გათვალისწინებით, რომელიც აისახება კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმაში (SSEMP). ცხელი წყლის მომარაგება მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ბოილერიდან (რომელიც იმუშავებს გაზზე). ჩამდინარე წყლის დაცლა მოხდება თელავის საკანალიზაციო ქსელში.
137. საბავშვო ბაღის მთელი ტერიტორია შემოიღობება და დამონტაჟდება ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა.

გამოსახულება 1. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა და მისასვლელი გზა



გამოსახულება 2. საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობა











## განხორციელების გრაფიკი

138. ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე, მოხდება ტექნიკური საკითხების სისტემაში მოყვანა, სამშენებლო ოპერაციების უზრუნველყოფის მიზნით. მოსამზადებელი სამუშაოები ითვალისწინებს სამშენებლო ტერიტორიის დროებით შემოღობვასა და დროებითი შენობების მოწყობას (სამშენებლო ბანაკი). დროებითი ელ. მომარაგება და წყალი ობიექტს მიეწოდება ადგილობრივი ქსელებიდან. მოხდება შესაბამისი სამშენებლო მანქანების/მექანიზმების მობილიზება, მათ შორის: 1 ავტო-ამწე, 1 ბეტონმრევი, 1 ბეტონის ტუმბო, 1 ექსკავატორი, 1 ბულდოზერი, 1 ბობკატი, 1 კომპაქტორი, 2 ავტოთვითმცლელი, ელ. შედუღების აპარატი, მეტალის გადასატანი ხარაჩოები, ელექტრო-პნევმატური ინსტრუმენტი, საბურღი იარაღი, მჭრელი, სახრახნისი, მეტალის საჭრელი. ზემოაღნიშული მძიმე მექანიზმების დაქირავება მოხდება სამშენებლო მასალების ადგილზე მისატანად და ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით, შესაბამისად, აღნიშნული მექანიზმების პარკირებისა და გაჩერებისთვის, ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფის საჭიროება არ არის. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის საჭირო მექანიზმები განთავსდება სამშენებლო ტერიტორიაზე არსებულ საწყობში.
139. სამშენებლო სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა 15 თვეს შეადგენს (2022 წ. 18 იანვარი - 2023 წ. 13 აპრილი).
140. პროექტის განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვა. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდება სამშენებლო ბანაკისა და სხვა დროებითი ობიექტების დაშლა, მცენარეების დარგვა და ლანდშაფტის ჰარმონიაში მოყვანა.

## ნაგავსაყრელები

141. ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგი დროებით დასაწყობდება ტერიტორიაზე და მისი გამოყენება მოხდება უკუჩაყრის მიზნით. დარჩენილი ნარჩენების აკუმულაციის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება თელავის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

## მისასვლელი გზები

142. მიწის ნაკვეთზე მისვლა შესაძლებელია სოფლის გზით, რომელიც ტერიტორიას ესაზღვრება სამხრეთით. ქუჩა მოკირწყლულია და კარგ მდომარეობაშია. მისასვლელი გზის ადგილმდებარეობა ქვ. არის ნაჩვენები. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორია ურბანულ არეალში მდებარეობს. მშენებელმა კომპანიამ უნდა მოამზადოს საგზაო მოძრაობის დეტალური გეგმა,

შემოთავაზებული სამუშაო მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარუდგინოს ინჟინერს - დასამტკიცებლად.

143. დაზიანების შემთხვევაში, მშენებელი კომპანია ვალდებულია აღადგინოს დაზიანებული გზები და/ან სხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

**გამოსახულება 2. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები**



**ამოღებული მასალის განკარგვა**

144. დაახლოებით 2,000 ტ მოცულობის ზედმეტი მიწის წარმოქმნა მოხდება მიწის სამუშაოების შედეგად. ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგი დროებით დასაწყობდება ტერიტორიაზე და მისი გამოყენება მოხდება უკუჩაყრის მიზნით. დარჩენილი ნარჩენების აკუმულაციის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება სიღნაღის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ინერტული ნარჩენების გამოყენება მოხდება უკუჩაყრისთვის, ადგილობრივ ხელისუფლებასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**ბანაკის და საწყობის ადგილები**



145. მშენებელი კომპანია სამშენებლო ბანაკზე უზრუნველყოფს შემდეგ ძირითად ობიექტებს:

- საპროექტო შენობა;
- დაცვის ჯიხური;
- დროებითი გასახდელი მუშებისთვის;
- დროებითი ღია საწყობი;
- დროებითი შემოღობვა;
- შესასვლელი ჭიშკარი;
- სან. კვანძი.

**სურათი 3. სამშენებლო ტერიტორიის ორგანიზების სქემა**



146. სასურველია სამშენებლო კომპანიამ დაასაქმოს ადგილობრივები, შესაძლებლობის ფარგლებში.

### სამშენებლო პროცესი

147. მშენებლობის პროცესის დაწყებამდე და მშენებლობის პროცესში, მშენებელი კომპანია შეასრულებს შემდეგ სამუშაოებს:

- (i) გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (EHS) პერსონალის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონკრეტული ობიექტის გარემოს დაცვის მართვის გეგმის (SSEMP) მომზადებაზე - უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე აღნიშნული გეგმის (SSEMP) განხორციელებაზე და გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სხვა საკონტრაქტო დებულებების შესრულებაზე; ასევე მოხდება თემების პრეტენზიების/საჩივრების მოგვარება - საპროექტო ტერიტორიის დონეზე, გამოსასწორებელი სამუშაოების განხორციელება, კოორდინაცია პროექტის განმახორციელებელ უწყებასთან და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მგფ-სა და მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტისთვის;
- (ii) საპროექტო ტერიტორიების სიახლოვეს არსებული სენსიტიური ობიექტების დადგენა და ინსტრუმენტული საბაზისო გაზომვა; აღნიშნული ეხება კონკრეტულად ხმაურს და ვიბრაციას, ნიადაგის დაბინძურებას, ჰაერის დაბინძურებას;
- (iii) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე - შემდეგი გეგმების მომზადება და წარდგენა პროექტის განმახორციელებელი უწყებისა და მშენებლობის ზედამხედველი კონსულტანტისთვის<sup>10</sup>:
  - a. კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMP);
  - b. კონკრეტული ობიექტის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების გეგმა, კოვიდ-19-ის გათვალისწინებით;
  - c. სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა;
  - d. ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა;
  - e. ნარჩენების მართვის გეგმა;
  - f. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
  - g. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმა;
  - h. მშენებლობის შემდგომი აუდიტის ანგარიში.

<sup>10</sup> დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიამ უნდა მოამზადოს სხვა დოკუმენტი/გეგმა და აწარმოოს შესაბამისი კვლევები, სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში. კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვით მართვის გეგმის (SSEMP) დამტკიცებამდე, სამუშაოების წარმოება დაუშვებელია.

- (iv) ყველა საჭირო ნებართვის, ლიცენზიისა და თანხმობის მიღება: ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიები მომწოდებლებისაგან, რომლებსაც მიღებული აქვთ სპეციალური ნებართვა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან; ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის დამტკიცება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რაც უნდა მოხდეს მშენებლობის დაწყებამდე; შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე გატანის (გადაყრის) შესახებ; სახიფათო ნარჩენების გატანის შეთანხმება (კომპანია უნდა იყოს ლიცენზირებული და უნდა ფლობდეს ეკოლოგიური ექსპერტის დასკვნას, რაც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან); ხეების ინვენტარიზაციის ანგარიში და ადგილობრივი ხელისუფლების ან გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული ხეების მოჭრის ნებართვა, წითელი ნუსხის სახეობების შემთხვევაში (ხეების ჭრის საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორი განახორციელებს ხეების ინვენტარიზაციას და ყველა საჭირო დოკუმენტს წარუდგენს ქუთაისის მერიას ან წითელი ნუსხის სახეობების შემთხვევაში - გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამისი ნებართვის მისაღებად. კონტრაქტორს მოეთხოვება საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება ხეების მოჭრისთვის, რაც განსაზღვრულია ნებართვით და აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის მოთხოვნებით).
- (v) ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ და პროექტთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანერის განთავსება, საკონტაქტო პირების მითითებით; ინფორმაციის გავრცელება შესასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- (vi) მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობისთვის საჭირო დროებითი ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და სამშენებლო მოწყობილობების, აღჭურვილობის და მექანიზმების მობილიზაცია.
- (vii) საჩივრების დროული მოგვარება, საჩივრების მოგვარების მექანიზმის შესაბამისად;
- (viii) პერსონალის უსაფრთხოების რისკების შერბილება და კოვიდის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- (ix) ინსტრუმენტული გაზომვა და ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა განმახორციელებელი უწყების/მშენებლობის ზედამხედველი კომპანიისთვის - მშენებლობის პროცესში;
- (x) ობიექტთან დაკავშირებული ჩანაწერების წარმოება და შენახვა: (i) ობიექტის ყოველკვირეული ინსპექტირება, კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (SSEMP) საკონსტროლო ნუსხების გამოყენებით; (ii) გარემოსდაცვასთან დაკავშირებული შემთხვევები/ინციდენტები, აღნიშნული საკითხების მოგვარების (რეგულირების) გზების ჩათვლით; (iii) გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემები, ინსტრუმენტული გარემოსდაცვითი მონიტორინგის ჩათვლით, საჭიროების შემთხვევაში; (iv) მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ გაცემული შეტყობინებები შეუსაბამობის შესახებ; (v)

მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ გაცემული გამოსასწორებელი (სამუშაოების) სამოქმედო გეგმები, შეუსაბამობების შესახებ გაცემული შეტყობინებების საპასუხოდ; (vi) საზოგადოებასთან ურთიერთობა, მათ შორის, საჩივრების რეგისტრის წარმოება; (vii) მონიტორინგის ანგარიშები; (viii) კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვით მართვის გეგმასთან (SSEMP) შესაბამისობის ყოველთვიური ანგარიშგება და საზოგადოებასთან ურთიერთობები (იხ. ქვემოთ); და (ix) დამკვეთის ინჟინრის ინფორმირება გარემოს დაცვის თვალსაზრისით მომხდარი კონკრეტული ინციდენტების/დაღვრის შესახებ, კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმით (SSEMP) განსაზღვრული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად გატარებული ღონისძიებების ჩათვლით; (x) დასასრულებელი სამუშაოების გეგმა და გრაფიკი; (xi) მშენებლობისთვის საჭირო მექანიზმების და აღჭურვილობის ჩამონათვალი; (xii) გარემოს დაცვის თვალსაზრისით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული ჩანაწერები; (xiii) ჩანაწერები ნარჩენების მართვის საკითხებზე; (xiv) ნარჩენების გატანის ადგილების წერილობით მონიშვნა (მარკირება) და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ნარჩენების ტრანსპორტირების ინსტრუქციები; (xv) ჩანაწერები (მონაცემები) საჭირო მასალების მომარაგების და მათი მოხმარების შესახებ; (xvi) პრეტენზიების ჟურნალები; (xvii) ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალები; (xviii) გამოსასწორებელი სამუშაოების ამსახველი ანგარიშები; (xix) აღჭურვილობის კონტროლის და ტექნიკური მოვლა-პატრონობის ამსახველი ჟურნალები; და (xx) ანგარიშები პერსონალის ტრენინგის (სწავლების) შესახებ.

(xi) საპროექტო ტერიტორიის დასუფთავება სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ და სამშენებლო სამუშაოებამდე არსებულ საწყის ან უკეთეს მდგომარეობამდე მიყვანა;

(xii) მშენებლობის შემდგომი აუდიტორული ანგარიშის მომზადება.

## V. ალტერნატივების ანალიზი

148. წარმოდგენილ ნაწილში მოცემულია სხვადასხვა ალტერნატივების შეფასება, მათ შორის ალტერნატივისა „არანაირი ქმედება“.
149. კერძოდ, IEE- ის განახლებული დოკუმენტის აღნიშნული ნაწილი განიხილავს:
- ალტერნატივას „არანაირი ქმედება“.
  - ალტერნატივას: სამშენებლო ბანაკისა და განლაგების ადგილები.
- D. საბავშვო ბაღის სამშენებლო ტერიტორიის შერჩევა მოხდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: რაიონი მჭიდროდ არის დასახლებული, ბავშვების რაოდენობა აღემატება რაიონული საბავშვო ბაღებისთვის დაშვებულ სტანდარტს; შესაბამისად, არსებობს გაზრდილი მოთხოვნა აღნიშნული საჯარო სერვისის ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწოდებაზე. მოსახლეობის სტატისტიკა ასევე მიუთითებს სოფელ კურდღელაურში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის საჭიროებაზე.
150. უმოქმედობა ან ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს პროექტის განხორციელებაზე უარის თქმას, შესაბამისად, სოფელ კურდღელაურის ადგილობრივი მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღების მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემა გადაუჭრელი რჩება.
151. ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის ადგილის შერჩევა მოხდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს მოწყობის საკმარისი ფართი; მიწის საკუთრება (უპირატესობა მიენიჭა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს); კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის (წყალი, ელექტროენერჯია, გაზი) არსებობა.
152. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სოფელ კურდღელაურის მოსახლეობისთვის ხარისხიან სკოლამდელ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობას და გაუმჯობესებული გარემოს უზრუნველყოფას. გაუმჯობესებულ გარემოში იგულისხმება: ახალი საბავშვო მოედნები, რაც გააუმჯობესებს ბავშვების მოტორიკას, უსაფრთხო შენობაში მოეწყობა სახანძრო და უსაფრთხოების სისტემები, სუფთა და განახლებული სანიტარული ინფრასტრუქტურა მოიცავს სან. კვანძებსა და სამზარეულოს. საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება ითვალისწინებს სივრცის გაზრდას ბავშვისა და მასწავლებლისთვის; ენერჯი-ეფექტურ შენობას; საგანმანათლებლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ბავშვებისა და მასწავლებლებისათვის -



საბავშვო ბაღში და გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობას ინკლუზიურ, ბავშვებზე მორგებულ, ხარისხიან განათლებაზე.

153. პროექტის პოტენციური ბენეფიციარი იქნება სოფელ კურდღელაურის დაახლოებით 200 ოჯახი წელიწადში, რომლებიც შეძლებენ ბავშვების მიყვანას საბავშვო ბაღში.

## VI. საწყისი გარემო

### A. ზოგადი აღწერა

154. სოფელი კურდღელაური თელავის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ველზე, ზღვის დონიდან 530 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მანძილი ქ. თელავიდან 3 კმ-ია. თელავის მუნიციპალიტეტის ფართობია 1095 მ2, საიდანაც 33, 156 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია. მასში შედის ქალაქი თელავი და 29 სოფელი. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 5 (ხუთი) დიდი სოფელი, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 2500 (ორიათას ხუთას) ადამიანს აჭარბებს.
155. საპროექტო ტერიტორია გარშემორტყმულია კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწებით.
156. საპროექტო ტერიტორია ვაკეა.
157. საპროექტო ტერიტორიაზე, წყლის ობიექტების, ფლორის ან ფაუნის გადაშენების საფრთხის პირას მყოფი სახეობების ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მსგავსი მგრძობიარე რეცეპტორები, არ აღინიშნება. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის.
158. სამშენებლო კომპანიამ განახორციელა საბაზისო აზომვები, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
159. პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება სოფელ კურდღელაურის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე და მომუშავე მშობლებზე, რომლებსაც ექნებათ წვდომა კარგად დაგეგმილ, მაღალი ხარისხის მომსახურებაზე.
160. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო კომპანიამ განახორციელა საბაზისო აზომვები, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
161. პროექტს ექნება გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება სოფელ კურდღელაურის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე და მომუშავე მშობლებზე, რომლებსაც ექნებათ წვდომა კარგად დაგეგმილ, მაღალი ხარისხის მომსახურებაზე. მშენებლობის დაწყებამდე, ტერიტორიაზე არ იყო შენობა/ნაგებობები და მცენარეები. საბავშვო ბაღი

იქნება ორსართულიანი შენობა. მიწის ნაკვეთის დანარჩენი ნაწილი გამოიყენება ეზოს, მათ შორის სათამაშო მოედნების და მწვანე კუნძულების მოსაწყობად. მოეწყობა თანამედროვე სტილის, ფერადი ფერის ფასადი (ლურჯ, თეთრ და ნარინჯისფერ ფერებში). შენობის მთავარ შესასვლელში მოეწყობა ფერადი, მრგვალი მინის ვიტრინა. შენობასთან მოეწყობა პანდუსი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის.

162. საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთი მუნიციპალურ საკუთრებად არის რეგისტრირებული.

163. სამშენებლო ტერიტორიის მგრძნობიარე რეცეპტორებია საცხოვრებელი სახლები, მანძილი მერყეობს 2-დან 80 მეტრამდე.

#### გამოსახულება 7. მგრძნობიარე რეცეპტორები



**ბ.გეოლოგია, გეომორფოლოგია და სახიფათო გეოლოგიური პროცესები**

164. რეგიონის რელიეფი მრავალფეროვანია, ხასიათდება როგორც სწორი, ასევე მთიანი რელიეფით. ვაკე ნაწილი შედის ალაზნის ველის შემადგენლობაში და აბსოლუტური ნიშნულებია: 240.0-420.0 მ, ხოლო მთიან რელიეფს უკავია ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი. წარმოდგენილია კავკასიონის სამხრეთ ფერდობით: საშუალო (აბსოლუტური ნიშნულები: 570-800 მ) და მაღალი მთიანი ზონებით (აბსოლუტური ნიშნული: 2200 მ). რელიეფი ფრაგმენტირებულია მრავალრიცხოვანი წყლოვანი და პერიოდულად - წყლის ხევეებით.
165. საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ.) მიხედვით, ალაზნის ველი მიეკუთვნება საქართველოს აღმოსავლეთ სარტყლის ზონას, ხოლო მთიანი რელიეფი - კავკასიონის სამხრეთ ფერდობებს. ტერიტორიის გეოლოგიური სტრუქტურა რთული და სხვადასხვაგვარია. უძველესი ფორმაციები აღინიშნება უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში - მაღალ და საშუალო მთიან ზონებში. დაბალი და შუა იურული დანალექი ქანები წარმოდგენილია ასპიდის ფიქალით, თიხა-ფიქალით, იშვიათად - ქვიშა-ქვის შუა ფენებით. ცარცული და პალეოგენური პერიოდების დანალექი ქანები წარმოდგენილია მერგელით და მერგელის ფიქალით, კირქვით და ქვიშაქვით.
166. რაც შეეხება სწორ რელიეფს, აქ აღინიშნება ე.წ. სწორი ფორმაციების ფართო გავრცელება, კერძოდ: ალაზნის პლასტიკური და ფხვიერი ალუვიურ-პროლუვიალური წარმოშობის ხრემოვან-კენჭოვანი, თიხოვანი ფიქალი და ქვიშა-ხრემოვანი დანალექები.
167. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის (აკად. ბუაჩიძე) თანახმად, საკვლევი ტერიტორია შედის ალაზნის არტეზიულ აუზში - პოროპლასტის და ქაფწყლის გავრცელების არეალში.

### **ც. კლიმატი და ჰაერის ხარისხი**


168. თელავში კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია, დამახასიათებელია ცხელი ზაფხული და საშუალო ტემპერატურაა +25 °C, ხოლო ზამთარში საშუალო ტემპერატურაა +2 °C. ატმოსფერული ნალექების საშუალო მოცულობა შეადგენს 794 მმ წელიწადში, დღიური ნალექების მაქსიმალური მოცულობაა 147 მმ. ქარის საშუალო სიჩქარეა 2.40 მ/წმ წელიწადში. ძირითადად გავრცელებული ქარების სიხშირეები: აღმოსავლეთის 16%, სამხრეთ-აღმოსავლეთის 10%, სამხრეთის 12%, სამხრეთ-დასავლეთის 22% და დასავლეთის 19%. დღეების რაოდენობა, როდესაც აღინიშნება თოვლის საფარი: 33 დღე.
169. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს და ზოგადად, თელავის მუნიციპალიტეტში, ჰაერის მნიშვნელოვანი

დაბინძურების წყაროები არ აღინიშნება.

170. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგური თელავში დამონტაჟებული არ არის. სხვადასხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების (აზოტის და გოგირდის დიოქსიდები, ოზონი) ინდიკატორების გაზომვა ხდება წელიწადში ოთხჯერ. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ჰაერის ხარისხი თელავში იცვლება ხელსაყრელიდან კარგი ინდექსების ფარგლებში (<http://air.gov.ge/> ).
171. საბაზისო გაზომვები განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის საბავშვო ბაღის მშენებლობის ტერიტორიაზე და უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან. გაზომვის განხორციელების თარიღი: 2022/04/11. ხმაურის, ვიბრაციისა და სახიფათო ნივთიერებების ჰაერში კონცენტრაციის გაზომვა განხორციელდა 2 საათის განმავლობაში, შესვენების გარეშე.

გაზომვა განხორციელდა სამშენებლო ტერიტორიაზე და მიმდებარე საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც ობიექტიდან დაახლოებით 30 მეტრში მდებარეობს.

**გამოსახულება 8. გაზომვის პუნქტები**







172. ჰაერის გასაზომად, გამოყენებულ იქნა ახალ ზელანდიაში დაფუძნებული შემდეგი ინსტრუმენტი - „Aeroqual SERIES 500 Portable Air Quality Monitor“. ჰაერის ხარისხის მზომი იძლევა ჰაერის დამაბინძურებლების რეალურ დროში მონიტორინგის შესაძლებლობას.

173. გაზომვის შედეგები გაზომვის #1 პუნქტიდან

პარამეტრი	საშუალო მაჩვენებელი	მეთოდი
PM 10 (მკგ/მ <sup>3</sup> )	23	Aeroqual SERIES 500-PM Sensor
PM 2.5 (მკგ/მ <sup>3</sup> )	9	Aeroqual SERIES 500-PM Sensor

174. გაზომვის შედეგები გაზომვის #2 პუნქტიდან

პარამეტრი	საშუალო მაჩვენებელი	მეთოდი
PM 10 (მგ/მ3)	9	Aeroqual SERIES 500-PM Sensor
PM 2.5 (მგ/მ3)	4	Aeroqual SERIES 500-PM Sensor

**D. ხმაური და ვიბრაცია**

175. ხმაურისა და ვიბრაციის შესახებ კვლევებს ჩაატარებს სამშენებლო კომპანია, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, პროექტის ადგილზე არსებული დონის დასადგენად. შეფასდება სხვადასხვა სამშენებლო მანქანების/მექანიზმების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი ხმაურისა და ვიბრაციის დონე. ფონური ხმაურის გათვალისწინებით, შეფასდება მშენებლობის შედეგად გამოწვეული ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ კორპუსებში. სამშენებლო კომპანია შეიმუშავებს ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმას. ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა მოიცავს საბაზისო გამოკვლევის შედეგებს, ხმაურის დონის შეფასებასა და შესაბამის შემარბილებელ ზომებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც წარმოადგენილი იქნება შედეგების საფუძველზე. სამშენებლო კომპანია ჩაატარებს მშენებლობის დროს ხმაურისა და ვიბრაციის დონის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე განახლდება ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა და განისაზღვრება და განხორციელდება შესაბამისი შემარბილებელი ზომები (საჭიროების შემთხვევაში).
176. ხმაურის და ვიბრაციის გასაზომად, მოხდა 2 (ორი) ადგილის შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ გარემოს და სოციალურ ისეთ რეცეპტორებს, რომლებზეც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ხმის და ვიბრაციის დონეების ცვლილებებმა. რეცეპტორები



მოიცავს საცხოვრებელ ტერიტორიებს. პრიორიტეტი მიენიჭა ახალი საბავშვო ბაღის შენობის საზღვრებს გარეთ არსებული საცხოვრებელი სახლების რეცეპტორებს, რადგან სწორედ მათზეა მოსალოდნელი მშენებლობის ზემოქმედება.

177. საბაზისო ნიმუშების აღება ხდება ერთი კვირის მანძილზე, 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე. ნიმუშების აღება ხდება თანმიმდევრობით (ე.ი. დღის და ღამის სხვადასხვა დროს) - 24 საათის განმავლობაში, ხმაურის გავრცელების მონაცემების მიღების მიზნით. ყველა გაზომვა უნდა განხორციელდეს ხმაურისა და ვიბრაციის აზომვისთვის ხელსაყრელი ამინდის პირობებში (ე.ი. ატმოსფერული ნალექების და ქარის სიჩარე არ უნდა იყოს 5მ/წმ-ზე ნაკლები). ხმაურის გაზომვა უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპებით (IFC, 2007) განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

178. ხმაურის გასაზომად, საკონსულტაციო კომპანიამ გამოიყენა პოლონური კომპანიის „SVANTET“-ის ხელსაწყო: „SVAN 971“, ხოლო ვიბრაციის გასაზომად: Triaxial Vibration Monitor VM40A/B.

179. თითოეული ხელსაწყო შემოწმდა, გასუფთავდა და წინასწარ დაიტესტა, სავსე სამუშაოებისთვის.

180. ხმაურის გაზომვის შედეგები #1 პუნქტიდან

#1 გაზომვის პუნქტი		
თარიღი	ადგილმდებარეობა	მანძილი ხმაურის წყაროდან
11.04.2022	მშენებლობის ტერიტორია	10 მ.
#1 გაზომვის პუნქტი		
საშუალო	10:37 - 12:33	
	65,3	


**A.**

**181. ხმაურის გაზომვის შედეგები #2 პუნქტიდან**

#2 გაზომვის პუნქტი		
თარიღი	ადგილმდებარეობა	მანძილი ხმაურის წყაროდან
11.04.2022	საცხოვრებელი შენობის ეზო	50 მ.
#2 გაზომვის პუნქტი		
საშუალო	10:27 - 12:27	
	48,3	

**B.**

**182. ვიბრაციის გაზომვის შედეგები**



				ფაქტორი (ე.წ. ტრიგერი)
0,16	0,2	0,24	მმ/წმ	(T)

### E. ჰიდროლოგია

E.სოფელი კურდღელაური მდებარეობს მდინარეების თელავისრიყის და ხრუყიასხევეს შორის. საპროექტო ტერიტორია მდინარე თელავისრიყიდან 2 კმ-ში, ხოლო მდ. ხრუყიასხევიდან 1,6 კმ-ში მდებარეობს. მდ. თელავისრიყე სათავეს იღებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, კვეთს ქ. თელავს შუა ნაწილში და ჩაედინება მდ. ალაზანში. მდ. თელავისრიყის სიგრძეა 21 კმ. ქ. თელავის ტერიტორიიდან მდ. თელავისრიყე სხვა მდინარეებთან (მდ. მაწანწარა და ვარდისუბნისხევი) ერთად მიედინება ხელოვნურ კალაპოტში. მდინარის მოწესრიგებული კალაპოტი მშრალია წლის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მდ. ხრუყიასხევის სიგრძეა 9.35 კმ. აღნიშნული პატარა მდინარე ხასიათდება ტალახის ნაკადებით. დანალექების (სედიმენტაციის) დიდი ნაწილი აკუმულირდება მდინარის კალაპოტში.

### F. ნიადაგები

F. ალაზნის ველის მარცხენა მხარეს განვითარებულია მდელო-ტყის არა-კარბონატული ალუვიური ნიადაგი, ხოლო მარჯვენა მხარეს - ალუვიური კარბონატული ნიადაგი. მთისწინეთის ზონაში განვითარებულია ყავისფერი ნიადაგი. კავკასიონის ქედზე და ფართოფოთლოვანი ტყის ქვეშ არსებული ფერდობების ქვედა ნაწილში განვითარებულია ტყის ნაცრისფერი ნიადაგი.

### G. ბიოლოგიური გარემო

G. საბავშვო ბაღის შენობა აშენდება ურბანულად გარდაქმნილ ტერიტორიაზე. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობა ნაკლებად მოსალოდნელია პროექტის ტერიტორიაზე. ფლორისა და ფაუნის სახეობების დასაცავად დამატებითი ზომები (საჭიროების შემთხვევაში) განისაზღვრება და აისახება SSEMP- ში.

183. ზემოქმედება ვეგეტაციაზე სამშენებლო ფაზის დროს იქნება უმნიშვნელო ხასიათის. საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ხეებისა და ბუჩქების გარკვეული რაოდენობა. ტექნიკური პროექტის თანახმად, ხეების მოჭრა საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული არ არის. საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის ტერიტორიაზე მცენარეები არ არის.

184. საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვა განპირობებულია გზით, საცხოვრებელი სახლებით და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებით. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია მიმზიდველი ადგილია ცხოველების ბუდობისთვის, არსებული ურბანული განვითარების და გზის გათვალისწინებით. შესაბამისად, პროექტის ზემოქმედება ფაუნის სახეობებზე, მოსალოდნელი არ არის.

185. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები, ზურმუხტის ქსელი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, არ არის. შესაბამისად, ზემოქმედება მსგავს ობიექტებზე, პროექტის განხორციელების პროცესში, მოსალოდნელი არ არის.

## **H. სოციო-ეკონომიკური გარემო**

### **მოსახლეობა**

186. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წ. მონაცემების საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 55,3 ათასი ადამიანი. თელავის მუნიციპალიტეტის როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში, აღინიშნება მოსახლეობის რაოდენობის ბუნებრივი შემცირება. თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (ჯამში 58 350 (პირი)) ასაკობრივი შემადგენლობა შემდეგია: 17% - ბავშვები და მოზარდები 14 წლამდე; 17% - 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა; 66% - შრომისუნარიანი ადამიანები. თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 34% ცხოვრობს ქალაქ თელავში.

187. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, სოფელ კურდღელაურში 2014 წლიდან ცხოვრობს 3962 მაცხოვრებელი, საიდანაც 57% ქალია, ხოლო 43% - კაცი.

188. მუნიციპალიტეტში აღინიშნება მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. მოსახლეობა მიდის საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (ძირითადად თბილისში) და საზღვარგარეთ. მიგრაცია ძირითადად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიაზე, კერძოდ, კვალიფიცირებულ მუშახელზე და ახალგაზრდობაზე, რომლებიც ტოვებენ მუნიციპალიტეტს.

### **დასაქმება**

189. დასაქმების დონე და აქტიურობა კახეთში საქართველოს საშუალო ინდიკატორთან შედარებით, მაღალია, ხოლო უმუშევრობის დონე - დაბალი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულების და თვით-დასაქმებულების რაოდენობით.

190. თელავის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს დასაქმებულთა ორმოცი პროცენტისთვის (40%) კახეთის რეგიონში.

### ეკონომიკა

191. ეკონომიკის ძირითადი დარგებია ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. მეცხოველეობა, მევენახეობა და მარცვლეულის წარმოება სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებებია. მრეწველობა, მათ შორის ღვინის ქარხნები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში. 42 სამრეწველო საწარმოდან 28 მცირე და საშუალო ღვინის ქარხანას წარმოადგენს, ხოლო 31 საოჯახო ტიპის მეღვინეობას მისდევს. მათ მიერ ექსპორტირებული ნაწარმის ჯამური რაოდენობა წელიწადში 15 მილიონ ბოთლს აღწევს, რაც მთლიანი ქართული ექსპორტის დაახლოებით 20%-ს შეადგენს. სხვადასხვა ქვეყნებში ხდება ასევე ყველის და ჩირის ექსპორტიც. რეგისტრირებული საწარმოების მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგებია: ვაჭრობა (53%), სოფლის მეურნეობა (28%), მრეწველობა (5%), მშენებლობა (5%) და მომსახურება (სერვისი) (9%). თელავის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია 38,576 ჰექტარი. აღნიშნული ტერიტორიების 39% საძოვარია, 35% - სახნავ-სათესი მიწები, ხოლო 19% - მრავალწლოვან მცენარეებს უკავია.

### განათლება

192. თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 26 საჯარო და 31 კერძო სკოლა. ერთ-ერთი მათგანი სოფელ კურდღელაურში მდებარეობს.

193. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქალაქ თელავში მდებარეობს. ერთი პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ აქ მდებარეობს.

194. თელავის მუნიციპალიტეტში 31 საბავშვო ბაღია, საიდანაც 9 ქალაქ თელავში მდებარეობს, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა სოფლებში, მათ შორის კურდღელაურში.

## I. ინფრასტრუქტურა

195. აღსანიშნავია ქალაქ თელავის სიახლოვე საქართველოს დედაქალაქთან, თბილისთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და დედაქალაქს შორის - 149 კმ-ია (თელავი-ბაკურციხე-თბილისი) (2 სთ და 28 წთ), ხოლო გომბორის უღლეთეხილით - 94 კმ (1 სთ და 49 წთ). მანძილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე - გომბორის უღლეთეხილით - 83 კმ (მგზავრობის დრო: დაახლოებით 1 სთ და 30 წთ). თელავის მუნიციპალიტეტშია სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და აეროპორტი „მიმინო“, საიდანაც ხორციელდება ფრენები მოკლე მანძილზე, მაგალითად, თუშეთში.
196. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სატრანსპორტო ორგანიზაცია. აღნიშნული კომპანიებიდან ერთ-ერთი ემსახურება საქალაქთაშორისო მარშრუტებს, ხოლო სამი - შიდა მუნიციპალურ და უბნებს შორის მარშრუტებს.

## J. კულტურული მემკვიდრეობა

197. თელავის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის მრავალრიცხოვანი ძეგლებით. აქ გვხვდება ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, შუა საუკუნეების ტაძრები და ციხე-სიმაგრეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ძველი და ახალი შუამთის მონასტრები, წინანდლის მუზეუმი, იყალთოს და ალავერდის მონასტრები. კახეთის სხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ერთად, აღნიშნული ადგილები მიმზიდველი ლოკაციებია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სოფელ კურდღელაურში არ არის.

## K. ტურიზმი

198. ტურიზმის თვალსაზრისით, თელავი საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ მხარეს წარმოადგენს. როგორც მთელ საქართველოში, ასევე თელავშიც, აღინიშნება ტურისტული ნაკადების ყოველწლიური ზრდა. 2017 წ. მონაცემების მიხედვით, კახეთის რეგიონში შემოსული ტურისტების რაოდენობა ყოველთვიურად 16-დან 70 ათასამდე იცვლება, საიდანაც დაახლოებით 70-80% სტუმრობს თელავს. მიუხედავად იმისა, რომ თელავი ტურისტულად აქტიურ მუნიციპალიტეტს წარმოადგენს, მოკლე-ვადიანი (1-2 დღიანი) ვიზიტები მაინც პრობლემურია - ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმწირის და ტურისტული მარშრუტების დივერსიფიკაციის საჭიროების გამო. ტურიზმის ყველაზე აქტიური სექტორებია: ღვინო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, კულტურული და გასტრონომიული ტურიზმი.

## VII. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები

### A. მეთოდოლოგია

199. IEE-ის განახლებული დოკუმენტის პროცესი შედგება ექვსი ძირითადი ღონისძიებისგან, რომლებიც საერთოა საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული მსგავსი კვლევებისათვის:

- (i) საკვლევ არეალში ბიოფიზიკური და სოციალური გარემოს აღწერი საბაზისო მონაცემთა ბაზის შეგროვება; თეორიული და საველე კვლევები არსებულ მონაცემთა ბაზაში ნაკლოვანებების შესავსებად; მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას დაქვემდებარებული არეებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციის განახლება;
- (ii) შეთავაზებული სამუშაოების მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის დადგენა; შესაძლო პოტენციური უარყოფითი გავლენის აღბათობისა და მნიშვნელობის შეფასება; შემარბილებელი ზომების შემუშავება;
- (iii) ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, პროექტისა და მუშაობის კუთხით ალტერნატივების („არა საპროექტო“ ალტერნატივების ჩათვლით) ანალიზი;
- (iv) გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება;
- (v) IEE-ის განახლებული ანგარიშის შედგენა;

200. ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაცია.

201. თითოეული ზეგავლენის აღწერას უნდა ახასიათებდეს: (i) ღონისძიებების ტიპი (ii) ღონისძიებების მასშტაბი და (iii) პროექტის არეალი.
202. ზეგავლენის შეფასების ზოგადი მეთოდოლოგია (კრიტერიუმები) მოცემულია დანართში. მეთოდოლოგია აღწერს ზეგავლენის დადგენისა და განსაზღვრის, მნიშვნელობის შეფასების, შერბილებისა და ეფექტური პრაქტიკის პროცესს. როდესაც პროექტი გარემოზე არასასურველ გავლენას ახდენს, ამ გავლენის შერბილების ზომები უნდა გამოვიყენოთ (გარდა იმ საპროექტო ზომებისა, რომლებსაც თავად პროექტი მოიცავს). გარდა ამისა, ეფექტური

პრაქტიკის ზომების შეთავაზებაც შეიძლება, თუმცა ისინი ზეგავლენის მნიშვნელობას ვერ შეცვლიან. დადებითი ზეგავლენის შემთხვევაში, შეთავაზებულია მართვის ზომები, რათა მოხდეს სარგებლის ოპტიმიზაცია.

203. არასასურველი ზეგავლენის შერბილების პრაქტიკის შერჩევასა შერბილების შემდეგი იერარქია გამოიყენება (დალაგებულია უპირატესობის მიხედვით):

(i) ზეგავლენის თავიდან არიდება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრით.

(ii) ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირება მისი გამომწვევი მიზეზის შეზღუდვით.

(iii) ზეგავლენის გაუმჯობესება ზეგავლენის მიზეზებისგან ზეგავლენის ობიექტის დაცვით.

(iv) ზეგავლენის კომპენსირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზეგავლენა ძალზე დიდია და ზემოთ მოცემული პუნქტები არ გამოგვადგება.

#### **B. აქტივობების შეჯამება და მოსალოდნელი ზემოქმედება**

204. პროექტი, მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას მოახდენს სოფელ კურდღელაურის მოსახლეობაზე, რადგან გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა სკოლამდელი აღზრდის ხარისხიან ინფრასტრუქტურზე.

205. სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული გარკვეული დროებითი ზემოქმედებები გამოიკვეთება. ამ ზემოქმედებებთან გამკლავების მიზნით წინა-სამშენებლო, სამშენებლო და ოპერირების ფაზებზე, შერბილება შემოთავაზებულია საჭიროებისამებრ და აღწერილია ამ თავში. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები შესწავლილი იქნა 3 ფაზად:

#### **ფაზა 1: წინასამშენებლო აქტივობები**

206. მხედველობაში იქნა მიღებული წინასამშენებლო საქმიანობის პოტენციური გარემოსდაცვითი ზემოქმედება, როგორცაა სამშენებლო კომპანიის ოფისების მოწყობა, საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, ობიექტების მომზადება და წვდომის ადეკვატურობა და ყველა ეს აქტივობა არ გააუარესებს გარემოს არსებულ პირობებს.



207. სამშენებლო კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა რამდენიმე წინასამშენებლო კვლევა, მათ შორის ხმაურის და ვიბრაციის, ნიადაგის დაბინძურების, ჰაერის დაბინძურების, ფლორისა და ფაუნის სახეობების თაობაზე.

208. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს მოსაშორებელი მასალების და ნარჩენების სათანადო წესით განადგურებასა და განადგურების ობიექტები ავტორიზებულია მთავრობის მიერ.

## **ფაზა 2: სამშენებლო სამუშაოები**

209. პროექტის მშენებლობის დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება არის ხმაური, ვიბრაცია, მტვერი, მყარი და თხევადი ნარჩენები. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა მშენებლობის ფაზაში, რადგან საზოგადოებრივი შენობები განლაგებულია პროექტის ტერიტორიასთან ახლოს. ეფექტები, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს მშენებლობის ფაზაში, არიან მოკლევადიანი ეფექტები და მათ არ შეუძლიათ გააუარესონ არსებული პირობები. მშენებელ კომპანიას მოეთხოვება, რომ სამუშაოები შეასრულოს გარემოსდაცვითი მოქმედი სტანდარტების დაცვით და რომ შეაკეთოს და თავიდან აღადგინოს ნებისმიერი ავარიული ტერიტორიები სამუშაოებამდე ან უკეთესი პირობების მხედველობაში მიღებით.

**ფაზა 3: ექსპლოატაცია**

210. ექსპლოატაციის ფაზაში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება წარმოიქმნება მოწყობილი ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის შედეგად და მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების წარმოქმნასთან იქნება დაკავშირებული.

211. ამ პუნქტში მოცემულია პროექტის სხვადასხვა ფაზებთან დაკავშირებული ტერიტორიისთვის განკუთვნილი, მოსალოდნელი ზემოქმედებების მოკლე აღწერა (იხ. ცხრილი 16).

**ცხრილი 16. ტერიტორიისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზემოქმედებები**

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
<b>წინასამშენებლო ეტაპი</b>						
საბავშვო ბაღის ტერიტორია	წინასამშენებლო კვლევა (ხმაური და ვიბრაცია - საბაზისო, შეფასება, ჰაერის დაბინძურება - საბაზისო შეფასება,	სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გარემოზე მიყენებული ზიანი, პროექტის ტერიტორიებზე	საშუალო	საშუალო	საშუალო	ყველა ახალი ინფრასტრუქტურის ლოკაციების გამოკვლევა ბანაკის, სამშენებლო ეზოს ჩათვლით.  ტერიტორიები პროექტის ადგილმდებარეობის ფარგლებში ან ყველაზე ახლოს შესაძლო ვაკანტურ სივრცეში არსებული ტერიტორიებზე

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
		გაუთვალისწინებული გარემოებების გამო				პრიორიტეტის მინიჭება; თუ საჭიროდ ჩაითვლება სხვაგან გადაადგილება, განიხილეთ ის ლოკაციები რომლებიც არ გამოიწვევს არასტაბილურობას და არ გამოიწვევს ქონების, მცენარეულობისა და სასმელი წყლის მიწოდების სისტემების განადგურებას;
	საჭირო გეგმების შემუშავება: ტერიტორიისთვის განკუთვნილი სპეციფიკური გარემოს მართვის გეგმა (SSEMP); ტერიტორიისთვის განკუთვნილი სპეციფიკური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმა.; მოძრაობის	გარემოსა და მომუშავეთა ჯანმრთელობის დაზიანება საჭირო გეგმების არარსებ	საშუალო	საშუალო	საშუალო	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭირო გეგმების მომზადება და აღმასრულებელი უწყებისთვის წარდგენა, სამუშაოების განხორციელება დაუშვებელია SSEMP-ის დამტკიცებამდე

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
	<p>მართვის გეგმა; ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა; ნარჩენების მართვის გეგმა; აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვის გეგმა (საჭიროების შემთხვევაში); საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმა; მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაცია (საჭიროების შემთხვევაში); ატმოსფერულ ჰაერში გამოსხივებული მავნე ნივთიერებების სტაციონარული წყაროების ტექნიკური ანგარიში (საჭიროების შემთხვევაში)</p>	ობის გამო				
	ყველა საჭირო ნებართვის,	გარემოს დაზიანე	საშუალო	საშუალო	საშუალო	მოპოვება: ინერტული მასალის მოპოვების

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
	ლიცენზიისა და აპრობაციის მოპოვება	ბაზუნებრივი რესურსების, ნარჩენების გატანის, დაბინძურების არასანქცირებულ გამოყენების გამო				ლიცენზიები; MEPA-ს მიერ ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცება; MEPA-ს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში); შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსების შესახებ; შეთანხმება სახიფათო ნარჩენების განთავსების შესახებ; (საჭიროების შემთხვევაში);
	დაცვის პერსონალის დანიშვნა და საჭირო	გარემოსდაცვითი, სოციალ	საშუალო	საშუალო	საშუალო	გარემოსდაცვითი და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
	ტრენინგების ჩატარება	ური და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების-ს შეუსაბამობები				სპეციალისტების დანიშვნა; ტრენინგების ჩატარება, როგორც ეს განსაზღვრულია IEE-ს მიერ.
	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ	პოტენციური კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან	საშუალო	მინიმალური	საშუალო	პროექტის შესახებ საინფორმაციო ბანერის შემუშავება და საკონტაქტო პირების მითითება; ინფორმაციის გავრცელება მომავალი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ
	სხვადასხვა პოტენციურ გარემოზე ზემოქმედების გენერაცია პროექტის, განლაგების ცვლილებების გამო	გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების	საშუალო	მინიმალური	საშუალო	თუ რაიმე ცვლილება მოხდება ტექნიკურ პროექტში, IEE უნდა განახლდეს შესაბამისად

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
		შეუსაბამობები				
<b>მშენებლობის ეტაპი</b>						
საბაეშვო ბაღის ტერიტორია	მიწის სამუშაოები	ნიადაგი ჭარბი მოცულობით	საშუალო	მაღალი	საშუალო	ტერიტორიიდან ამოღებული ჭარბი მოცულობის ნიადაგი დროებით შეინახება ადგილზე და გამოყენებული იქნება ისევ, შევსების მიზნით.  დარჩენილი ნარჩენების აკუმულაციის შემთხვევაში, მისი გადაყრა მოხდება მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით
	სამშენებლო სამუშაოები	მტვერი, ხმაური ვიბრაცია	საშუალო	მაღალი	საშუალო	საცხოვრებელი შენობები
		ზედაპირულ	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები არ

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
		იწყების დაბინძურება				ფიქსირდებიან სიახლოვეში
		ზემოქმედება არქეოლოგიურ და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტერიტორიებზე	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები არ ფიქსირდებიან სიახლოვეში
		ფლორა და ფაუნა	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები არ ფიქსირდებიან სიახლოვეში



ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
		ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი	საშუალო	საშუალო	საშუალო	ადგილობრივი მაცხოვრებლების გადაადგილება
		ნარჩენები	საშუალო	საშუალო	საშუალო	მგრძობიარე რეცეპტორები არ ფიქსირდებიან სიახლოვეში
		შრომისუ საფრთხე (OHS) / საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფ	საშუალო	საშუალო	საშუალო	ადგილობრივი მაცხოვრებლები

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
		რობოება				
		გადაუდებელი შემთხვევები	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
		ლანდშაფტის ვიზუალის ცვლილება	საშუალო	საშუალო	საშუალო	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
სამშენებლო ბანაკი	ექსპლოატაცია	მყარ ნარჩენი	საშუალო	მაღალი	საშუალო	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
<b>ოპერირების ეტაბი</b>						

ტერიტორია	აქტივობა	გარემოსდაცვითი ასპექტი	ზემოქმედება	ალბათობა	რისკი	შენიშვნები
საბავშვო ბაღის ტერიტორია	ექსპლოატაცია	წარმოქმნილი საცობი	მინიმალური	საშუალო	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
		ნარჩენებთან და ჩამდინარე წყლების დაბინძურებასთან დაკავშირებული რისკი	მინიმალური	საშუალო	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
		ემისიები	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები ფიქსირდებიან სიახლოვეში არ
		ხმაური და ვიბრაცია	მინიმალური	მინიმალური	მინიმალური	მგრძნობიარე რეცეპტორები არ ფიქსირდებიან სიახლოვეში

### C. აუცილებელი გარემოსდაცვითი დოკუმენტები

212. სამშენებლო კომპანია, მშენებლობის დაწყებამდე, ჩაატარებს მთელ რიგ კვლევებს და შეიმუშავებს გარემოსდაცვითი გეგმებს, მათ შორის:

1. კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMP)
2. სატრანსპორტო მოძრაობის მართვის გეგმა
3. ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა
4. ნარჩენების მართვის გეგმა (WMP)
5. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა
6. გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (ERP)
7. ნიადაგის ზედა ფენის მართვის გეგმა
8. ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმა
9. მშენებლობის შემდგომი აუდიტის ანგარიში

213. სამშენებლო კომპანია სრულ განაკვეთზე დაასაქმებს გარემოს, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHS) პერსონალს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება SSEMP-ის მომზადებაზე, უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, SSEMP-ის განხორციელებაზე და EHS-თან დაკავშირებულ სხვა სახელშეკრულებო დებულებებზე, თემების მხრიდან საჩივრების/პრეტენზიების განხილვაზე, ნებისმიერი მაკორექტირებელი მოქმედების განხორციელებაზე, მგფ-თან და მშენებლობის ზედამხედველ კონსულტანტთან (CSC) კოორდინაციაზე.

214. სამშენებლო კომპანია დამსაქმებელს/ინჟინერს (მგფ-ს) წარუდგენს ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებს, რათა უზრუნველყოს საინჟინრო და ადმინისტრაციული კონტროლი, მუშებისა და თემების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, რათა ხელი შეუწყოს დამსაქმებელს/ინჟინერს უსაფრთხოების ზომების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისა და შრომის სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას მხრივ, და რათა დაიცვას პროექტის ზედამხედველობის კონსულტანტების ნებისმიერი რეკომენდაცია.

215. სამშენებლო კონტრაქტორის (ჩართულობა) საჭიროა მშენებლობის შემდგომი ეტაპის პერიოდში გაწმენდისა და სამუშაო ობიექტების წინასამუშაო მდგომარეობაში ან უკეთეს მდგომარეობაში მოყვანისთვის. განმახორციელებელი უწყების დამადასტურებელი შეტყობინება, რომ ყველა სამუშაო და დასუფთავება შესრულდა დამაკმაყოფილებლად, უნდა იყოს „სამუშაოების მიღების“ შემადგენელი ნაწილი და გადახდის პირობა.

216. აუდიტის ანგარიში უნდა მოიცავდეს წარმოდგენილ ინფორმაციას, მაგრამ არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შემდეგით:

- (i) პროექტის ფარგლებში შესრულებული ძირითადი სამშენებლო სამუშაოებით;
- (ii) პროექტის ორგანიზაციისა და მართვის გუნდით;
- (iii) გარემოსდაცვითი აუდიტითა და მისი მეთოდოლოგიით;
- (iv) აუდიტის დასკვნებით;
- (v) დასკვნითა და რეკომენდაციებით.

#### D. ჰაერის ხარისხი

##### ზემოქმედება

217. სამშენებლო საქმიანობა გულისხმობს მძიმე ტექნიკის, ბულდოზერების, ექსკავატორების, მიწის გაწმენდისა და სხვა მიწის სამუშაოებისთვის საჭირო გრეიდერების, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გამოყენებას, სამშენებლო მასალების, მუშების, სამუშაო ადგილიდან სამშენებლო ნაგავის მოშორებას. მძიმე ტექნიკის, მანქანების და სხვა სამშენებლო აღჭურვილობის მუშაობა იწვევს ნახშირბადის მონოქსიდის, NO<sub>x</sub>, SO<sub>2</sub>, ნახშირწყალბადების და ნაწილაკების ემისიებს.

218. სამშენებლო სამუშაოების დროს მტვრის წარმოქმნა დაკავშირებულია შემდეგთან:

- მიწის სამუშაოების, ნიადაგის ზედა ფენის მოცილების ჩათვლით, ექსკავაციურ სამუშაოები ეტაპობრივად;
- ამოთხრილი გრუნტის ტრანსპორტირება და შენახვა (ნიადაგის ზედა ფენისა და წიაღისეულის შესანახ ადგილებზე მიტანა; გაფუჭება ნიადაგისგანკარგვის ადგილებამდე მიტანა);
- წვრილი მასალების (ქვიშა, ხრეში, ცემენტი და ა.შ.) ტრანსპორტირება მომმარაგებლების ობიექტებიდან;
- სამშენებლო მასალების შენახვა.

219. ემისიებმა და მტვრის წარმოქმნამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამშენებლო ობიექტთან ახლოს მდებარე შენობებსა და საცხოვრებელ უბნებზე - მასალების ტრანსპორტირების მარშრუტებთან მიმართებაში. ავტომობილისა და აღჭურვილობის გამონაბოლქვი და მტვერი დამახასიათებელია ნებისმიერი სამშენებლო საქმიანობისთვის. ძირითადი რეცეპტორები არიან საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მდებარეობს პროექტის ტერიტორიასთან ახლოს. მანძილი სამშენებლო ობიექტის საზღვრიდან 6-85 მეტრია. ეს ზემოქმედება დროებითი ხასიათის არის და შეფასებულია როგორც საშუალო მასშტაბის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადოდ არ არის გატარებული შემარბილებელი ზომები. კარგი სამშენებლო პრაქტიკის გამოყენების შემთხვევაში, ზემოქმედება შეიძლება შემცირდეს მცირე და მისაღებ დონეზე.

## შერბილება

220. შედარებით მაღალი ზემოქმედება დაკავშირებულია მტვრის გამოყოფასთან, რომლის მოცულობის დადგენა რთულია. თუმცა, აშკარაა, რომ მიწის და ნგრევის სამუშაოები, აგრეთვე ხრეშის და სხვა ინერტული მასალების ტრანსპორტირება გადასატანი ორმოებიდან და სამშენებლო ნარჩენებიდან ნაგავსაყრელზე, გამოიწვევს მტვერთან დაკავშირებულ დისკომფორტს. ეს არის დროებითი ზემოქმედება და უნდა შემცირდეს შემდეგი ზომების გატარების მეშვეობით:

- წყლის ავზისა და წყლის მრფევეელი მოწყობილობების მქონე ტრაილერების ან სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით სინესტის შემოტანა;
- სამშენებლო მასალებისა და შესანახი მასალების ფირფიტებად დასაწყობება;
- დანგრევის დროს მტვრისგან დამცავი ბარიერული ეკრანის დამონტაჟება;
- ადგილზე გადატანილი მასალები დაიფარება/დასველდება მტვრის შემცირების მიზნით;
- სამშენებლო მოედანი სათანადოდ იქნება მორწყული;
- საჭიროების შემთხვევაში მუშებს მიეწოდებათ დამცავი აღჭურვილობა;
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის ინსტრუმენტული გაზომვები;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

221. თუ საჭიროდ ჩაითვლება რომ მშრალ პირობებში ან სადაც წარმოიქმნება ან სავარაუდოდ რომ წარმოიშვას მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობა - მშენებლობის მენეჯერთან შეთანხმების საფუძველზე, დაინერგება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.

222. მშენებლობაში ჩართული მძიმე ტექნიკის ემისიები იმართება ძრავის სათანადო ტექნიკური პრაქტიკისა და კარგი ხარისხის საწვავის გამოყენებით. გამორთეთ მოწყობილობა/სატრანსპორტო საშუალება, როდესაც არ იყენებთ მას და შეამცირეთ ძრავის უმოქმედო რეჟიმი 5 წუთამდე. სატრანსპორტო საშუალების საწვავით შევსება განხორციელდება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიები - საწვავის ჩამსხმელი წვეროების, და ტუმბოების და დახურული ავზების გამოყენების მეშვეობით (საწვავის შესანახად ღია კონტეინერები არ იქნება გამოყენებული). ყველა მანქანა შემოწმდება და შეკეთდება დაზიანებული ნაწილების გამო გაზრდილი გამონაბოლქვის აღმოფხვრის საჭიროების შემთხვევაში; გამოყენებული იქნება ტრანსპორტირების განსაზღვრული მარშრუტები და საჭიროების შემთხვევაში, შემცირდება მოძრაობის სიჩქარე. მასალების ადგილზე ტრანსპორტირება არ განხორციელდება პიკის საათებში.

## ექსპლოატაციის ფაზა

223. ექსპლოატაციის ფაზაში მინიმალური ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, მოსალოდნელია. პროექტის ფარგლებში მიწოდებული ბოილერი შეესაბამება ევროკავშირის მახასიათებლებს ემისიების თაობაზე.

**E. ხმაური და ვიბრაცია**

**ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე**

224. სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ოპერირება და მშენებლობის ფაზაში გამოყენებული სამშენებლო მეთოდები სავარაუდოდ გამოიწვევს ხმაურის დონის მატებას.

225. ასევე შეიძლება ფიქსირდებოდეს ხმაურის ზემოქმედება იმ მარშრუტებზე, რომლებიც გამოიყენება მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მიერ, რომლებსაც ადგილზე გადააქვთ აღჭურვილობა და მასალები. ამიტომ, სამშენებლო ობიექტებამდე მისასვლელი მარშრუტები უნდა დაიგეგმოს ისე რომ, სატრანსპორტო საშუალებები მოერიდონ ნებისმიერ შენობას ან ადგილს, რომელიც შეიძლება იყოს განსაკუთრებით მოწყვლადი ხმაურის მიმართ (საცხოვრებელი შენობები).

226. მშენებლობასთან დაკავშირებული ხმაურის შეფასება ეყრდნობა ცნობილ ინფორმაციას „მშენებლობის ცალკეულ ეტაპებზე სხვადასხვა აღჭურვილობისა და აქტივობების მიერ წარმოქმნილი ხმაურის თაობაზე“. მაგალითად, ხმაურის დონეები წარმოშობილი 50 ფუტზე (15,24 მ), როგორც ეს აღწერილია აშშ-ის სატრანსპორტო დეპარტამენტის, FHWA, CADOT და SBAG 1993 და 1994 წ. ლოს-ანჯელესის ოლქის, 1994 წ. ქვეყნის სანიტარული რაიონების თანახმად;

ხმაურის წყარო	ხმაურის დონის ეკვივალენტი, dBA
უკუნიჩბები	84 – 85
ბულდოზერები	84 – 85
გრეიდერები	91 – 92
კომპრესორები	80 – 88
სანგრევი ჩაქუჩები	85 – 98
ხიმინჯსასობი ურნალები	96 - 107
კომპაქტორები (სატკეპნი მანქანები)	72 – 75

ჩამჩიანი სატვირთველი	72 – 83
ტრაქტორები	78 – 95
სკრეპერები (მიწის სათხრელი მანქანები), გრეიდერები	80 -95
ასფალტდამგები მანქანები	85 – 88
სატვირთოები	83 - 93
კომპრესორები	75 - 88
ამწე, მოძრავი	75 – 85
დარტყმითი ბურღები	82 - 98
ვიბრატორი	82 - 98
ხერხი	72 - 82

227. ხმაურის ეს დონეები ხმაურის წყაროდან 7 მეტრის მანძილზე, აშკარად აჭარბებს დაშვებულ სტანდარტებს.

228. მობილური წყაროებით წარმოქმნილი ხმაური ბუნებრივად იკლებს გარკვეულ მანძილზე. შესუსტება მიჰყვება ლოგარითმულ სქემას. მშენებლობასთან დაკავშირებული ხმაურის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული წერტილის წყაროს გამრავლების მოდელი. წერტილოვანი წყაროს გავრცელება შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$\text{ხმის დონე } 1 - \text{ხმის დონე } 2 = 20 \log r_2/r_1.$$

229. აღნიშნული ნიშნავს, რომ მანძილის ყოველი გაორმაგებისას, ხმის დონე მცირდება 6 dBA-ით („ინვერტული კვადრატის კანონი“).

მანძილი სამშენებლო მოედნის კიდიდან, მ	პროგნოზირებული ხმაურის დონის	პროგნოზირებული ხმაურის დონის	დასაშვები ნორმა <sup>1</sup>
---------------------------------------	------------------------------	------------------------------	------------------------------

1 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული საცხოვრებელ შენობებსა და საზოგადოებრივ შენობებში აკუსტიკური ხმაურის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტი.



	საშუალო მნიშვნელობა - dBa	მაქსიმალური მნიშვნელობა - dBa	
5	80	90	დღის განმავლობაში – 50 dBA. ღამის განმავლობაში – 40 dBA
10	74	84	
20	68	78	
40	62	72	
80	56	66	
160	50	60	

230. გასათვალისწინებელია მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ სამშენებლო საქმიანობა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მიმღებებზე, კერძოდ:
- სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში;
  - ხმაურის ძირითადი წყაროები ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთდროულად მუშაობდეს; თუ ეს ასე იქნება, მაშინაც კი, არ მოისაზრება ხანგრძლივ პროცესად;
  - მშენებლობის ფაზაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოკლევადიანი იქნება.
231. ხმაურის გავრცელება უარყოფით გავლენას მოახდენს სამშენებლო პროცედურებზე. ხმაურის დონემ სამშენებლო მოედანზე შეიძლება მიაღწიოს 95 dBA-ს. კონსტრუქციაზე დასაქმებული პერსონალი (განსაკუთრებით ტექნიკის მახლობლად მუშაობისას, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ხმაურს) აღჭურვილი იქნება დამცავი აღჭურვილობით (ყურის საცობები).
232. შეუძლებელია სამშენებლო მოედანზე ხმაურის ემისიების მთლიანად აღმოფხვრა; მიუხედავად ამისა, უნდა განხორციელდეს შემარბილებელი ზომები მგრძობიარე რეცეპტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად.
233. მშენებლობის ფაზაში გამოყენებული იქნება ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები, რაც შესაძლებელს გახდის მოსალოდნელი „საშუალო“ დონის ზემოქმედების შემცირებას „დაბალ დონემდე“.

## შერბილება

234. მშენებლობის ფაზაში ხმაურის დონის მინიმიზაციის მიზნით, რეკომენდებულია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება:

- ტექნიკის სათანადო მოვლის უზრუნველყოფა;
- სამუშაოები, რომლებიც იწვევენ ხმაურს, განხორციელდეს მხოლოდ დღის განმავლობაში;
- შეიზღუდოს ხმაურიანი სამუშაოების ერთდროულად განხორციელება;
- ხმაურის გამომწვევი სამშენებლო სამუშაოების პერიოდის განსაზღვრა სოციალური (კვირა და უქმე დღეები) საკითხების გათვალისწინებით;
- სამუშაო დრო და მშენებლობის განრიგი უნდა იყოს რაციონალურად გამოყოფილი და ყველა საინჟინრო დაწესებულებამ სამუშაო დროის თაობაზე უნდა მიიღოს გონივრული ზომები; ხოლო საინჟინრო საქმიანობა 22:00 საათიდან მეორე დღის 8:00 საათამდე მკაცრად იკრძალება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს შემოთავაზებული პროექტი;
- ხმაურიანი სამუშაოების განხორციელებამდე უნდა გააფრთხილოთ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა და საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდოთ მათ დამატებითი ახსნა-განმარტება;
- გენერატორების და სხვა ხმაურიანი მოწყობილობების განთავსება მგრძნობიარე რეცეპტორებისგან მოშორებით;
- საჭიროების შემთხვევაში შექმენით დროებითი ბარიერები (ეკრანები) ხმაურის მნიშვნელოვან წყაროსა და მიმღებებს შორის. ეკრანების შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა სტრუქტურის გამოყენებით (მაგ., ხის მასალისგან დამზადებული ფარები). ხმაურის დაცვის ხარისხი დამოკიდებულია მასალის ტიპზე და დაფების სისქეზე. მაგალითად:
  - ფიჭვის დაფებით შემოღობვა (სისქე 30 მმ – 12 Dba);
  - შემოღობვა მუხის დაფებით (45მმ სისქით - 27 Dba);
- საჭიროების შემთხვევაში აღჭურვეთ პერსონალი სათანადო დამცავი აღჭურვილობით;
- ხმაურიან სამუშაოებზე განლაგებული პერსონალის ხშირად შეცვლა კუმულაციური ექსპოზიციის შესამცირებლად;
- პერსონალის გადამზადება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და შემდეგ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ;

- საზედამხედველო კომპანიის მიერ შეიძლება ჩატარდეს სპეციალური ტრენინგი, რომელიც დაკავშირებულია პროექტისთვის დამახასიათებელი ხმაურის მოთხოვნებთან, მახასიათებლებთან და/ან აღჭურვილობის ოპერაციებთან, მშენებლობასთან დაკავშირებული ხმაურის დონის გაზომვის ჩათვლით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ხელშეკრულების მითითებების შესასრულებლად;
  - რაც შეეხება სენსიტიური რეცეპტორების, მათ შორის საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების მიმდებარედ სამუშაოების განხორციელებას, თუ ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის ოდენობა მეტია დასაშვებ დონეზე, სამშენებლო სამუშაოები უნდა შეჩერდეს და ჩატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. თუ ხმაურის დონე ნორმებს არ მიაღწევს, სამშენებლო სამუშაოები არ განახლდება;
  - საჩივრების შემთხვევაში, ჩაიწერეთ ისინი და მიიღეთ შესაბამისი ზომები, მათ მოსაგვარებლად.
235. წყაროს კონტროლი, ზოგადად, ხმაურის შერბილების ყველაზე ეფექტური ფორმაა და მოიცავს ხმაურის წყაროს კონტროლს, სანამ ის შეძლებს პოტენციურად შემაწუხებელი ხმაურის დონის გამოყოფას. სამშენებლო ხმაური, როგორც წესი, წარმოიქმნება ორი ტიპის წყაროდან: (i) სტაციონარული აღჭურვილობა; და (ii) მობილური აღჭურვილობა.
236. ნაკლებად ხმაურიანი აღჭურვილობა: ცალკეული აღჭურვილობით გამოწვეული ხმაურის ზემოქმედების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია ნაკლებად ხმაურიანი მანქანების გამოყენება. ნაკლებად ხმაურიანი აღჭურვილობის მითითებით და/ან გამოყენებით, შეიძლება შემცირდეს ან ზოგიერთ შემთხვევაში, აღმოიფხვრას წარმოებული ზემოქმედება. წყაროს კონტროლის მოთხოვნილებებს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი სარგებელი, რაც ხელს უწყობს ტექნოლოგიური მიღწევების ხელშეწყობას, უფრო მშვიდი აღჭურვილობის განვითარებაში.
237. მაყუჩები: სამშენებლო ხმაურის უმეტესობა წარმოიქმნება შიდაწვის ძრავებიდან. გამოყოფილი ხმაურის დიდი ნაწილი გამოწვეულია ჰაერის შეღწევისა და გამონაბოლქვის ციკლის გამო. ადეკვატური მაყუჩის სისტემების გამოყენების დაზუსტებამ შეიძლება გააკონტროლოს ძრავის ამ ხმაურის დიდი ნაწილი;
238. ფარები: ფარების გამოყენება, რომლებიც ფიზიკურად არის დამაგრებული კონკრეტულ აღჭურვილობაზე, ეფექტურია განსაკუთრებით სტაციონარული მოწყობილობებისთვის და იქ, სადაც საჭიროა ხმაურის მნიშვნელოვანი შემცირება;
239. საფარველი: ხმის საფარველი ზოგადად იღებს ხმის შთამნთქმელი დასაფენის ფორმას, რომელიც ჩამოკიდებულია მოწყობილობაზე ან ჩარჩოებზე, რომლებიც დამაგრებულია მოწყობილობაზე. საფარველი შეიძლება დამზადდეს რეზინის, ტყვიის ქსოვილისგან ან PVC ფენებისგან შესაძლო ხმის შთამნთქმელი მასალით, რომელიც ფარავს მხარეს, რომელიც უყურებს მანქანას. ხმის საფარველი გამოსადეგია მაშინ, როდესაც ფარები ხშირად უნდა მოირღვეს ან როცა მხოლოდ ნაწილობრივად შესაძლებელია ფარების დამონტაჟება;
240. გარსაცმები: სტაციონარული სამუშაოების გარსაცმები შეიძლება იყოს ხისგან ან სხვა შესაფერისი მასალისგან და, როგორც წესი, გარს უნდა ეკრას კონკრეტულ საოპერაციო ზონას და აღჭურვილობას. კედლები შეიძლება იყოს გაფორმებული ხმის

შთამნთქმელი მასალით, რათა თავიდან აცილებულ იქნას ხმის დონის მატება სტრუქტურაში. ისინი განკუთვნილი უნდა იყოს გამარტივებული აღმართვისა და დემონტაჟისთვის.

241. ზოგიერთ სიტუაციაში, მაგალითად, ურბანულ ადგილებში ან პროექტის იზოლირებულ მონაკვეთებზე, შეიძლება სასარგებლო და აუცილებელი იყოს ბარიერების აგება სამუშაო ტერიტორიის მიმდებარედ ან გზის მარჯვენა მხარეს. აღნიშნული შესაძლოა იყოს: ბუნებრივი დამცავი, დროებითი დამცავი და/ან მუდმივი დამცავი;
242. დროებითი შემცირების ტექნიკა მოიცავს დროებითი და/ან მოძრავი ფარის გამოყენებას როგორც კონკრეტული, ისე არასპეციფიკური ოპერაციებისთვის. ზოგიერთი ფარი შეიძლება გადაადგილდეს დაშლის გარეშე ან შეიძლება, რომ განმეორებით დამაგრდეს და დემონტაჟდეს, რათა ამით დაცული იქნას მოქმედი ოპერაცია. ასეთი ბარიერის მაგალითი იყენებს ხმაურის ფარდებს მისაბმელებთან ერთად ადვილად მოძრავი, დროებითი ხმაურის ბარიერის სისტემის შექმნის მიზნით;
243. საზედამხედველო კომპანიამ შეიძლება გაიაროს სპეციალური ტრენინგი, რომელიც დაკავშირებულია პროექტის სპეციფიკური ხმაურის მოთხოვნილებებთან, მახასიათებლებთან ან/და აღჭურვილობის ოპერაციებთან, მშენებლობასთან დაკავშირებული ხმაურის დონის გაზომვის ჩათვლით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ხელშეკრულების მითითებების შესასრულებლად;
244. სამუშაო დრო და მშენებლობის განრიგი უნდა იყოს დადგენილი რაციონალურად და ყველა საინჟინრო დაწესებულებამ უნდა მიიღოს გონივრული ზომები სამუშაო დროის შესახებ, ხოლო საინჟინრო საქმიანობა 22:00 საათიდან მეორე დღის 8:00 საათამდე მკაცრად იკრძალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს შემოთავაზებული პროექტი;
245. რაც შეეხება სამუშაოების განხორციელებას სენსიტიური რეცეპტორების მიმდებარედ, ასევე საცხოვრებელი, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების ჩათვლით, თუ ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის დონე დასაშვებზე მეტია, მაშინ სამშენებლო სამუშაოები უნდა შეჩერდეს და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს. თუ ხმაურის დონე ნორმებს არ მიაღწევს, სამშენებლო სამუშაოები არ განახლდება.
246. სამშენებლო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ხმაურის და ვიბრაციის დონის ინსტრუმენტული გაზომვა და მონიტორინგი მშენებლობის ფაზაში და განახორციელოს შემარბილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს ხმაურის და ვიბრაციის დონეები მისაღებ დიაპაზონში, როგორც ეს იქნება განსაზღვრული ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმაში.

#### **ზემოქმედება ოპერირების ფაზაში**

247. ოპერირების ფაზაში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

## F. წყლის ხარისხი

### ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

248. პროექტის განხორციელებისას ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკი მინიმალურია. მიწისქვეშა წყლები შეიძლება დაბინძურდეს გათხრილი ნიადაგის არასათანადო განლაგების, სამშენებლო ბანაკის ცუდი მართვისა და სამშენებლო მასალების არასათანადო შენახვისა და სამშენებლო ტექნიკიდან საწვავის და საპოხი მასალების გაჟონვის გამო.

### შერბილება

249. საჭიროა შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება:

- იქ, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს, ეროზიის კონტროლისა და დალექვის საშუალებები, დანალექის შემავსებელი მოწყობილობები და ჩალის შეკვრის ბარიერების ან კომბინაციების ჩათვლით, დარჩება;
- საპოხი მასალები, საწვავი და სხვა ნახშირწყალბადები შეინახება წყლის ობიექტებიდან არანაკლებ 50 მ დაშორებით.
- ნიადაგის ზედა ფენის მოფხევილი მასალა არ უნდა ინახებოდეს იქ, სადაც ბუნებრივი დრენაჟი შეფერხდება.
- მყარი ნარჩენების განკარგვა მოხდება სათანადოდ (ისინი არ გადაიღვრება არხებში).

250. სამშენებლო ფაზის განმავლობაში, სამშენებლო კომპანიას მოეთხოვება, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, ააშენოს, შეინარჩუნოს, მოარღვიოს და აღადგინოს დროებითი სადრენაჟო სამუშაოები და მიიღოს ყველა სხვა სიფრთხილის ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული საკუთრების და მიწის დატბორვითა და სამუშაოებიდან ჩამორეცხილი სილით მიყენებული ზიანი. სამშენებლო კომპანია პასუხისმგებელი იქნება, რომ არ მოხდეს სამშენებლო მასალების ან სამშენებლო ნარჩენების მიერ საპროექტო ადგილზე არსებული სადრენაჟე არხების ამოვსება.

### ზემოქმედება ოპერირების ფაზაში

251. ოპერირების ფაზაში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მოსალოდნელი არ არის.

### გ. ნიადაგის ხარისხი და ნიადაგის ზედა ფენის მართვა

ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

- 252. ნიადაგის დაბინძურება შეიძლება მოხდეს დაღვრის, ნარჩენების არასათანადო მართვის, მოძველებული ტექნიკის მიზეზით ნავთობის გაჟონვის ან სხვა ქმედებების შედეგად.
- 253. ნიადაგის დაბინძურება შეიძლება მოხდეს პროექტის ტერიტორიებზე მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის გადატანის ან გამოცვლის გამო, მილსადენ(ებ)ის შემთხვევითი დაზიანების ან დაბინძურებული ნიადაგის არასწორი მართვის შედეგად.
- 254. ნიადაგის ზედა ფენის დაკარგვა შეიძლება მოხდეს მიწის სამუშაოების შედეგად, როგორცაა მიწის გაწმენდის სამუშაოები, დახარისხება, გათხრები.
- 255. ტერიტორიის აღდგენისთვის გამოყოფილ, პროექტით განსაზღვრული ხელახალი კულტივაციის ფართობი შეადგენს 910 მ<sup>2</sup>-ს. საერთო ჯამში მოსაცილებელი ნიადაგის ზედა ფენის მოცულობა შეადგენს 227 მ<sup>3</sup>-ს. პროექტის ზონაში ამოღებული ნიადაგის ზედა ფენა სრულად იქნება გამოყენებული შემდგომი აღდგენის მიზნით.
- 256. ნიადაგის ზედა ფენის მოცილების კოორდინატები

გრძედი	განედი
X-45.4962	Y-41.9304
X-45.4961	Y-41.9301
X-45.4963	Y-41.9301
X-45.4964	Y-41.9303

257. ნიადაგის ზედა ფენის შენახვის კოორდინატები

გრძედი	განედი
X-45.496067	Y-41,930632
X-45.495989	Y-41.930486

X-45.496502	Y-41.930295
X-45.496584	Y-41.930396

### შერბილება

258. ნიადაგის დაბინძურებისა და ნიადაგის ზედა ფენის დაკარგვის რისკის შესამცირებლად გამოყენებული იქნება შემდეგი პრაქტიკა:

- გათხრების სამუშაოების დროს უნდა მოშორდეს და შენახულ იქნას ცალ-ცალკე 0,2-0,3 მ სიღრმის ნიადაგის ზედა ფენა, ხოლო ძირითადი ფენის აგების შემდეგ იგივე ნიადაგი უნდა შეიცვალოს ზემოთ, გაუკვალავ ადგილებში;
- ნიადაგის ზედა ფენის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით, შევსების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მ-ს, ხოლო შევსების ფერდობის დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 45°-ს;
- ნიადაგის ზედა ფენის ხანგრძლივად შენახვის შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული ზომები მისი ხარისხობრივი თვისებების შესანარჩუნებლად. იგულისხმება პერიოდული გაფხვიერება ან ბალახის დათესვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, თუ დარჩება ნიადაგის ზედმეტი ზედა ფენა, თუ დარჩება, გამოყენებული იქნება პროექტის სხვა ობიექტებზე ან გადაეცემა შესაბამის ორგანოებს.
- სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება;
- ზეთის/საპოხი მასალების დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაღვრილი პროდუქტის ლოკალიზება/გაწმენდა უმოკლეს დროში.
- ტექნიკა, რომელიც ოპერირებისას ქმნის მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკს, აღჭურვილი იქნება წვეთსაკრები ქვეშით;
- მანქანები სასურველია გაირეცხოს კერძო ავტოსამრეცხაო ადგილებში;
- წყლის დროებითი სამარშრუტო ცვლილებთან დაკავშირებული არხების გამოყენება;
- ხვრელების დროულად ამოვსება;

### ზემოქმედება ოპერირების ფაზაში

259. ოპერირების ფაზაში ნიადაგის დაბინძურების რისკი მოსალოდნელი არ არის.

H. ბიოლოგიური გარემო

ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე



260. ზემოქმედება მცენარეულობაზე მშენებლობის ეტაპზე, გათვალისწინებული არ არის.

## შერბილება

261. თუ პროექტის განხორციელებისას საჭირო გახდება ხეების მოჭრა ან გადარგვა, სამშენებლო კომპანია (CC) მოახერხებს ისე რომ, ინვენტარის საფუძველზე, მშენებლობის დაწყებამდე მოჭრას ან დარგოს ხეები და ხის მოჭრის ნებართვის მისაღებად საჭირო იქნება MEPA-ში (წითელ ნუსხაში შეტანილ ხეებზე) და ქუთაისის მერიაში (წითელ ნუსხაში არ შეტანილ ხეებზე) ხეების მოჭრის თაობაზე ნებართვის აღება. სანებართვო დოკუმენტი მოიცავს წარმოდგენილი ინვენტარის საფუძველზე საკომპენსაციო ღონისძიებებს. ხის დანერგვა - ჩვეულებრივი ხეებისთვის არანაკლებ 1:3 და წითელ ნუსხაში შეტანილ ხეებზე 1:10 მასშტაბზე (საქართველოს მთავრობის დებულება). იგივე ჩანაცვლების თანაფარდობა 1:10 არის მიჩნეული საფრთხის ქვეშ თითქმის მყოფი ან მოწყვლადი სახეობებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია IUCN წითელი ნუსხის თანახმად. დაუშვებელია გადაშენების პირას მყოფი ან კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარეების სახეობების მოჭრა. საკომპენსაციო საფასური გადაიხდება პროექტის ფარგლებში, საკომპენსაციო ღონისძიებებს ასევე განხორციელებს სამშენებლო კომპანია. ხეები უნდა მოიჭრას დანიშნული სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

262. როცა ისახება ინტერესის ქვეშ მყოფი სახეობები, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ განიხილება ალტერნატიული ობიექტი. თუ ალტერნატიული ტერიტორია არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ აღმასრულებელი უწყება განხორციელებს კოორდინაციას MEPA-სთან ერთად, ცხოველების გადაადგილების თაობაზე.

263. ზემოქმედება ვეგეტაციაზე, მშენებლობის ეტაპზე, იქნება უმნიშვნელო. საპროექტო ტერიტორიაზე რამდენიმე ხე და ბუჩქია. სოფელ კურდღელაურში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროცესში არსებული ხეების მოჭრა არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. შეფასების შედეგების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია არ გამოირჩევა ხე-მცენარეების სიმრავლით. ასევე არ შეინიშნება წითელ ნუსხაში შეტანილი დაცული მცენარეების სახეობები.

ზემოქმედება ოპერირების ფაზაში

264. ბიოლოგიური გარემოს დაზიანების რისკი, მოსალოდნელი არ არის.

## I. ნარჩენების მართვა

## არასახიფათო ნარჩენები

265. სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოიქმნება არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები და შეგროვდება სამშენებლო კომპანიის მუშების მიერ. ასეთი ნარჩენების შენახვამ დასახლების მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე და გვიანებულმა ან არასათანადო განკარგვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ჰაერის ხარისხზე, მტვრის წარმოქმნაზე და და დისკომფორტი შეუქმნას მეზობელ დასახლებებზე გარდა ამისა, ნარჩენები წარმოიქმნება შესაფუთი მასალებიდან და ხეებიდან.

1. არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების მართვა ხდება პროექტის კონკრეტული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით. ინერტული სამშენებლო ნარჩენები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ ხელისუფლებასთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად შევსების სამუშაოებისთვის. ყველა სხვა სახის არასახიფათო ნარჩენი უნდა განთავსდეს ნაგავსაყრელზე - ნაგავსაყრელის მართვის ერთეულთან წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სავარაუდოდ, ყველა ინერტული ნარჩენი გამოყენებული იქნება ადგილზე, შევსების მიზნით.

266. სამშენებლო ნარჩენების განთავსება როგორც ობიექტებზე, ასევე დროებით საწყობებში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნარჩენების განლაგების ადგილი უნდა იყოს დახურული;
- ნარჩენებს არ უნდა ჰქონდეთ წვდომა სანიაღვრე წყალთან;
- ნარჩენები დაუყოვნებლივ უნდა მოშორდეს სამუშაო ადგილებიდან;
- ნარჩენების გადატანა შესაძლებელია მხოლოდ სერტიფიცირებულ სამშენებლო კომპანიაში.

267. მუნიციპალური მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება სამშენებლო/ბანაკის ადგილზე. ძირითადად ეს არის ნაგავი, პლასტმასის ან მინის ბოთლები, ჭიქები, ნარჩენები საკვები და ა.შ.; ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს ინფექციური დაავადებების გავრცელება, სამშენებლო/ბანაკში მწერების და პარაზიტების გაჩენა. გარდა ამისა, ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

268. მუნიციპალური ნარჩენები უნდა შეგროვდეს როგორც სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის, ასევე ტერიტორიაზე არსებულ ვორკშოპის მუშაკების მიერ. მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობა წელიწადში შეადგენს 5600 კგ-ს. ნარჩენები მოთავსდება მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან შეთანხმების შესაბამისად, 0.24 მ<sup>3</sup> ზომის პლასტმასის კონტეინერებში და განთავსდება სილნალის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე. გასათვალისწინებელია შემდეგი:

- თავიდან უნდა იქნას აცილებული მტვრის წარმოქმნა;
- პლასტმასის კონტეინერები უნდა დაიხუროს, რათა თავიდან აცილებოლ იქნას სუნის გავრცელება და ასევე რათა თავიდან აცილებულ იქნას მღრღნელებისა და მწერების კონტაქტი ნარჩენებთან.
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვაში ჩართული პერსონალი გაივლის სპეციფიურ ტრენინგს ნარჩენების მართვის დამუშავებისა და შენახვის საკითხებთან დაკავშირებით;
- სამშენებლო ობიექტზე აკრძალულია ნარჩენების დაწვა; გამონაკლისს წარმოადგენს ხეებიდან ან ბუჩქებიდან ჩამოცვენილი მცირე ზომის ტოტები, რომელთა დაწვა უმჯობესია, მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

## სახიფათო ნარჩენები

269. პროექტის მშენებლობის ფაზაში არ არის მოსალოდნელი დიდი რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სახიფათო ნარჩენების საერთო რაოდენობა წელიწადში 60 კგ-ს შეადგენს. აღნიშნული ნარჩენები უნდა გადაეცეს შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამშენებლო კომპანიას. სახიფათო ნარჩენები მშენებლობის ფაზაში შეიძლება წარმოიქმნას როგორც სატრანსპორტო საშუალების ოპერირებიდან, ასევე სამშენებლო ბანაკში.
270. სახიფათო ნარჩენები დროებით შეინახება სამშენებლო მოედანზე გამოყოფილ ადგილას და გადაეცემა ლიცენზირებულ კომპანიას საბოლოოდ მოშორებისთვის.
271. სახიფათო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და დროებით განთავსდეს წინასწარ შერჩეულ, შეთანხმებულ ზონაში, თითოეული ნარჩენის ტიპის მოთხოვნების გათვალისწინებით. სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს სპეციალური პრევენციული ღონისძიებები, კერძოდ, კონტეინერებს უნდა ჰქონდეს მეორადი საცავი და დაუშვებელია სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან შერევა. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები უნდა შემოწმდეს სიმჭიდროვის მხრივ სახიფათო ნარჩენების მართვაში ჩართულმა პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ნარჩენები უნდა მოშორდეს ყოველ 3 დღეში.
272. ვინაიდან საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელები, ამ კატეგორიის ნარჩენები მართვის მიზნით უნდა გადაეცეს ავტორიზებულ სამშენებლო კომპანიას. სახიფათო ნარჩენების შესახებ ხელშეკრულება

გაფორმდება დამუშავებისთვის (დეაქტივაცია, დაწვა) ან სხვა ტექნოლოგიურ პროცესებში ხელახალი გამოყენებისათვის - უფლებამოსილ კომპანიასთან.

273. ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული ნიადაგი, შემთხვევითი მცირე მასშტაბის საწვავის/ნავთობის დაღვრის (გაჟონვის) გამო შეიძლება გამოსწორდეს ადგილზევე (მაგ.: ბიორემედიაცია). უფრო დიდი დაღვრა (ნაკლებად სავარაუდოა სხვა მსგავსი პროექტების გამოცდილებიდან) ლოკალიზებული, დაბინძურებული ნიადაგი უნდა მოირღვეს ავტორიზებული სამშენებლო კომპანიის მიერ რემედიაციის მიზნით. უნდა მოხდეს ახალი, სუფთა ნიადაგის წარმოდგენა რასაც მოჰყვება ხელახალი კულტივაცია. ამ სერვისში რეკომენდებულია ავტორიზებული კომპანიის ჩართვა.

274. სამშენებლო კომპანიამ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოამზადოს პროექტის კონკრეტული ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა ზოგადად უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაცია წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (კერძოდ მისი წარმოშობის, ნარჩენების ნუსხაში განსაზღვრული ნარჩენების ტიპების, შემადგენლობისა და რაოდენობის შესახებ);
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისა და მისი აღდგენის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, განსაკუთრებით კი სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში;
- წარმოქმნილი ნარჩენების, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების, სხვა ნარჩენებისგან გამოყოფის მეთოდის აღწერა;
- ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები;
- გამოყენებული ნარჩენების დამუშავების მეთოდები და/ან ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებსაც ნარჩენები გადაეცემა, შემდგომი დამუშავებისთვის.

### სამედიცინო ნარჩენები

275. სამედიცინო ნარჩენები შეიძლება წარმოიქმნას სამედიცინო მომსახურებისა და საკონტროლო პუნქტში. აღნიშნული ნარჩენები მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენების კატეგორიას. ნარჩენები გროვდება სპეციალურ პლასტმასის ყუთებში, რომლებიც უნდა დაილუქოს ჰერმეტიკულად და გადაეცეს სერტიფიცირებულ კომპანიას, შემდგომი დაწვისთვის.

J. ტრანსპორტის მოძრაობა ზემოქმედება და შერბილება მშენებლობის დროს

288. მშენებლობის დაწყებამდე მომზადდება მოძრაობის კონტროლისა და ოპერირების გეგმა საგზაო მოძრაობის მართვის ადგილობრივ ორგანოსთან ჩართულობით გეგმა უნდა შეიცავდეს სამშენებლო მოძრაობის გადამისამართების ან დაგეგმვის დებულებებს, რათა თავიდან იქნას აცილებული დილის და შუადღის პიკის საათები, გზის გადასასვლელებზე მოძრაობის რეგულირება, ასევე აქცენტის გაკეთებით საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მკაფიო ნიშნების, კონტროლისა და წინასწარ დაგეგმვის საშუალებაზე;

289. სამშენებლო ობიექტები. სამშენებლო ობიექტებზე საზოგადოებისათვის განთავსდება მკაფიო ნიშნები, რომლებიც ადამიანებს გააფრთხილებენ პოტენციური საფრთხის შესახებ, როგორცაა მანქანების გადაადგილება, სახიფათო მასალები, თხრილები და ა.შ. და გაზრდის ცნობიერებას უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში. მძიმე ტექნიკა არ იქნება გამოყენებული დღის საათების შემდეგ და ყველა ასეთი მოწყობილობა დაბრუნდება ღამის საცავში/პოზიციაზე ღამემდე, ობიექტი უზრუნველყოფს საზოგადოების წვდომის შეზღუდვას, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ღობეებით.

ზემოქმედება ოპერირებისას

290. ოპერირების ფაზაში ზემოქმედება დაკავშირებული იქნება საბავშვო ბაღთან მისასვლელ გზაზე მოძრაობის გაზრდასთან, რაც დარეგულირდება მკაფიო ნიშნების დამონტაჟებით.

K. არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

291. მიწის გაწმენდის სამუშაოები, და გათხრები დაკავშირებულია მიწისქვეშა არქეოლოგიური ნაშთების დაზიანების რისკებთან. ასეთი სახის ზემოქმედება მინიმალურია საპროექტო ობიექტზე.

292. პოტენციური არქეოლოგიური ღირებულების არტეფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- a. სამშენებლო მუშაკები ვალდებული არიან შეწყვიტონ სამუშაოები და დაუყოვნებლივ მომართონ არქეოლოგიურ ზედამხედველს.
- b. არქეოლოგიური ხელმძღვანელი სიტუაციის შესახებ აცნობებს მთავარ ინჟინერს ობიექტზე და მოითხოვს სამუშაოების შეწყვეტას აღმოჩენის ადგილზე. არქეოლოგიური ზედამხედველი ახორციელებს აღმოჩენისა და იმ ტერიტორიის შემოწმებას, სადაც ეს აღმოჩენა დაფიქსირდა

- c. იმ შემთხვევაში, თუკი აღმოჩენას არ გააჩნია პოტენციური არქეოლოგიური ღირებულება, არქეოლოგიური ხელმძღვანელი აცნობებს ამის შესახებ მთავარ ინჟინერს და სამუშაოები ხელახლა დაიწყება საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდება ჩანაწერთა წიგნაკში.
- d. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენა შეფასებულია, როგორც პოტენციურ არქეოლოგიურ არტეფაქტად, არქეოლოგიური ზედამხედველი აცნობებს ამის შესახებ სამშენებლო კომპანიის მთავარ ინჟინერს (CC) და MDF-ის გარემოსდაცვით სპეციალისტს (და ზედამხედველ კომპანიას/ინჟინერს) ამის შესახებ - სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის მოთხოვნით და მომხდარის შესახებ აცნობებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.
- e. სამშენებლო კომპანიის (CC) მთავარი ინჟინერი ანგარიშს აბარებს MDF-ს, რომელიც აცნობებს შეჩერებულ სამუშაოებს და ითხოვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაუყოვნებლივ ჩართულობას.
- f. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დანიშნავს ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს და ადგილზე ჩაატარებს აუცილებელ არქეოლოგიურ სამუშაოებს პრობლემის გამოსავლენად.
- g. უფრო მარტივ შემთხვევებში, ამოთხრას დაქვემდებარებული არტეფაქტების ამოღების, მასალების შეკეთებისა და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების შემდგომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტები მიიღებენ გადაწყვეტილებას შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების ხელახლა დაწყების თაობაზე.
- h. ღირებული და სივრცული აღმოჩენების განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შეუძლია მოითხოვოს საპროექტო სამუშაოების გადატანა არქეოლოგიური ობიექტიდან უსაფრთხო მანძილზე.

L. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ადგილობრივი თემისთვის

- 293. არსებობს უსაფრთხოების მუდმივი, რისკები როდესაც არსებითი სამშენებლო სამუშაოები ტარდება ურბანულ რაიონში და, შესაბამისად, საჭირო იქნება სიფრთხილის ზომები როგორც მუშახელის, ისე მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- 294. სამშენებლო კომპანიას (CC) მოეთხოვება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეიმუშაოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა. მართვის გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს.

მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება და უნდა გაგრძელდეს მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა ოპერირების პერიოდში. ქვემოთ მოცემულია ის ზემოქმედებები და ზომები, რომლებიც ეხება საზოგადოების უსაფრთხოებას.

ცხრილი 17 პროექტის პოტენციური ზემოქმედება საზოგადოების უსაფრთხოებაზე

პროექტის პოტენციური ზემოქმედება საზოგადოების უსაფრთხოებაზე	რეკომენდირებული შერბილების ზომები და მონიტორინგის აქტივობები
წინასამშენებლო:	
საზოგადოების ინფორმირებულობა უსაფრთხოებაზე - ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული და შენარჩუნებული	თემის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისთვის, უნდა დარწმუნდეთ, რომ: (i) სასმელ წყალზე მოთხოვნა არ გაუწევს კონკურენციას მიმდებარე თემებს; და (ii) უნდა ხორციელდებოდეს ადეკვატური დაცვა ფართო საზოგადოების მიმართ, მათ შორის უსაფრთხოების ბარიერები და ღობეები და სახიფათო ადგილების მონიშვნა გამაფრთხილებელი ნიშნებითა და საინფორმაციო ბანერების საშუალებით.
სამშენებლო ფაზა:	
სამანქანო მოძრაობის უსაფრთხოება	მნიშვნელოვანია, რომ სატვირთო მანქანის მძღოლებმა და აღჭურვილობის ოპერატორებმა გააცნობიერონ საგზაო უსაფრთხოების შენარჩუნების მნიშვნელობა, განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე. უსაფრთხოების საგზაო ნიშნები და გამაფრთხილებელი შუქები უნდა დამონტაჟდეს შესაბამის ადგილებში.

ელექტრო სისტემები - მათი გადატანისას უსაფრთხოება მნიშვნელოვანია	მშენებლობის დროს სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა უზრუნველყოს ყველა ელექტროგადამცემი ხაზის ფუნქციონირება, ეს შეიძლება მოიცავდეს დროებითი გადამცემი ხაზების უზრუნველყოფას, სანამ არსებული ბომბები და ხაზები გადააქვთ. ამ პუნქტიდან ერთადერთი გამონაკლისია აფეთქების პერიოდები, როდესაც უსაფრთხოების მიზნით HV ელექტროგადამცემი ხაზები გამორთულია.
---	--

**M. შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები**

მნიშვნელოვანია მუშების უსაფრთხოება მშენებლობის დროს. სამუშაო ადგილზე და სამუშაოს შესრულების დროს ჯანმრთელობა და უსაფრთხოება შესული უნდა იყოს სამშენებლო კომპანიის (CC) სამუშაო პოლიტიკაში. შემდეგი პუნქტები ეხება მუშათა საერთო უსაფრთხოებას, რომელიც აუცილებელია პროექტის მიერ გასათვალისწინებლად (ცხრილი 18).

უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზომები და რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია COVID 19-ის პრევენციასთან და მის გავრცელებასთან. ზოგადი რეკომენდაციები სამშენებლო სექტორისთვის ახალი კორონა ვირუსის (SARS-CoV-2) ინფექციასთან (COVID 19) დაკავშირებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #01-227/ო -ს მითითებები მკაცრად უნდა იყოს დაცული.

**ცხრილი 18 მუშათა უსაფრთხოების ასპექტი**

პროექტის პოტენციური ზემოქმედება მუშათა უსაფრთხოებაზე	რეკომენდირებული შერბილების ზომები და მონიტორინგის აქტივობები
წინასამშენებლო	
PPE-ით უზრუნველყოფა - მუშები სათანადოდ უნდა იყვნენ დაცულნი ადგილზე სამუშაოს შესრულების პერიოდში.	მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:



	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადეკვატური ჯანდაცვის დაწესებულებები (მათ შორის პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები) სამშენებლო ობიექტებზე;</li> <li>• ყველა სამშენებლო მუშაკის გადამზადება სანიტარულ და ჯანდაცვის ძირითად საკითხებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგად საკითხებში და მათი მუშაობის სპეციფიკურ საფრთხეებზე;</li> <li>• მუშაკების PPE -თი უზრუნველყოფა, როგორცაა უსაფრთხოების ჩექმები, ჩაფხუტი, ხელთათმანები, დამცავი ტანსაცმელი, სათვალეები და ყურის დამცავი , მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</li> </ul>
<p>მუშაკთა უსაფრთხოების ინფორმირებულობა - მუშებმა უნდა იცოდნენ სამუშაოსთან დაკავშირებული რისკებისა და საშიშროების შესახებ და უნდა მიიღონ შესაბამისი რჩევები და გაფრთხილებები</p>	<p>სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა შეიმუშავოს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა (HSP) და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (ERP) ADB მოთხოვნების შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობების დაწყებამდე, რომელიც ასახავს COVID-19-ის საწინააღმდეგო ღონისძიებებსაც.</p> <p>სამშენებლო კომპანია (CC) დაიქირავეს კვალიფიციურ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ექსპერტს, რომელიც პერსონალს გადამზადებს უსაფრთხოების თაობაზე, ინდივიდუალური სამუშაო ადგილის მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაოების დაწყებამდე სამუშაო ადგილის პერსონალი უნდა გადამზადდეს სახიფათო ნივთიერებების (საწვავი, ზეთი, საპოხი მასალები, ბიტუმი, საღებავი და ა.შ.) დამუშავებისა და შენახვის უსაფრთხოების წესებისა და ასევე აღჭურვილობის გასუფთავების თაობაზე. აღნიშნულის მომზადებისას სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა ჩამოაყალიბოს გამოსაყენებელი მასალების მოკლე სია (ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით) და წარმოადგინოს საწყისი კონცეფცია, რომელიც განმარტავს იმ ტრენინგს/ბრიფინგს, რომელიც უნდა ჩატარდეს სამშენებლო პერსონალისთვის.</p>

მშენებლობა

მუშაკთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები და საშიშროებები არის რეალური ყოველდღიური მოვლენა. ამიტომ, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სერიოზულად უნდა იქნას მიღებული მუშაკთა ზოგადის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამშენებლო კომპანია (CC) პასუხისმგებელია: (i) უსაფრთხოების სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფაზე. სავალდებულო უსაფრთხოების ტრენინგის პროგრამა შედგება საწყისი უსაფრთხოების შესავალი კურსისგან. ყველა მუშაკს მოეთხოვება დაესწროს უსაფრთხოების შესავალ კურსს მათი პირველი კვირის განმავლობაში ადგილზე და პერიოდული უსაფრთხოების სწავლების კურსებს. (ii) უსაფრთხოების შეხვედრები. რეგულარული უსაფრთხოების შეხვედრები ჩატარდება ყოველთვიურად და საჭიროებს ქვეკონტრაქტორების უსაფრთხოების წარმომადგენლების დასწრებას, თუ ინჟინრის მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული; (iii) უსაფრთხოების ინსპექტირება. სამშენებლო კომპანია (CC) რეგულარულად უნდა ამოწმებდეს, ტესტავდეს და უვლიდეს ყველა უსაფრთხოების მოწყობილობას, ხარაჩოებს, დამცავ მოაჯირებს, სამუშაო პლატფორმებს, ამწებს, კიბეებს და სხვა წვდომის საშუალებებს, ამწეს, განათების, ნიშნებს და დამცავ აღჭურვილობას. განათება და ნიშნები არ უნდა იყოს დაფარული და ისინი უნდა იკითხებოდეს ადვილად. მოწყობილობა, რომელიც არის დაზიანებული, ჭუჭყიანი, არასწორად განლაგებული ან არ მუშაობს, დაუყოვნებლივ უნდა შეკეთდეს ან გამოიცვალოს; და (iv) უსაფრთხოების აღჭურვილობა და ტანსაცმელი. უსაფრთხოების აღჭურვილობა და დამცავი ტანსაცმელი უნდა იყოს ობიექტზე ხელმისაწვდომი ყველა არსებულ დროსა და ზომების ეფექტური გამოყენებისა და ასეთი აღჭურვილობისა და ტანსაცმლის სათანადო გამოყენებისა და საჭირო გამოცვლის ეფექტურად განხორციელებისთვის, და ის ყველა სამშენებლო ქარხანა და მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ობიექტზე ან მის გარშემო, უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი უსაფრთხოების მოწყობილობებით. სამშენებლო კომპანია (CC) კოორდინაციას გაუწევს ადგილობრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებს და დადებს დოკუმენტურ შეთანხმებას

	<p>საავადმყოფოებისა და სხვა საზოგადოებრივი ობიექტების გამოყენებასთან დაკავშირებით.</p>
--	--

	სამშენებლო კომპანია (CC) მიიღებს ზომებს, რათა შეამციროს სექსუალური ექსპლუატაცია, ძალადობა და შევიწროება (SEAH) მშენებლობის პერიოდში.
ქვე-კონტრაქტორის(CC)'s / მომწოდებლების შესაბამისობა EMP-სთან - როგორც პროექტის სამუშაო ძალის ნაწილი, ქვეკონტრაქტორს (CC) უნდა მიეცეს მითითებები და ის უნდა იყოს ხელშეკრულებით იძულებული, რომ შეასრულოს EMP-ს დებულებანი.	ყველა ქვესამშენებლო კომპანიის (CC) მიმწოდებელს მიეწოდება SSEMP-ის ასლები. დებულებები ჩართული იქნება ყველა ქვეკონტრაქტში SSEMP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვეკონტრაქტის ყველა დონეზე.  ყველა ქვეკონტრაქტორს (CC) მოეთხოვება დანიშნოს უსაფრთხოების წარმომადგენელი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ადგილზე შესაბამისი ქვეკონტრაქტის საოპერაციო პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინჟინრის თანხმობა საპირისპიროსთან დაკავშირებით წერილობით არის მიღებული. ინჟინრების დამტკიცების შემთხვევაში, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ინჟინერმა მისი სხვა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შელახვის გარეშე, უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა დონის ქვეკონტრაქტორების თანამშრომლები იცნობდნენ SSEMP-ის შესაბამის ნაწილებს.

**სამშენებლო ბანაკები**

სამშენებლო კომპანიის (CC) სამუშაო ბანაკის შექმნამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზემოქმედება, იმ შემთხვევაში, თუკი სათანადოდ არ იქნება გადაჭრილი სხვადასხვა ასპექტები, როგორცაა თხევადი და მყარი ნარჩენების მართვა, ნიადაგის ზედა ფენა, ალჭურვილობის მოვლა, მასალების შენახვა და უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციური ზემოქმედება მინიმუმამდე იყოს შენარჩუნებული, სამშენებლო კომპანიას (CC) მოეთხოვება მოამზადოს შემდეგი გეგმები ან მეთოდების შესახებ განცხადებები:

- a. ბანაკის ობიექტის მართვის გეგმა;
- b. სამუშაო ბანაკის განლაგების გეგმა, რომელშიც შედის ყველა პრევენციული ღონისძიების აღწერა მიმღებ გარემოზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად (ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგი, ატმოსფერული ჰაერი, ადამიანების დასახლება);
- c. ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს ნაგვის ურნებით მომარაგებას, რეგულარულ შეგროვებას და ჰიგიენური წესით მოშორებას, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ნარჩენების (მაგ., საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მეორადი

საბურავები და ა.შ.) ნარჩენების მართვის შემოთავაზებულ ობიექტებს რომელიც შეესაბამება მოქმედ ეროვნულ რეგულაციებს; და

- d. აღჭურვილობის ტექნიკური ობიექტების და საპოხი მასალების და საწვავის შესანახი ობიექტების აღწერა და განლაგება, მათ შორის მანძილი უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტამდე. საწვავის და ქიმიკატების შესანახი პუნქტები განთავსდება წყლის ობიექტამდე უსაფრთხო მანძილზე. ასეთი დაწესებულებები შემოიფარგლება და უზრუნველყოფილი იქნება გაუმტარი საფარით, რათა გაკონტროლდეს დაღვრა და თავიდან იქნას აცილებული ნიადაგისა და წყლის დაბინძურება.
- e. ეს გეგმები დამტკიცდება ინჟინრის მიერ, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

ზემოქმედების შეფასება COVID-19 -თან მიმართებაში

პროექტების მშენებლობა/სამშენებლო სამუშაოები გულისხმობს სამუშაო ძალებს მომწოდებლებთან და დამხმარე ფუნქციებთან და სერვისებთან ერთად. სამუშაო ძალა შეიძლება შედგებოდეს ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი შრომის ბაზრის მუშაკებიდან. მათ შეიძლება დასჭირდეთ რომ იცხოვრონ ობიექტზე არსებულ საცხოვრებელში, რომ დაბინავდნენ სამუშაო ადგილებთან ახლოს მდებარე თემებში ან დასჭირდეთ სამუშაოს შემდეგ სახლებში დაბრუნება. ადგილზე შეიძლება მუდმივად იმყოფებოდეს სხვადასხვა ქვეკონტრაქტორი, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა საქმიანობას, თითოეულს ჰყავს საკუთარი საგანგებო მუშაკები. მომარაგების ქსელში შეიძლება იყოს ჩართული საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული მომწოდებლები, რომლებიც ხელს უწყობენ საქონლისა და მომსახურების რეგულარულ შემოტანას პროექტში (პროექტისთვის აუცილებელი მარაგების ჩათვლით, როგორცაა საწვავი და წყალი). როგორც ასეთი, ასევე იქნება მხარეთა რეგულარული ნაკადი, რომლებიც შედიან და გამოდიან ობიექტიდან; დამხმარე სერვისები, როგორცაა კვება, დასუფთავების სერვისები, აღჭურვილობის, მასალებისა და მარაგის მიწოდება, და სპეციალისტი ქვე-კონტრაქტორები, რომლებიც სამუშაოებისთვის განკუთვნილი კონკრეტული ელემენტების მოსწოდებლად არიან დაქირავებულნი.

სირთულისა და მუშაკთა კონცენტრირებული რაოდენობის გათვალისწინებით, სამშენებლო პროექტებში ინფექციური დაავადების გავრცელების პოტენციალი სერიოზულია, ისევე როგორც ასეთი გავრცელების შედეგები. პროექტის ფარგლებში შეიძლება დაავადდეს მუშების დიდი რაოდენობა, რაც გადატვირთავს პროექტის ჯანდაცვის დაწესებულებებს და გავლენას მოახდენს ადგილობრივ სასწრაფო და ჯანდაცვის სერვისებზე და შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას და პროექტის განრიგს.

ასეთი ზემოქმედება გამწვავდება, როდესაც მუშები დიდი რაოდენობით არიან და/ან პროექტი შორეულ ან დაბალი მომსახურების ადგილებში მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში, საზოგადოებასთან ურთიერთობა შეიძლება დაიძაბოს ან გართულდეს და კონფლიქტი წარმოიშვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები გრძნობენ, რომ დაავადება პროექტის გამო გადაედოთ ან კონკურენცია უწევთ მწირი რესურსებისათვის. პროექტმა ასევე უნდა განახორციელოს შესაბამისი სიფრთხილის ზომები ადგილობრივ თემებში ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ.

საქართველოს მთავრობამ მიიღო პანდემიის პირობებში მოქმედების სპეციალური პროცედურა - დროებითი სანიტარული ნორმები და წესები (SanN&R) №0372-20 „სახელმწიფო უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების, კომერციული პირების შეზღუდულ პირობებში საქმიანობის ორგანიზების შესახებ - COVID-19 პანდემიის გამო“. დოკუმენტი დამტკიცებულია სანიტარულ ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის სააგენტოს მიერ (მე-3 გამოცემა), 11 მაისი, 2020. SanN&R ითვალისწინებს ზოგად მოთხოვნებს და სპეციფიკურ მოთხოვნებს სხვადასხვა სექტორისთვის: აფთიაქი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბაზრები, სამშენებლო უბნები და ა.შ.

საქართველოს მთავრობის თანახმად, ორგანიზაციების მენეჯერები პირადად არიან პასუხისმგებელი SanN&R-ის დაცვაზე. ყველა სამუშაო უნდა იყოს ორგანიზებული, რათა უზრუნველყოფილ იქნას: (i) ორგანიზაციაში ინფექციის გავრცელების

პრევენცია (ii) გუნდებსა და ორგანიზაციებში კოროვირუსული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება; და (iv) სხვა ორგანიზაციული ღონისძიებები მუშაკთა დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად.

აღნიშნული წესები მოიცავს მოთხოვნებს მუშათა უსაფრთხო ტრანსპორტირების, შესასვლელებში სამედიცინო შემოწმების ორგანიზების, სადეზინფექციო აღჭურვილობითა და სადეზინფექციო საშუალებებით უზრუნველყოფას, კვების ობიექტების, სამშენებლო ბანაკების და ა.შ შემოწმებას; ასევე, დოკუმენტი შეიცავს მოთხოვნებს სამედიცინო ცენტრებში იზოლაციის მოწყობის თაობაზე, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტს აღმოაჩნდა მაღალი სიცხე ან მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციის ინდივიდუალური სიმპტომები (ყნოსვის უქონლობა, მშრალი ხველა, სისუსტე და ა.შ. .) შესაბამისად მოხდება მათი იზოლირება სამუშაო ჯგუფისგან.

ყველა მენეჯერმა ახალი მუშაკებისთვის უნდა ჩაატაროს გაცნობითი ხასიათის ტრენინგი და სამუშაო პერსონალისთვის კი - რუტინული ტრენინგები. წესები ითვალისწინებს სამოქმედო გეგმას იმ შემთხვევებისათვის, როდესაც მუშებს აღმოაჩნდება COVID-19 -ის სიმპტომები.

საქართველოს მთავრობა აწესებს სპეციფიკურ ნორმებს სამშენებლო ობიექტებისთვის. ეს პუნქტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მტვერს და იძლევა რეკომენდაციებს მტვერის წარმოქმნის შერბილებისა და მისგან დაცვის შესახებ. წესები ითვალისწინებს პერსონალური დაცვის აღჭურვილობის ჩამონათვალს COVID-19-ისთვის.

დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს ინსტრუქციას ადგილობრივ ჯანდაცვის დაწესებულებებთან კომუნიკაციის თაობაზე, მუშაკთა რეგულარული სამედიცინო შემოწმების ორგანიზებისა და ინფექციების გამოვლენის შემთხვევაში მობილიზაციის მიზნით.

#### შერბილების ზომები

პანდემიის რისკის არსებობის შემთხვევაში სამუშაოები ორგანიზებული უნდა იყოს დროებითი სანიტარული ნორმებისა და წესების დაცვით. ინფექციის შემთხვევები და განხორციელებული ქმედებები სათანადოდ უნდა იყოს აღრიცხული და მოხსენიებული.

გავრცელების ძირითადი რეჟიმი, რომელიც არის საჰაერო გზა, განხილული იქნება DED -სა და სამშენებლო კომპანიის (CC) SSEMP-ებში. დეზინფექცია და დაბინძურება გაითვალისწინებს WHO-ს შუალედურ მითითებებს წყლის სანიტარულობის, ჰიგიენისა და ნარჩენების მართვის თაობაზე COVID19 ვირუსისთან მიმართებაში და განხილულია DED-ში, რათა თავიდან იქნას აცილებული მუშაკებისა და საზოგადოებისთვის დაავადებებისა და ავადმყოფობის შეყრის შემთხვევები. ოპერატორებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი წყლის, სანიტარული და ჰიგიენური რისკების შესახებ მითითებებისა და პრაქტიკის თაობაზე, რათა თავიდან აიცილონ და მინიმუმამდე შემცირდეს სამუშაო ადგილსა და საზოგადოებაზე ბიოლოგიური საფრთხეების ზემოქმედება. მაგალითად, დოკუმენტში მოცემულია მსჯელობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი კანალიზაციაში და სასმელ წყალში არსებული ვირუსებიგან - მათი ბუნების გაგების მეშვეობით: (i) COVID19-ის გადაღება, (ii)

COVID19 ვირუსის გამღების დრო სასმელ წყალზე, კანალიზაციასა და ზედაპირებზე, (iii) წყლის მიწოდების უსაფრთხოება და (iv) ჩამდინარე წყლებისა და ფეკალური ნარჩენების უსაფრთხო მართვა. აქცენტი ასევე უნდა გაკეთდეს შიდა სივრცეებში არსებულ ვენტილაციაზე, ნიღბებზე და ფიზიკურ დისტანციაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვებას - თუ ეს შესაძლებელია, მაშინ მუშებმა უნდა იკვებონ გარეთ, კარგად ვენტილირებად შიდა სივრცეში ან სხვადასხვა დროის მონაკვეთებში.



## VIII. ინფორმაციის გამჟღავნება, კონსულტაცია და მონაწილეობა

### A. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

როგორც დასტურდება სათანადო სოციალური ექსპერტიზის დასკვნებით, LAR -ის ზემოქმედება არ არის იდენტიფიცირებული და, შესაბამისად, მიმდინარე პროექტს არ გააჩნია AP-ები. ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან ქვეპროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი რეზიდენტები და თელავის ადგილობრივი ხელისუფლება. ყველა ამ დაინტერესებულ მხარეს უკვე დაუკავშირდნენ დისტანციური საკომუნიკაციო არხების (პერსონალური კომპიუტერის, მობილური ტელეფონის) მეშვეობით.

ტექნიკურმა ჯგუფმა პირველი კონსულტაცია ჩატარა 2020 წლის 19 აგვისტოს. შეხვედრა გაიმართა თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. COVID 19-ის გავრცელებისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, სოციალური ქსელის საშუალებით (Viber-ის მეშვეობით გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ქვეპროექტთან დაკავშირებული დაგეგმილი აქტივობების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების და მათი პრევენციის გზებისა და საშუალებების შესახებ. მონაწილეებს მიაწოდეს საკონტაქტო ინფორმაცია MDF-ის და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნულ პირებიდან დამატებითი დეტალური ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც პროექტის, ასევე GRM-ის შესახებ: ბ-ნი ირაკლი ჯაფარიძე საკომუნიკაციო კონსულტანტები (MDF) 593 16 55 77. კონსულტაციის პროცესის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2.

შეხვედრის დაწყებამდე მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მცხოვრებლები ინფორმირებული იყვნენ თელავის მუნიციპალიტეტის შენობაში და საზოგადოებრივ ადგილებში (მაგ. ავტოსადგურები, აფთიაქები, მაღაზიები) განცხადებების მეშვეობით (იხ. დანართი 2). იდენტიფიცირებულ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (მფლობელები და პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი) პირადად ტელეფონით დაუკავშირდა დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ კომუნიკაციის კონსულტანტი - ირაკლი ჯაფარიძე.

მთელ მსოფლიოში ვირუსის გავრცელების გამო (COVID 19), სოციალური დისტანციის მეთოდი იქნა გამოყენებული მოსახლეობასა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში საჯარო კონსულტაციების მიმართ, რადგან ეს კონსულტაციები შესაძლოა გახდეს ვირუსის გავრცელების წყარო. ამიტომ აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის ალტერნატიული წყაროების მოძიება, რათა არ დაირღვეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და საქართველოს მთავრობის (GoG) მიერ გაცემული რეკომენდაციები. ასევე მნიშვნელოვანია საჯარო და პირდაპირი კონსულტაციების ჩატარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაინტერესებული მხარეები და ადგილობრივი მოსახლეობა საფუძვლიანად იყვნენ ინფორმირებული მიმდინარე და დაგეგმილი

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, ასევე აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ. ამ მეთოდის გამოყენება მათ საშუალებას მისცემს არა მხოლოდ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან, არამედ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში, დასვან კითხვები და ჩაერთონ მიმდინარე პროცესებში. ბევრ საცხოვრებელ ზონაში ინტერნეტ ქსელის ზოგადი განვითარებისა და მისი ხელმისაწვდომობის გამო საქართველოს მასშტაბით, ადამიანებს აქვთ წვდომა მრავალ სოციალურ ქსელზე და წარმატებით იყენებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია სამომავლო საჯარო კონსულტაციების ჩატარება დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი ინტერნეტ სოციალური ქსელების და სხვადასხვა საკომუნიკაციო აპლიკაციების გამოყენებით. ეს ასევე დამოკიდებული იქნება ქსელსა და ინტერნეტ აპლიკაციებზე, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყენებს. განახლებული IEE/EMP უნდა ადგილობრივად გასაჯაროვდეს გონივრულ დროში, კონსულტაციების დაწყებამდე, დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომ ადგილას, რათა ამით საზოგადოებისთვის გამოყოფილი იყოს დრო, რომ გაეცნოს და მოიძიოს ინფორმაცია ან გაიაროს კონსულტაცია ექსპერტებთან და ჩამოაყალიბოს მოსაზრებები.

აქედან გამომდინარე, განახლებული და საბოლოო IEE ანგარიშები განთავსდება MDF-ისა და ADB-ის ვებსაიტებზე და ბეჭდური ასლები ხელმისაწვდომი იქნება MDF-ის ოფისში და იმ შესაბამის ქალაქებში, სადაც ქვეპროექტი ხორციელდება. განახლებული და საბოლოო IEE ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულია MDF და ADB ვებსაიტებზე და განახლებული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება MDF და ADB ვებსაიტებზე ADB-ის მიერ დამტკიცების შემდეგ. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის გზით, განხორციელდება პერიოდული საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიები სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, რათა მოხდეს პროექტის დეტალების ახსნა მოსახლეობის უფრო ფართო ფენებისათვის<sup>1</sup>. საჯარო განხილვის შეხვედრები ჩატარდება პროექტის ძირითად ეტაპების პერიოდში, რათა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება პროგრესისა და სამომავლო გეგმების შესახებ. მშენებლობის დაწყებამდე IA გამოაქვეყნებს შეტყობინებას დაწყების თარიღის შესახებ საჯარო ადგილებში განთავსებულ საინფორმაციო ბანერებზე (ავთიაქი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბაზრობები, სამშენებლო ობიექტები). სამშენებლო მოედანზე საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიფინება დაფა, რომელიც ხალხს გააცნობს პროექტის დეტალებს.

## B. საჩივრების განხილვის მექანიზმები

ADB-ის ანგარიშვალდებულებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმი

<sup>1</sup> შემოთავაზებული კონსულტაციების ჩატარების დრო და ადგილი ფართოდ იქნება რეკლამირებული IA-ს ვებ გვერდზე, სხვა შეტყობინებები ნაჩვენები იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ოფისებსა და სხვა საჯარო ადგილებში.

ADB-ის ვებსაიტზე წარმოდგენილია ანგარიშვალდებულების მექანიზმი (AM), ფორუმის სახით, სადაც ადამიანებს, რომლებზეც უარყოფითად იმოქმედა ADB-ის მიერ მხარდაჭერილმა პროექტებმა, შეუძლიათ განაცხადონ ამის შესახებ და მოიძიონ გადაწყვეტილებები თავიანთი პრეტენზიების თაობაზე და შეუძლიათ განაცხადონ ADB-ის ოპერატიული პოლიტიკისა და პროცედურების სავარაუდო შეუსაბამობის შესახებ. ADB მტკიცედ რჩება ანგარიშვალდებულების პრინციპის ერთგული მისი ოპერატიული პოლიტიკისა და პროცედურების შესრულებისთვის და პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების პრობლემების გადაჭრისთვის და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებას და საზოგადოების მონაწილეობის მაღალ სტანდარტებს. 2012 წლის AM პოლიტიკა, რომელიც, როგორც წარმოდგენილია ვებგვერდზე (<http://www.adb.org/documents/accountabilitymechanism-policy-2012>), გამიზნულია: (i) ADB-ის განვითარების ეფექტურობისა და პროექტის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (ii) იმაზე, რომ იყოს პასუხისმგებელი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების პრობლემებზე და სამართლიანი ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ; (iii) რომ ასახოს უმაღლესი პროფესიული და ტექნიკური სტანდარტები მის დაკომპლექტებასა და მუშაობაში; (iv) რომ იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი და გამჭვირვალე; და (v) რომ იყოს ხარჯთეფექტიანი, ეფექტური და შემავსებელი სხვა ზედამხედველობის, აუდიტის, ხარისხის კონტროლის და ADB-ში შეფასების სისტემების მიმართ. ADB ასრულებს ამოცანებს პრობლემის გადაჭრის ფუნქციის მეთოდით, რაც ეხმარება იმ ადამიანებს, რომლებმაც უშუალო, მატერიალური და უარყოფითი ზეგავლენა განიცადეს ADB-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტებისგან, - მოიპოვონ მათი პრობლემის გადაჭრის გზა. სამშენებლო კომპანიამ (CC) ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს უნდა აცნობოს ADB-ს - როგორც პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული შესაძლებლობის შესახებ.

საზოგადოების მონაწილეობა, კონსულტაციები და ინფორმაციის გამჟღავნება ხორციელდება IEE-ის განახლების პროცესის ფარგლებში, რომელიც განიხილავს და აგვარებს საზოგადოების ძირითად პრობლემებს. საზოგადოების უწყვეტი მონაწილეობა და კონსულტაციები ხაზგასმულია, როგორც პროექტის წარმატებული განხორციელების ძირითადი კომპონენტი. საზოგადოების ამ მონაწილეობისა და დაცვის შეფასების შედეგად პროექტის საწყის ეტაპზე არ არის მოსალოდნელი საჩივრების პრობლემა. თუმცა, შეიძლება წარმოიშვას გაუთვალისწინებელი პრობლემები. ამგვარი საკითხების ეფექტურად მოგვარების მიზნით, უნდა შეიქმნას ეფექტური და გამჭვირვალე არხი საჩივრებისა და პრეტენზიების დასაფიქსირებლად, რომელმაც ინსპირაცია მიიღო ADB-ის სახელმძღვანელო პრინციპებისა და პოლიტიკის პრობლემის გადაჭრის ფუნქციიდან.

საჩივრის არსებობის შემთხვევაში, გამოსწორებისთვის დადგენილი ძირითადი ეტაპებია (უფრო დაიხვეწება დეტალური დიზაინის ეტაპზე):

ეტაპი 1: თუკი პრობლემა წარმოიქმნება მშენებლობის დროს, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (AP) შეეცდება გადაჭრას პრობლემური საკითხი უშუალოდ სამშენებლო კომპანიასთან (CC)/ოპერატორთან. წარმატების შემთხვევაში, შემდგომი დაკვირვება არ არის საჭირო.

ეტაპი 2: თუ AP არ არის კმაყოფილი 1 ეტაპზე მიღებული პასუხით, მას შეუძლია მიმართოს მთავრობას 1 ეტაპზე პასუხის მიღების შემდგომ, და მთავრობამ უნდა გასცეს უფრო ცხადი პასუხი 2 კვირის განმავლობაში.

ეტაპი 3: თუ კვლავ ვერ მიიღწევა გადაწყვეტა, თითოეულ მხარეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო ყველა მხარისთვის.

საჩივრების განხილვის პროცესი საქართველოში

MDF-ს მიერ განხორციელებულ პროექტებში საჩივრების გადაწყვეტა განიხილება ორეტაპიანი პროცესის სახით. პირველი ეტაპი მოიცავს ადგილობრივად ხელმისაწვდომ საშუალებებს, როგორცაა პრობლემური ფაქტორის განხილვა ადგილობრივ ინჟინერთან ან სამშენებლო კომპანიასთან (CC), სამშენებლო ზედამხედველობის კონსულტანტთან (CSC)/ სამშენებლო კომპანიასთან (CC), ან/და პირს შეუძლია წერილობით მიმართოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, საჩივრების ადგილზე გადასაწყვეტად. საჩივრების განხილვის მექანიზმი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა კომპენსაციის ოდენობა, მისასვლელი გზების დაკარგვა და ა.შ., აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიყენებული დანაკარგები და ზარალი, მაგ., სამშენებლო კომპანიის მიერ მიწის დროებითი ან მუდმივი დაკავება (CC). აქედან გამომდინარე, საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა ამოქმედდეს იმ დროისთვის, როდესაც MDF დაიწყებს მოლაპარაკებებს AP-ებთან და უნდა იფუნქციონიროს მშენებლობის დასრულებამდე.

საჩივრების განხილვის 1 ეტაპის პროცედურა წარმოადგენს დავის გადაწყვეტის არაფორმალურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მომჩივანებს და პროექტის განმახორციელებელ გუნდს გადაწყვიტონ ნებისმიერი უთანხმოება ფორმალური პროცედურების, გაჭიანურების და დაბრკოლებების გარეშე. MDF-ის მიერ განხორციელებულ პროექტებში განსახლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჩივრების განხილვის არაფორმალური მექანიზმები ეხმარება საჩივრების უმეტესობის გადაჭრას ფორმალური პროცედურების გარეშე (ანუ ადმინისტრაციულ კოდექსში მითითებული პროცედურების ან სასამართლო დავის გარეშე). ეს მექანიზმი იძლევა პროექტის შეუფერხებელი განხორციელების და საჩივრების დროული დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამ ეტაპზე საჩივრებს განიხილავს სამშენებლო კომპანია (CC), რომელმაც ამის შესახებ უნდა აცნობოს მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიას (სსკ) და IA-ს. თუ საჩივარი არ გადაწყდა საწყის ფაზაში, შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის საკომიტეტო ორგანო განიხილავს საჩივრებს. თუ მომჩივანი არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა დაეხმაროს მას ოფიციალური საჩივრის წარდგენაში მე-2 ეტაპის პროცედურების შესაბამისად (მოსარჩელე უნდა იყოს ინფორმირებული მისი უფლებებისა და მოვალეობების, საჩივრის წარდგენის წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარდგენის ვადების შესახებ და ა.შ.).

ეტაპი 2 – მომჩივანის პრეტენზიის განხილვა. MDF-ის ფარგლებში უკვე შეიქმნა საჩივრების განხილვის კომისია (GRC) - განკუთვნილი პროექტის განხორციელების მთელი პერიოდისთვის. GRC განიხილავს მომჩივანთა წერილობით საჩივრებს, რომლებიც არ დაკმაყოფილდა პირველ ეტაპზე. მე-2 ეტაპზე მომჩივანის საჩივარი განიხილება და შესაბამისად გადაწყდება, დაკმაყოფილება თუ არა იგი. ზემოაღნიშნული GRM პროცედურები არ ართმევს მომჩივანს უფლებას, მიმართოს პირდაპირ სასამართლოს. პროცედურის ჩატარების მაქსიმალური ვადაა 5 თვე.

წინამდებარე პროცედურები სპეციალურად GRC-ის მიერ არის შემუშავებული საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მე-2 ეტაპის მიზნებისთვის. GRC-ის ასეთი პროცედურების მიზანია MDF უფრო ხელმისაწვდომი გახადოს პროექტზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებისთვის და ხელი შეუწყოს პროექტთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტური გადაწყვეტის უზრუნველყოფას. საჩივარი, მიღებისთანავე დარეგისტრირდება MDF-ს მისაღებში. მომჩივანს უნდა მიეცეს ქვითარი - MDF-ში მისი საჩივრის

წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება. ადმინისტრატორი საჩივარს გადასცემს MDF-ის დირექტორს, რომელიც ამოწმებს ყველა შემოსულ პრეტენზიას და მისაღებში ასეთი პრეტენზიის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, შესაბამისი პრეტენზიებს გადაამისამართებს უსაფრთხოების განყოფილებაზე. უსაფრთხოების განყოფილება საჩივარს დაარეგისტრირებს თავის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისას საჩივარს მიენიჭება ნომერი.

უსაფრთხოების განყოფილების მონაცემთა ბაზაში საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, ეს განყოფილება წერილობით (წერილით და/ან ელექტრონული ფოსტით) აცნობებს მომჩივანს, რომ საჩივარი მიღებულია, დაარეგისტრირდა და ასევე გადაეგზავნა პროექტის ჯგუფს რეაგირებისთვის, ასევე საჩივარზე მინიჭებულ ნომერს და საკონტაქტო ინფორმაციას შემდგომი შეკითხვებისა და ახსნა-განმარტებებისთვის.

მონაცემთა ბაზაში საჩივრის რეგისტრაციიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, უსაფრთხოების განყოფილება: (i) განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა მომჩივნის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების მოწოდება, და თუ ეს ასეა, ის წერილობით მოსთხოვს მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტების წარდგენას; (ii) მოიპოვებს შესაბამის და აუცილებელ ინფორმაციას შიდა, MDF-ის სხვადასხვა დეპარტამენტებიდან ან პროექტის პარტნიორებისგან; (iii) გადაწყვეტს თარიღს, როდესაც საჩივარი წარედგინება GRC-ს განსახილველად; (iv) აუცილებლობის შემთხვევაში აცნობებს მომჩივანს ასეთი თარიღის დანიშვნის შესახებ; და (v) განაახლებს მონაცემთა ბაზაში საჩივრის სტატუსს.

GRC სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც. ნებისმიერი საჩივარი უნდა განიხილებოდეს, MDF-ის მისაღებში მისი რეგისტრაციიდან ორი თვის განმავლობაში. GRC-ის სხდომის დღის წესრიგი, ამ სხდომაზე განსახილველი საჩივრების ჩამონათვალთან ერთად, წინასწარ უნდა დადგინდეს. აღნიშნული დღის წესრიგი, თითოეული საჩივრის მოკლე შეჯამებასთან ერთად, გაეგზავნება GRC-ის თითოეულ წევრს GRC-ის განხილვის თარიღამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე.

თითოეულ საჩივარზე პასუხისმგებელმა პერსონალმა ჯერ უნდა წარმოადგინოს საჩივრის მოკლე აღწერა/შეჯამება და შემდეგ კი უპასუხოს ნებისმიერ შეკითხვას, რომელიც GRC-ის წევრებს შეიძლება გააჩნდეს. საბოლოო გადაწყვეტილებებს, თათბირისა და მსჯელობის შედეგად, კომიტეტი იღებს ხმების უმრავლესობით. საჭიროების შემთხვევაში, მომჩივანი შეიძლება მოიწვიონ სხდომაზე საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარსადგენად. მოსმენის ოქმის ასლები უნდა მიეწოდოს შესაბამის IFIs. კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს აღმასრულებელი დირექტორი მოსმენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. საბოლოო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მისი განხორციელების ვადებს. თუ MDF-ის გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებს დაზარალებულ AP-ებს, მათ შეუძლიათ განახორციელონ შემდგომი ქმედება მათი საქმის შესაბამის სასამართლოში წარდგენით. საჩივრები და პრეტენზიები განიხილება ქვემოთ აღწერილი პროცესის მეშვეობით, რომელიც მოცემულია გამოსახულება 9 და 10-ზე, რაც მოიცავს საჩივრის ფორმას. საჩივრები ასევე მიიღება ADB-ის ნებისმიერი ოფისის

მიერ, როგორცაა ადგილობრივი მისია, რეგიონული ოფისი ან წარმომადგენლობითი ოფისი, რომლებსაც ისინი გაუხსნელად გადაუგზავნიან CRO-ს.

საჩივრების მიმღები მოხელე, ანგარიშვალდებულების მექანიზმი

აზიის განვითარების ბანკის სათაო ოფისი

გამზირი 6ADB, ქალაქი მანდალუიონგი 1550, ფილიპინები ელ-

ფოსტა: [amcro@adb.org](mailto:amcro@adb.org)

გამოსახულება 1 საჩივრების განხილვის მექანიზმი

გამოსახულება 2 საჩივრის ფორმა



რეგისტრაცია  
ჯერ მისაღებში მოგვიანებით, შვიდ  
დღეში – უსაფრთხოების განყოფილების  
ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

3  
დღე

განხორციელება  
მაქს. 100 დღეში

აღიარების ცნობა  
გაგაზავნილი მომჩივანზე

15  
დღე

შეფასება  
ინფორმაციის მიღება MDF-დან; მომჩივანისგან  
დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა. სხდომის  
თარიღის დადგენა; მომჩივანის შეტყობინება

2 მისაღებში  
რეგისტრაციი

#	...
სრულ სახელი და გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია  გთხოვთ გვაცნობოთ თუ როგორ გსურთ რომ დაგიკავშირდეთ? (ფოსტა, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	საფოსტო მისამართი: ...  ტელეფონი ...  ელ-ფოსტა: ...
სასურველი საკონტაქტო ენა	ქართული ინგლისური რუსული
საჩივრის / პრეტენზიის აღწერა	რა მოხდა? რაზე გაქვთ პრეტენზია?
...	

მოლაპარაკების თარიღი:	მოლაპარაკების შემდგომი გადაწყვეტილება

რას წარმოადგენს თქვენი საჩივრის მიზეზი?
...
ხელმოწერა:  თარიღი:

## IX. გარემოს მართვისა და მონიტორინგის გეგმა

### A. გარემოს მართვის გეგმა (EMP)

331. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (EMP) ადასტურებს ანგარიშში გამოვლენილ ზემოქმედებებს, იმ ქმედებებს, რომლებიც საჭიროა ამ ზემოქმედების შესამცირებლად საქართველოს სამართლებრივი მოთხოვნებისა და ADB უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, და იმ მონიტორინგის აქტივობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს, როგორც პროექტის შემადგენელი, რათა ამით დაადასტუროს, რომ შემარბილებელი ქმედებები ეფექტური იყო მათი მიზნების მისაღწევად ან საჭიროა მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება.
332. EMP ასევე დეტალურად აღწერს ინსტიტუციურ პროცედურებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ამჟამად არსებობს, ან რომლებიც განხორციელდება პროექტის განხორციელების ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს, ის რომ გარემოსდაცვითი კვლევა (მათ შორის EMP) სრულყოფილად ითვალისწინებდეს როგორც ეროვნულ, ასევე ADB-ს მოთხოვნებს გარემოს დაცვის მიზნით, იგი ასევე ავლენს ყველა შესაძლო ზემოქმედებას გარემოზე და გვთავაზობს შესაბამის შემარბილებელი ზომებს, მას ასევე აქვს სისტემები, რომლითაც უზრუნველყოფს იმას, რომ პროექტის განმავლობაში დანერგილი იყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტური პროცედურები პროექტის ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებებითვის.
333. პროექტთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედება დეტალურად იქნა აღწერილი ზემოთ მოცემულ რედაქტირებულ IEE-ს თავ „F“-ში. IEE-ში გამოვლენილი ზემოქმედებების მართვისთვის საჭირო შემარბილებელი ღონისძიებები შეჯამებულია თითოეულ შესაბამის პუნქტში, რომელიც მოიცავს იმ ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს პროექტზე (თავი F). იდენტიფიცირებული ზემოქმედებები და მათ მოსაგვარებლად შემოთავაზებული კონკრეტული შემარბილებელი ღონისძიებები გაერთიანდა ცხრილში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შემარბილებელი გეგმის მატრიცის სახით, რომელიც მოიცავს ვადებს, პასუხისმგებლობებს და საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდო ხარჯებს თითოეული ღონისძიებისათვის.
334. გარემოსდაცვითი მართვის გეგმა განსაზღვრავს სამშენებლო კომპანიის (CC) საჭიროებას, წარმოადგინოს საკუთარი დეტალური ობიექტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMPs), რომელიც ეფუძნება მოცემულ EMP-ს, მაგრამ შევსებულია დაგეგმილი აქტივობების განრიგის აღწერილობით, EMP-ის განხორციელებასა და მონიტორინგზე

პასუხისმგებელი პირებით, აგრეთვე დადვრაზე კონტროლისა და სამშენებლო ნარჩენების მართვის მეთოდური განცხადებებით.

335. საჭირო გეგმები მოიცავს:

- (i) კონკრეტული ობიექტისთვის განკუთვნილი გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (SSEMP); (ii) მოძრაობის მართვის გეგმას;
- (iii) ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმას;
- (iv) ნარჩენების მართვის გეგმას (WMP);
- (v) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმას, სამუშაო ადგილებზე COVID-19-ის პრევენციის ჩათვლით
- (vi) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას (ERP); (vii) ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმას;
- (viii) მშენებლობის შემდგომი აუდიტის ანგარიშს.

336. სამშენებლო კომპანიას (CC) დამატებით მოეთხოვება რომ სრული განაკვეთით დაასაქმოს გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (EHS) პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება SSEMP-ის მომზადებაზე და სხვა გეგმების შემუშავებაზე, უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, SSEMP-ის და სხვა სახელშეკრულებო დებულებების იმპლემენტაციაზე, რომლებიც დაკავშირებულია EHS-თან, თემების მხრიდან საჩივრების/პრეტენზიების განხილვაზე, ნებისმიერი მაკორექტირებელი მოქმედების განხორციელებაზე, MDF (IA) და მშენებლობის ზედამხედველ კონსულტანტთან ინფორმაციის კოორდინირებაზე (CSC).

337. სამშენებლო კომპანიას (CC) ასევე მოეთხოვება ტერიტორიის სამუშაოების წინა პირობების დოკუმენტირება, საწყისი ეტაპის და/ან ადგილზე არსებული საჩივრების/პრეტენზიების მოგვარება, მას მოეთხოვება რომ წარადგინოს ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშები IA/CSC -ს, რომლებიც უზრუნველყოფენ საინჟინრო და ადმინისტრაციულ კონტროლს რომ ამით უზრუნველყონ მუშაკებისა და თემების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, მხარი დაუჭიროს IA/CSCს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისა და შრომის სტანდარტების თაობაზე ცნობიერების ამაღლებას, და დაიცვას პროექტის ზედამხედველობის კონსულტანტების ნებისმიერი რეკომენდაცია.

338. დეტალური საინჟინრო პროექტის მიხედვით, ACM-ის გენერირება მოსალოდნელი არ არის.

339. სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა მართოს ადგილობრივი საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები IFC-ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების EHS სახელმძღვანელოს შესაბამისად.

340. სამოქალაქო სამუშაოების სამშენებლო კომპანიას (CC) მოეთხოვება სამოქალაქო სამუშაოების დაწყებამდე შეიმუშაოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა. მართვის გეგმა ასევე მოიცავს შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს.
341. CC -ს მოეთხოვება სამშენებლო სამუშაოების შემდგომი დასუფთავება და სამუშაო ობიექტების სამუშაოებამდე ან უკეთეს მდგომარეობაში აღდგენა. IA-ს დამადასტურებელი შეტყობინება, რომ ყველა სამუშაო და დასუფთავება იყო დამაკმაყოფილებელი, უნდა იყოს „სამუშაოების ჩაბარების“ შემადგენელი ნაწილი და გადახდის პირობა.
342. სამუშაოების საბოლოო მიღებამდე CC-მ უნდა შეიმუშაოს მშენებლობის შემდგომი აუდიტის ანგარიში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ:
- (i) წინამდებარე პროექტის ფარგლებში შესრულებული ძირითადი სამშენებლო სამუშაოები; (ii) პროექტის ორგანიზაციისა და მართვის გუნდი;
  - (iii) გარემოსდაცვითი აუდიტი და მისი მეთოდოლოგია;
  - (iv) აუდიტორული დასკვნები;
  - (v) დასკვნა და რეკომენდაციები.

განხორციელების ღონისძიებები და პასუხისმგებლობები

343. ძირითადი ინსტიტუტები, რომლებიც ჩაერთვებიან SSEMP-ის განხორციელებასა და მონიტორინგში არის განმახორციელებელი სააგენტო (IA), სამშენებლო ზედამხედველი კონსულტანტი (CSC) სამშენებლო კომპანია (CC) და შედარებით მსუბუქად - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. IA და CSC პასუხისმგებელი არიან მშენებლობის ეტაპზე პროექტის განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფაზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააჩნია პერიოდული აუდიტის ჩატარების უფლება, მაგრამ იგი არ უნდა ჩაითვალოს მონიტორინგზე პასუხისმგებელ მხარედ, წინამდებარე განახლებული IEE და EMP-ების თანახმად.
344. MDF, როგორც IA, პასუხისმგებელია პროექტის ყოველდღიურ მართვაზე SSEMP-ის განხორციელების მონიტორინგის ჩათვლით. გარემოსდაცვითი საკითხების მართვას ახორციელებს MDF, 2014 წლის ოქტომბერში შექმნილი გარემოსდაცვითი და განსახლების განყოფილების მეშვეობით. მას შემდეგ, გარემოს დაცვისა და განსახლების ჯგუფის წევრების რაოდენობა 6-დან 11-მდე გაიზარდა და იგი ამჟამად შედგება შემდეგი პირებისგან: განყოფილების უფროსი, გარემოს დაცვის 3 სპეციალისტი, სოციალური უსაფრთხოებისა და გენდერის ერთი სპეციალისტი, ბენეფიციართან ურთიერთობის ერთი სპეციალისტი, განსახლებისა და GIS ერთი სპეციალისტი. განსახლების 2 სპეციალისტი და ADB-

ის ორი კერძო კონსულტანტი (ერთი განსახლების საკითხებზე და მეორე კომუნიკაციის საკითხებზე), რომლებიც ასევე მიიჩნევიან გარემოს დაცვისა და განსახლების განყოფილების წევრებად.

345. MDF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტების პასუხისმგებლობა არის შემდეგი:

- i. გადახედონ REA საკონტროლო სიებს და მიაკუთვნონ მათ კატეგორია ADB SPS 2009 და EARF -ს საფუძველებზე;
- ii. წარუდგინონ განახლებული IEE ADB-ს დასამტკიცებლად და ADB-ის ვებსაიტზე მის გასასაჯაროებლად;
- iii. უზრუნველყონ IEE-ების განახლება/გადახედვა დეტალური საინჟინრო პროექტის (DED) და ტექნიკური კვლევების რეკომენდაციების საფუძველზე;
- iv. უზრუნველყონ დამტკიცებული IEE-ების გამოქვეყნება IA-ს ვებსაიტებზე და საჯარო ადგილებში განთავსებული შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გასაგებობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის;
- v. უზრუნველყონ, რომ IEE/EMP-ის პროექტი ადგილობრივად გამოქვეყნებული იქნას კონსულტაციების დაწყებამდე ხელმისაწვდომ ადგილას;
- vi. უზრუნველყონ IEE-ების და EMP-ების შეტანა სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელსეკრულებებში.
- vii. უზრუნველყონ რომ ყველა საჭირო ნებართვა, თანხმობა, NOC და ა.შ მოპოვებული იყოს სამუშაოების დაწყებამდე და დებულებებსა და პირობებთან შესატყვისობა განხორციელების ფაზაში;
- viii. უზრუნველყონ გაცნობითი კურსის ორგანიზება სამშენებლო კომპანიების (CC) ტრენინგებისთვის, რომლებიც ამზადებენ მათ EMP-ის განხორციელების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის მოთხოვნების თაობაზე, რაც დაკავშირებულია შემარბილებელ ღონისძიებებთან; და სასწრაფო ზომების გატარებასთან, განხორციელების პროცესში აღმოჩენილი მოულოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ან არაეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების გამოსასწორებლად;
- ix. აღმოუჩინონ დახმარება GRM-ის მეშვეობით წამოჭრილი ნებისმიერი საჩივრის განხილვასთან მიმართებაში;
- x. მიანიშნონ/დაავალონ პროექტის კონსულტანტებს შექმნან დოკუმენტაცია და შეიმუშაონ პრაქტიკის კარგი სამშენებლო სახელმძღვანელოები, რათა დაეხმარონ სამშენებლო კომპანიას (CC) განხორციელონ IEE-სა და EMP-ის დებულებები;
- xi. მიუთითონ/დაავალონ პროექტის კონსულტანტებს, განიხილონ სამშენებლო კომპანიის (CC) განხორციელების გეგმები (მათ შორის SSEMP და მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა [CAP]), რათა უზრუნველყონ შესაბამისობა ADB SPS-სა და მოქმედ სამთავრობო წესებთან და რეგულაციებთან;

- xii. კოორდინაცია გაუწიონ ტექნიკური კვლევების ჩატარებას, როგორცაა, მაგრამ არ შემოიფარგლება HIA-ებით, აზბესტის შემცველი მასალების (ACMs) ინვენტარიზაციას, თუ აღმოჩენილია ქვეპროექტის უბნებზე, ვიბრაციის კვლევებს, ხმაურის დონის კვლევები და/ან ბიომრავალფეროვნების შეფასებას;
- xiii. განახორციელონ პერიოდული საჯარო კონსულტაციებისა და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების ჩატარება;
- xiv. განიხილონ ნებისმიერი საჩივარი დროულად GRM-ის დებულებების თანახმად, და xv. გასცენ ნებართვა სამშენებლო კომპანიის (CC) მშენებლობის შემდგომი საქმიანობისთვის, როგორც ეს მითითებულია EMP-ში.
- xvi. კოორდინაცია გაუწიონ ეროვნული და სახელმწიფო დონის სამთავრობო უწყებებს;
- xvii. კოორდინირება გაუწიონ კონსულტანტებს და სამშენებლო კომპანიას (CC) შემარბილებელი ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც მოიცავენ საზოგადოებას და ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და უზრუნველყონ გარემოსდაცვითი პრობლემებისა და წინადადებების გათვალისწინება და განხორციელება. განიხილონ პროექტის კონსულტანტებისა და სამშენებლო კომპანიის (CC) მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის ყოველთვიური ანგარიშები და მოამზადონ და წარუდგინონ SAEMR ADB-ს; და
- xviii. საჭიროების შემთხვევაში, მოამზადონ CAP და უზრუნველყონ მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება, რათა არ მოხდეს გარემოზე ზემოქმედება და ADB SPS მოთხოვნებთან და სესხის გარანტიებთან შეუსაბამობა.

346. გარემოს დაცვის სპეციალისტი CSC-ში. CSC მოიცავს გარემოსდაცვით სპეციალისტს რომელსაც ექნება შემდეგი პასუხისმგებლობები, კერძოდ მან უნდა:

- (i) მოამზადოს REA-ს საკონტროლო სიები, საბაზისო გარემოსდაცვითი კვლევები, რათა მხარი დაუჭიროს სკრინინგს და კატეგორიზაციას EARF-ის მიხედვით, IA-სთვის წარდგენის მიზნით;
- (ii) (მოამზადოს IEE-ები და ტექნიკური კვლევები შემდგომი ქვეპროექტებისთვის;
- (iii) ზედამხედველობა გაუწიოს სამშენებლო კომპანიის (CC) მიერ EMP-ების ყოველდღიურ განხორციელებას, მათ შორის მთავრობის ყველა წესთან და რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანით;
- (iv) მხარი დაუჭიროს IA-ს, სამშენებლო კომპანიის (CC) SSEMP-ის განხილვისა და შემოწმებისას, მათ შორის, და არა მხოლოდ ქვეგეგმების, EHS პერსონალის, ბიუჯეტის, სამშენებლო მეთოდოლოგიის და განხორციელების გრაფიკის;
- (v) განახორციელოს სამშენებლო კომპანიის (CC) სამუშაოების წინა და შემდგომი სამუშაოების პირობების სავლელ დონეზე შემოწმება და დამადასტურებელი ანგარიშის წარდგენა IA-სთვის;
- (vi) ჩაატაროს ინსპექტირება, სამშენებლო კომპანიის (CC) SSEMP-ის დანერგვისა და მთავრობის წესებთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;



- (vii) უზრუნველყოს რომ სამშენებლო კომპანია (CC) შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს SSEMP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში;
- (viii) ჩაატაროს გამოძიება საჩივრებზე/პრეტენზიებზე, ინციდენტებსა და შემთხვევებზე;
- (ix) დაეხმაროს IA-ს ნებისმიერი საჩივრის დროულად განხილვაში GRM-ის თანახმად
- (x) განიხილოს საწყის ეტაპზე მყოფი საჩივრები/სპრეტენზიები და მოამზადოს ანგარიში IA-სთვის;
- (xi) გააკონტროლოს მაკორექტირებელი ქმედებები, როგორც ეს მოთხოვნილია CAP-ებში, და უზრუნველყოს რომ შეუსაბამობები დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას განმეორების გარეშე;
- (xii) მოამზადოს რეკომენდაციები სამშენებლო კომპანიის (CC) განმეორებითი შეუსაბამობების შესახებ უსაფრთხოებისა და EHS მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- (xiii) წარადგინოს ყოველთვიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშები IA-ს მისამართით; (xiv) შეასრულოს დავალებები, როგორც ეს ორმხრივად შეთანხმებულია IA-სთან.

347. სამშენებლო კომპანია (CC) ვალდებულია დაიცვას IEE/EMP -ს დებულებები და ხარისხიანი სამშენებლო პრაქტიკა. ამ ვალდებულებების შესასრულებლად, სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა შექმნას გარემოსდაცვითი მართვის ჯგუფი და ჩამოაყალიბოს პროცედურები. სამშენებლო კომპანია (CC) სრულ განაკვეთზე დანიშნავს გარემოსდაცვით მენეჯერს (EM), რომელიც იქნება სამშენებლო მენეჯმენტის ჯგუფის უფროსი წევრი ობიექტზე, ხელშეკრულების ხანგრძლივობის განმავლობაში.

348. სამშენებლო კომპანიის (CC) ძირითადი მოვალეობები არის შემდეგი:

- a. უზრუნველყოს სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (SSEMP) მომზადება ზედამხედველობის კონსულტანტის მიერ და IA-ს მიერ დასამტკიცებლად
- b. SSEMP-ის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. (iii) საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების კოორდინაცია სამშენებლო კომპანიის (CC) საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ფოკუსირების გზით (პროაქტიული თემის კონსულტაციები, საჩივრების გამოძიება და საჩივრების გადაწყვეტა);
- c. ობიექტის ჩანაწერების შექმნა და წარმოება: (i) ობიექტის ყოველკვირეული ინსპექტირება SSEMP-ზე დაფუძნებული საკონტროლო სიების გამოყენებით; (ii) გარემოსდაცვითი შემთხვევების/ინციდენტები, მოგვარების აქტივობების ჩათვლით; (iii) გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემები საჭიროების შემთხვევაში გარემოს ინსტრუმენტული მონიტორინგის ჩათვლით; (iv) CSC-ის მიერ გაცემული შეუსაბამობის შეტყობინებები (v) მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმები, რომლებიც გაცემულია CSC-სთვის შეუსაბამობის შეტყობინებების

საპასუხოდ; (vi) საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა, მათ შორის საჩივრების რეესტრის წარმოება; (vii) მონიტორინგის ანგარიშები; (viii) ყოველთვიური ანგარიშგება SSEMP-ის შესაბამისობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის თაობაზე და (ix) გარემოსდაცვითი ინციდენტების/დაღვრის შესახებ დამსაქმებლის ინჟინერისთვის დროული მოხსენება, მათ შორის გარემოსდაცვითი მართვის სპეციფიკური გეგმის (SSEMP) საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული ქმედებები;

- d. შეასრულონ შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები, მათ შორის გააატარონ COVID 19 პრევენციის ზომები.
- e. განახორციელონ ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებები სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ; უზრუნველყონ, რომ საკმარისად იყოს გამოყოფილი ბიუჯეტი გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისთვის, რომ ქვეკონტრაქტორისთვის ცნობილი იყოს და იცავდეს EHS-ს მოთხოვნებს და ანგარიშგებას.

349. სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა მიიღოს ზომები, რათა მშენებლობისა და ოპერირების დროს შემცირდეს სქესობრივი ექსპლუატაცია, ძალადობა და შევიწროება (SEAH) სამშენებლო კომპანია (CC) წახალისებულია რომ ჩართოს ადგილობრივი მუშაკები შეძლებისდაგვარად.

350. ტენდერის მოგების შემდგომ, და მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო კომპანია (CC) განიხილავს EMP-ს და შეიმუშავებს დეტალურ, ობიექტისთვის განკუთვნილ, გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (SSEMP), რომელიც გაამყარებს EMP-ში დადგენილ იმ პირობებს, რომლებიც დამახასიათებელია პროექტისთვის, დავალებებისა და სამშენებლო სამუშაოების განრიგის ჩათვლით. SSEMP განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან სამშენებლო კომპანიის (CC) გუნდში სამუშაოს ზედამხედველობაზე. SSEMP მოიცავს შემარბილებელი ღონისძიებების მატრიცას, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ აქტივობებს. ცალკე დოკუმენტად - SSEMP დაემატება მეთოდურ განცხადებებს, რომლებიც შედგენილია დაღვრის კონტროლისა და სამშენებლო ნარჩენების მართვის თაობაზე. დაღვრის კონტროლის მეთოდის განცხადება მოიცავს საწვავის შენახვის, ბენზინგასამართი სადგურებისა და მანქანების სამრეცხაო ობიექტების სათანადო მდებარეობას და ორგანიზებას.

351. SEMP ასევე მოიცავს მონიტორინგის გეგმას და ანგარიშგების პროგრამას, რომელიც შეესაბამება EMP-ის მოთხოვნებს. SSEMP წარდგენილი იქნება IA-ს მიერ.

352. SSEMP-ის შექმნის გარდა, სამშენებლო კომპანია (CC) შეიმუშავებს დამატებით სპეციფიკურ EMP-ებს (მაგ., ნარჩენების მართვის გეგმა, მოძრაობის მართვის გეგმა, ნიადაგის ზედა ფენის მართვის გეგმა, ბანაკის მართვის გეგმა და ა.შ.). გარდა ამისა, საკვანძო ადგილებზე შეიძლება ასევე შეიმუშავდეს ობიექტისთვის განკუთვნილი სპეციფიკური EMP.

353. მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო კომპანია (CC) მოამზადებს მოძრაობის მართვის გეგმას. შემუშავებული გეგმა შეთანხმდება ზედამხედველ კომპანიასთან. მშენებლობის ნებართვას გასცემენ და დაამტკიცებენ სამშენებლოს ზედამხედველი კომპანია და IA.

354. სამშენებლო კომპანია (CC) პასუხისმგებელია იმაზე, რომ ყველა ქვეკონტრაქტორმა დაიცვას SSEMP-ის პირობები.

ანგარიშგება

355. გარემოსდაცვითი მონიტორინგის ნახევარწლიური ანგარიშები (EMR) უნდა წარედგინოს ADB-ს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1 თვის განმავლობაში. პროექტის პროგრესის კვარტალურ ანგარიშებს ასევე უნდა ჰქონდეს პუნქტი გარემოსდაცვითი უსაფრთხოების დაცვაზე. ნახევარწლიური EMR უნდა იყოს პატარა ანგარიში EMP/SSEMP მოთხოვნების შესაბამისობასთან მიმართებაში რომელიც წარდგენილი იქნება IA-ს მიერ, CSC-ის დახმარებით. ანგარიში მოიცავს შემდეგ პუნქტებს: (i) ნებისმიერი გარემოსდაცვითი ინციდენტის დეტალებს; (ii) აუდიტისა და ინსპექტირების დროს გამოვლენილი ყველა შეუსაბამობის სტატუსს, რომელიც გამოვლენილ იქნა შეუსაბამობის შესახებ შეტყობინებების გზით; (iii) საჩივრები საზოგადოებისგან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროაქტიული საქმიანობა; (iv) ყოველთვიური ანგარიში შემთხვევის თაობაზე; (v) ნარჩენების მოცულობა, ტიპები და გატანა (vi) ნებისმიერი დაზინმურებული ტერიტორიის დეტალები, რომლებიც იდენტიფიცირებული და რეაბილიტირებულია; (vii) ნებისმიერი არქეოლოგიური აღმოჩენის დეტალები; (viii) ნებისმიერი ეკოლოგიური საკითხის დეტალები; (ix) სხვა შესაბამისი გარემოსდაცვითი საკითხები; და (x) მაკორექტირებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა.

356. სამშენებლო კომპანია (CC) მოვალეა დაუყოვნებლივ შეატყობინოს CSC-ს, თუ რაიმე სერიოზული გარემოსდაცვითი დარღვევა დაფიქსირდა მშენებლობის დროს, მაგალითად, სენსიტიური ობიექტების გაწმენდა, ნავთობის დაღვრა შემამფოთებელ დონეზე და ა.შ.

357. სამშენებლო კომპანია (CC) CSC-ს აწვდის ყოველთვიურ ანგარიშებს, მათ შორის სამშენებლო კომპანიის (CC) საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მიმოხილვას, ისევე როგორც HSE-ის ნებისმიერ საკითხს. რაიმე სერიოზული შემთხვევის ან განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს IA-ს და ორგანოების დაუყოვნებლივ რეაგირებას, CSC დაუყოვნებლივ გაუზიარებს შესაბამის შეტყობინებას IA-ს.

358. MDF როგორც განმახორციელებელი სააგენტო, ADB-ს წარუდგენს მონიტორინგის ნახევარწლიურ ანგარიშებს, რომლებიც ასახავს პროექტის პროგრესს და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას. კვარტალური ანგარიშები მოიცავს MDF-ს სპეციალისტების მოკლე განმარტებით ბარათს.

359. ADB-ის პასუხისმგებლობები პროექტისთვის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან მიმართებაში მოიცავს: SSEMP-ის განხორციელების თაობაზე პერიოდული აუდიტის ჩატარებას და სათანადო შეფასებას, მთლიანი პროექტის მიმოხილვის მისიის შემადგენელ ნაწილად; და საჭიროების შემთხვევაში, MDF-ისათვის რჩევების მიცემას SSEMP-ის განსახორციელების კუთხით.

360. MDF-ს პერსონალის წევრი არის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი და რამდენიმე მონიტორინგის ოფიცერი. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების ყოველდღიური ხარისხის კონტროლი ევალება სამუშაოების საინჟინრო ზედამხედველს, MDF-ს უნდა ჰყავდეს შიდა, ადამიანური რესურსებზე გამოყოფილი პერსონალი, რომელიც გააკონტროლებს აღნიშნულ ტექნიკურ ზედამხედველებს და შეიმუშავებს გადაწყვეტილებებს იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებზედაც ზედამხედველმა შესაძლოა აცნობოს MDF-ს.

გარემოსდაცვითი დოკუმენტები და ჩანაწერები

361. სამშენებლო კომპანია (CC) ვალდებულია ზედამხედველობის კონსულტანტს წარუდგინოს და მასთან შეათანხმოს შემდეგი დოკუმენტები და ჩანაწერები: ◦ უზნის სპეციფიკური გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (SSEMP) ◦ მოძრაობის მართვის გეგმა ◦ ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა ◦ ნარჩენების მართვის გეგმა (WMP)

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა სამუშაო ადგილებზე, COVID-19-ის პრევენციის ჩათვლით
- გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (ERP) ◦ ბანაკის ტერიტორიის მართვის გეგმა ◦ მშენებლობის შემდგომ პერიოდში ჩატარებული აუდიტის ანგარიში.

362. გარდა ამისა, სამშენებლო კომპანიამ (CC) მშენებლობის პერიოდში უნდა აწარმოოს და გამოიყენოს შემდეგი ჩანაწერები: (i) შესასრულებელი სამუშაოების გეგმა და განრიგი; (ii) მშენებლობისთვის საჭირო მანქანებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალი; (iii) წარმოშობილ გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებული ჩანაწერები; (iv) ჩანაწერები ნარჩენების მართვის საკითხებზე; (v) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ნარჩენების განთავსებისა და ნარჩენების ტრანსპორტირების ობიექტების მარკირება წერილობით; (vi) ჩანაწერები საჭირო მასალების მიწოდებისა და მათი მოხმარების შესახებ; (vii) საჩივრების ჟურნალი; (viii) ინციდენტების რეგისტრაციის ჟურნალი; (ix) ანგარიშები გამოსწორების მიზით განხორციელებული ქმედებების შესახებ; (x) აღჭურვილობის კონტროლისა და ტექნიკური მოვლის ჟურნალები; და (xi) ანგარიშები პერსონალის მომზადების თაობაზე.

განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები

363. ნარჩენების მართვა. ყველა სახის ნარჩენების მართვა უნდა მოხდეს პროექტის კონკრეტული ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად. ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს იდენტიფიცირებულ ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირების მეშვეობით

ან ის უნდა გადაეცეს ლიცენზირებულ კომპანიებს. ნარჩენების ტრანსპორტირება, გატანა, ასევე სახიფათო ნარჩენების გადატანა ლიცენზირებულ კომპანიებში გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

- 364. მონიტორინგი. სამშენებლო კომპანია (CC) განახორციელებს ხმაურის, ვიბრაციისა და ემისიების გაზომვას. გაზომვის შედეგები გადაეცემა CSC-ს.
- 365. პროფესიული და საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება. სამშენებლო კომპანია (CC) დაიქირავებს კვალიფიციურ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც პერსონალს ჩაუტარებს უსაფრთხოების შესახებ ტრენინგს, ცალკეული სამუშაო ადგილის საჭიროებების შესაბამისად. სამუშაოების დაწყებამდე სამუშაო ადგილის პერსონალს უნდა გადასცენ მითითებული საფრთხის შემცველი ნივთიერებების (საწვავი, ზეთი, საპოხი მასალები, ბიტუმი, საღებავი და ა.შ.) დამუშავებისა და შენახვის უსაფრთხოების წესების თაობაზე.
- 366. პერსონალი. სამშენებლო კომპანია (CC) სრული განაკვეთით დანიშნავს გარემოსდაცვით მენეჯერს (EM), რომელიც იქნება სამშენებლო მენეჯმენტის ჯგუფის უფროსი წევრი ობიექტზე, კონტრაქტის ხანგრძლივობის განმავლობაში.
- 367. სამშენებლო კომპანია პასუხისმგებელია EMP-ის განხორციელების ხარჯების მათ შორის შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების (და დამატებითი აქტივობების - ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კვლევების (თუ ამას MDF და IEE მოითხოვენ) მათი ხარჯების, პროექტის ბიუჯეტში გათვალისწინებაზე. განახლებული IEE/EMP-ის დანერგვა სავალდებულოა სამშენებლო კომპანიისთვის (CC). სამშენებლო კომპანიამ (CC) უნდა იცოდეს, რომ IEE საჭიროებს განახლებას.

**ცხრილი 19 გარემოსდაცვითი მართვის ხარჯები**

საგანი	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება	შენიშვნები
დეტალური პროექტისათვის IEE-ის განახლება	-	-	-

საბაზისო პარამეტრული გაზომვები (მინიმუმ 2 პუნქტი)	\$ 100	\$ 200	ჩატარდება სამშენებლო კომპანიის (CC) მიერ ხმაური-ვიბრაციის, ჰაერის გამონახოლქვის, მტვრის მოცულობის (საჭიროების შემთხვევაში წყლის) გაზომვებისთვის
ყოველთვიური პარამეტრული გაზომვები (მინიმუმ 2 ქულა)	\$ 200	ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განამგლობაში	სამშენებლო კომპანიის (CC) მიერ ჩასატარებელი ტესტები 2 პუნქტში
გარემოსდაცვის მართვის სპეციალისტი (CSC)	\$ 2,500	ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განამგლობაში	ხარჯები შედის MDF-სა და CSC-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და დამატებითი ხარჯები არ გამოიკვეთება
გარემოსდაცვითი სპეციალისტი (სამშენებლო კომპანია (CC))	\$ 1, 500	ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განამგლობაში	ხარჯები გათვალისწინებული იქნება MDF-სა და სამშენებლო კომპანიის (CC) შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
სამშენებლო მტვრისა და ხმაურის ბარიერები (საჭიროების შემთხვევაში)	\$ 5 000	\$ 5 000	დამონტაჟდება სამშენებლო კომპანიის (CC) მიერ სამშენებლო ობიექტებზე, დროებით თუ ამას საჭიროება მოითხოვს.
COVID -ის საწინააღმდეგო ღონისძიებები (ექიმისა და ექთნის დაქირავება რეგულარული შემოწმებისთვის და გამოყოფილი საკარანტინო ზონის მოწყობა, საჭირო PPE-ის, სადეზინფექციო საშუალებების, ხელების დასაბანი	\$ 400	ყოველთვიურად მთელი მშენებლობის პერიოდის განამავლობაში (დამოკიდებული ქვეყნისა და გლობალურ ჭრილში არსებულ COVID-ის ვითარებაზე)	ტრენინგი უნდა ჩატარდეს ყველა იმ პირისთვის, რომელიც ჩართულია სამშენებლო პროცესში
საგანი	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება	შენიშვნები
საშუალებების, სახის ნიღბების შეძენა და ა.შ.)			

ცხრილი 20. გარემოს დაცვის მართვის მატრიცა მშენებლობამდე

• სამუშაოების ტიპი	• პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა	• ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები	• პასუხის მგებლობა	• ზედამხედველობა
--------------------	----------------------------------	---	--------------------	------------------

<ul style="list-style-type: none"> <li>საპროექტო ადგილის და შენობების წინასამშენებლო კვლევა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის სამშენებლო ეტაპზე უზნებზე გამოვლენილი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო სამშენებლო სამუშაოების ჩაშლა და გარემოს დაზიანება,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ყველა ახალი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, ბანაკის, სამშენებლო ეზოს) მდებარეობის კვლევა. პრიორიტეტი მიაჩნით პროექტის ადგილთან უახლოეს (ან თავისუფალ) ადგილებს; თუ სხვაგან განთავსების საჭიროება გამოიკვეთა, აირჩიეთ ისეთი ადგილები, რომლებიც არ გამოიწვევენ არასტაბილურობას და ქონების, მცენარეულობისა და სასმელი წყლის მიწოდების სისტემების განადგურებას; საცხოვრებელი ადგილები არ განიხილება. ჩატარდეს წინასამშენებლო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კონტრაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზედამხედველი კომპანია;</li> <li>MDF</li> </ul>
--	---	--	---	---



		<p>კვლევები, ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგის დაბინძურების, ჰაერის დაბინძურების კვლევების ჩათვლით</p> <ul style="list-style-type: none"> <li>განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ ადგილების შერჩევისას, რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის ობიექტის პირდაპირი განადგურება (მდინარის წყალთან ახლოს), რაც საზოგადოებას დისკომფორტს შეუქმნის.</li> </ul> <p>ფლორის და ფაუნის სახეობების დასაცავად დამატებითი ზომების გატარება საჭიროებისამებრ, ამ ზომების განსაზღვრა და SSEMP-ში შეტანა.</p>		
--	--	---	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>საჭირო გეგმების შედგენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სათანადო გეგმების არარსებობის გამო გარემოსა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (ადგგ);</li> <li>ადგილთან დაკავშირებული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა</li> <li>საგზაო მოძრაობის მართვის გეგმა;</li> <li>ხმაურისა და ვიბრაციის მართვის გეგმა;</li> <li>ნარჩენების მართვის გეგმა;</li> <li>საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;</li> <li>ბანაკის ადგილის მართვის გეგმა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კონტრაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზედამხედველი კომპანია;</li> <li>MDF</li> </ul>
---	---	---	---	---

<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა საჭირო ნებართვის, ლიცენზიისა და დასტურის მიღება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს დაზიანება ბუნებრივი რესურსების არასანქცირებული გამოყენების, ნარჩენების განადგურების, დაბინძურების გამო</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინერტული მასალის მოპოვების ლიცენზიები</li> <li>• შეთანხმება სამშენებლო ნარჩენების უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსების შესახებ</li> <li>• სახიფათო ნარჩენების განკარგვის შეთანხმება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტრაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზედამხედველი კომპანია;</li> <li>• MDF</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დაცვის პერსონალის დანიშვნა და საჭირო ტრენინგების ჩატარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუსაბამო გარემოს დაცვის, სოციალური საკითხების და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნებთან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების (EHS) ოფიცერი</li> <li>• აყვანა; ტრენინგების ჩატარება განახლებული IEE-ს</li> <li>• თანახმად სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის თავიდან ასაცილებელი ზომების გატარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტრაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზედამხედველი კომპანია;</li> <li>• MDF</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამშენებლო სამუშაოების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შესაძლო კონფლიქტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის შესახებ საინფორმაციო ბანერის მოწყობა და საკონტაქტო პირების მითითება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კონტრაქტორი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზედამხედველი კომპანია;</li> <li>MDF</li> </ul>
--	--	---	---	---

<p>დაწყების შესახებ შეტყობინება</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციის გავრცელება მომავალი სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ. (ბანერები აფთიაქებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ბაზრებში და სამშენებლო მოედნებზე)</li> </ul>		
-------------------------------------	--	---	--	--

<p>ტენდერის მონაწილეების გარემოსდაცვითი შესაძლებლობის არასათანადოდ შეფასება</p>	<p>გარემოსდაცვითი , სოციალური და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დებულებებთან შეუსატყვისობა</p>	<p>სატენდერო წინადადებების შეფასება ტენდერის მონაწილის მიერ EMP-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობის და ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილების გათვალისწინებით უნდა მოხდეს</p>	<p>MDF</p>	
<p>სხვადასხვა პოტენციური გარემოსდაცვითი ზემოქმედებების წარმოქმნა პროექტში,</p>	<p>გარემოსდაცვითი , სოციალური და ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დებულებებთან შეუსატყვისობა</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ პროექტის დიზაინში ცვლილებები იქნება შეტანილი, შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს IEE-ც</p>	<p>MDF</p>	
<p>გეგმარებაში შეტანილი ცვლილებების გამო</p>				

მშენებლობის ფაზა

<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაოების ტიპი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზეგავლენის შესამცირებელი ღონისძიებები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პასუხისმგებელი პირი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზედამხედველობა</li> </ul>
--	--	---	---	--

<p>მშენებლობის შემდგომი საქმიანობები</p>	<p>პროექტის ტერიტორია</p>	<p>ათხრილი ტერიტორია აღდგენილი უნდა იქნას სამუშაოების წინა ან უკეთეს მდგომარეობაში სახეზე არ არის შეუსაბამოების აღმოსაფხვრელი ზომების განუხორციელებლობა შემუშავებულია მშენებლობის შემდგომი აუდიტის ანგარიში</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ</p>	<p>კონტრაქტორი EHS სპეციალისტი ზედამხედველობის კონსულტანტი</p>
<p>• • რა? (პარამეტრი ექვემდებარება მონიტორინგს)</p>	<p>• სად? • (ექვემდებარება პარამეტრი მონიტორინგს)</p>	<p>• როგორ? • (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი)</p>	<p>• როდის? • (მონიტორინგის სიხშირე და ხანგრძლივობა )</p>	<p>• ვინ? • (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი)</p>

<p>ექსპლუატაცია</p>		<p>ხმაურის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესატყვისობა დასახლებულ პუნქტებში;  რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რეგულარული წმენდა;  წყლის არხების და მილების რეგულარული წმენდა;  ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის პერმანენტული კონტროლი და მყისიერი რეაგირება (რეაბილიტაცია) დაზიანების შემთხვევაში;  მისასვლელი გზის აღჭურვა სათანადო საგზაო ნიშნებით.</p>	<p>ექსპლუატაციის დროს</p>	<p>თელავის მერია</p>
---------------------	--	--	---------------------------	----------------------

## X. დასკვნები და რეკომენდაციები

### A. დასკვნები

373. ჩატარებული IEE შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:
374. შემოთავაზებული პროექტი შეფასდა საქართველოს კანონმდებლობისა და ADB- ის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. დოკუმენტის მომზადების ეტაპზე გამოიკვეთა გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და შემუშავდა შესაბამისი შემამსუბუქებელი ღონისძიებები.
375. მსოფლიოში ვირუსის გავრცელებისა (COVID 19) და სოციალური დისტანციის დაწესებიდან გამომდინარე, IEE- ს მომზადების ეტაპზე ადგილზე ვიზიტები ვერ განხორციელდა. ამრიგად, IEE მიზნის მისაღწევად, გუნდმა ჩაატარა ონლაინ კონსულტაციები თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად და ანალიტიკური კვლევა ჩაატარა. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს პროექტის ადგილი, გადაიღეს არსებული ვითარების ამსახველი სურათები, რომლებიც მოცემულ იქნა დამატებითი ინფორმაციის სახით. კერძოდ, კონსულტანტთა ჯგუფმა განიხილა პროექტის ძირითადი დოკუმენტები, გაანალიზა შესაბამისი სამართლებრივი კანონები და ტექნიკური სტანდარტები; ჩაატარა ონლაინ შეხვედრები იმ ადამიანებთან, მიღებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას ფლობდნენ, რომელიც საჭიროა სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზისთვის და დოკუმენტის შემუშავებისთვის.
376. სამშენებლო სამუშაოების დროს ადგილობრივი მოსახლეობა დროებით დისკომფორტს დაექვემდებარება, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებთან და სამშენებლო მასალების და აღჭურვილობის ტრანსპორტირებასთან. სხვა შემთხვევებში, სოციალურ გარემოზე გავლენა პოზიტიური იქნება, რადგან მოსალოდნელია ადგილობრივი მოსახლეობის დროებითი დასაქმება;
377. საბავშვო ბაღის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელი არ არის უარყოფითი გავლენა ფიზიკურ გარემოსა და ბიოლოგიურ სისტემებზე;
378. საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისას სოციალურ სისტემაზე დადებითი გავლენას მოახდენს. პროექტი გრძელვადიან დადებით გავლენას მოახდენს კურდღელაურის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და მშობლებზე, რომლებიც საბავშვო ბაღის სიახლოვეს ცხოვრობენ, რადგან ისინი ისარგებლებენ მაღალი ხარისხის მომსახურებით.
379. კონტრაქტორი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიის მფლობელ კომპანიებთან. თუ კომპანია გადაწყვეტს ინერტული მასალების მოპოვებას თავად და გახსნის კარიერს, იგი ვალდებულია ლიცენზია მიიღოს წიაღის ეროვნული სააგენტოსგან.
380. ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. იგი მოცემული იქნება SSEMP-ში.
381. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია ინერტული ნარჩენების გარკვეული რაოდენობის წარმოება მიწის სამუშაოებისა და მშენებლობის დროს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინერტული ნარჩენების გამოყენება შეიძლება



ამოსავსებად ან სამშენებლო მიზნებისთვის, სახელმწიფო ან მუნიციპალურ ორგანოებთან შეთანხმებით.

#### B. რეკომენდაციები

382. EMP, მასში მოცემული შემსუბუქების და მონიტორინგის პროგრამები, სატენდერო დოკუმენტაციაში შევა პროექტის ყველა კომპონენტისთვის. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, კონტრაქტორი პასუხისმგებელია EMP-ის მოთხოვნების შესრულებაზე საკუთარი შემუშავებული SSEMP-ს მეშვეობით, რომელშიც EMP-ის ყველა პირობა შევა და დაემატება ობიექტის სპეციფიურ ელემენტები, რომელიც ამჟამად უცნობია, მაგალითად როგორცაა სამშენებლო კომპანიის კარიერის ადგილმდებარეობა; ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა პოტენციურ პრეტენდენტს ეცოდინება პროექტის გარემოსდაცვითი მოთხოვნები და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ხარჯები.
383. EMP და მისი ყველა მოთხოვნა დაემატება კონტრაქტორის ხელშეკრულებას. ამგვარად, ხელშეკრულების შესაბამისად, EMP-ის განხორციელება კანონიერი მოთხოვნის სახეს მიიღებს. შემდეგ, კონტრაქტორი მოამზადებს SSEMP-ს, რომელსაც დაამტკიცებს და მონიტორინგს გაუწევს ინჟინერი. თუ ინჟინერმა შენიშნა SSEMP (და EMP) - სთან შეუსაბამობა, კონტრაქტორს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობას EMP-ის ხელშეკრულებითი ვალდებულებების დარღვევის გამო. SSEMP-სთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კონტრაქტორმა უნდა დაიქირაოს გარემოსდაცვითი მენეჯერი, რომელიც პროექტის მონიტორინგსა და ანგარიშგებას განახორციელებს მშენებლობის პერიოდში.
384. მოხდება-IEE-ის განახლება/კორექტირება კონკრეტული ობიექტის პირობების, მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტების, მარეგულირებელი ორგანიზაციების ნებართვების პირობების, შესაბამისად. მშენებელი კონტრაქტორის მშენებლობის მეთოდოლოგიის, და/ან გაუთვალისწინებელი ზემოქმედების შემთხვევაში, მასშტაბის, კონფიგურაციის ან ადგილმდებარეობის ცვლილების მიხედვით.
385. კონტრაქტორის მენეჯმენტი ჩაატარებს პერიოდულ ტრენინგებს და ტესტირებას პროექტის განხორციელების საქმიანობაში ჩართული პერსონალისთვის, გარემოს დაცვისა და სამუშაოების უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით.
386. პერსონალის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მკაცრი კონტროლი განხორციელდება.
387. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი ჩაატარებს ხმაურისა და ვიბრაციის, ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურების კვლევას არსებული საწყისი მდგომარეობის დასადგენად;
388. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს შემდეგი გარემოსდაცვითი გეგმები: (i) კონკრეტული სამშენებლო ობიექტის გარემოს დაცვის გეგმა. (ii) ხმაურის და ვიბრაციის მართვის გეგმა; (iii) მოძრაობის მართვის გეგმა (iv) ნარჩენების მართვის გეგმა; (iv) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა, (v) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; (vi) ბანაკის ადგილის მართვის გეგმა.
389. კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს შემარბილებელი ზომები ხმაურისა და ჰაერში მოხვედრილი გამონაბოლქვის მგრძობიარე რეცეპტორებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით.

390. პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე აუცილებელია ხმაურის დონისა და ჰაერის ხარისხის პერიოდული კონტროლი. თუ ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების დონე იზრდება დასაშვებ სტანდარტებთან მიმართებაში, საჭირო იქნება დამატებითი შემამსუბუქებელი ზომების შემუშავება და განხორციელება.



დანართი 1. ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები<sup>1</sup>

ცხრილი 22: ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება - ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
• <u>ხმაურის გავრცელება</u>	<ul style="list-style-type: none"> <li>დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე აღემატება 55 dbA დღისით და 45 dbA ღამით, ან აღემატება 50 dbA დღისით და 40dbA ღამით, მგრძობიარე ობიექტების შემთხვევაში. ჭარბი ხმაურის დონე ინტენსიურია. მოსახლეობა უკმაყოფილოა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დასახლებული პუნქტის საზღვარზე ხმაურის დონე აღემატება 55 dbA დღისით და 45 dbA ღამით; თუმცა, ზეგავლენა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში იქნება ან დროებით ხასიათს ატარებს. დასაშვებია ხმაურის დონე მგრძობიარე ობიექტებზე; თუმცა, რეკომენდებულია დამატებითი პროფილაქტიკური ზომები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხმაურის ფონური დონე ცოტათი გაუარესდა დასახლებული ადგილების ან მგრძობიარე ობიექტების მახლობლად. ნებისმიერ შემთხვევაში, დასაშვებზე მაღალი დონეები არ არის მოსალოდნელი. საკმარისია სტანდარტული შემარბილებელი ზომების მიღება.</li> </ul>

<sup>1</sup> დანართ 1-ში მოცემულ ცხრილებში გარემოსდაცვითი შეფასების კრიტერიუმებია წარმოდგენილი, რაც შეფასების მეთოდოლოგიის ნაწილს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პოტენციური ზემოქმედებები და რისკები ფასდება.

<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიბრაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მძიმე ტექნიკისა და სხვა მეთოდების გამო, ვიბრაცია ვრცელდება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიბრაცია შორ მანძილზე არ ვრცელდება ან მისი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიბრაცია მხოლოდ სამუშაოების ზონაში ვრცელდება.</li> </ul>
--	--	--	---

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
	<p>დიდ მანძილებზე. არსებობს შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან განადგურების ალბათობა ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევა.</p>	<p>ზეგავლენა ხანმოკლეა. შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევის ალბათობა ძალიან მცირეა. მოსალოდნელი პერიოდული ხასიათის მცირე დისკომფორტი.</p>	<p>შენობების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანება ან გეოლოგიური სტაბილურობის დარღვევა არ არის მოსალოდნელი. დამატებით შემარბილებელი ზომების საჭიროება არ იკვეთება.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო ადგილის მდგომარეობა (ხმაური და ვიბრაცია)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მუშაობა შეუძლებელია. ნაკლებად ეფექტურია ყურსაცობების ან სხვა დამცავი აღჭურვილობის გამოყენება. აუცილებელია მომსახურე პერსონალის ხშირი ცვლა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხმაური და ვიბრაცია სამუშაო არეალში შემაწუხებელია, მაგრამ მუშაობა შესაძლებელია შესაბამისი დამცავი აღჭურვილობის გამოყენების ან სხვა ზომების მიღების შემთხვევაში (მაგ. სამუშაო საათების შემცირება და სხვა).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამუშაო არეში ხმაური და ვიბრაციის დონე დაბალია. არ არსებობს პირადი დამცავი აღჭურვილობის საჭიროება ან მისი გამოყენება მხოლოდ მცირე პერიოდით არის შესაძლებელი. დაშვებულია 8 საათიანი სამუშაო დღე.</li> </ul>
--	--	--	---

ცხრილი 22: წყალზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების

<ul style="list-style-type: none"> <li>ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ზედაპირული წყლების დინების შეცვლილი კლუფიციენტი</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის ზემოქმედების შედეგად მდინარის ბუნებრივი დინების მაჩვენებელი მკვეთრად შეიცვალა (ან მთელი წლისათვის, ან დროებით); ძნელია წყლის ეკოსისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნება. სხვა წყალმომხმარებელ ერთეულს წყალთან შეზღუდული წვდომა აქვს. ან წყლის ნაკადის მომატების გამო საშიში ჰიდროლოგიური მოვლენების განვითარების რისკი გაიზარდა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის ზემოქმედების შედეგად, მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე შემცირდა 70% - მდე (ან მთელი წლისთვის, ან დროებით); ამასთან, წყლის ეკოსისტემა ძირითადად შენარჩუნებულია. სხვა წყალ მომხმარებელ ერთეულს წყალთან წვდომა უცვლელად აქვს. ან პროექტის ზეგავლენის გამო მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე 110% -ით გაიზარდა. საშიში - ჰიდროლოგიური მოვლენების განვითარების რისკების აღმოფხვრა შესაძლებელია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის ზემოქმედების შედეგად, მდინარის ბუნებრივი ნაკადის სიჩქარე შემცირდა 70% -მდე (ან მთელი წლისთვის, ან დროებით). სხვა წყალ მომხმარებელ ერთეულს წყალთან წვდომა უცვლელად აქვს ან ერთეული სხვა მიზნებისთვის არ გამოიყენება. პროექტის ზეგავლენის გამო მდინარის დინების სიჩქარე არ იმატებს.</li> </ul>
--	---	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>

		შესაბამისი დამცავი ზომების გამოყენებით.	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ზედაპირული წყლის ხარისხის გაუარესება, ჩამდინარე წყლების წარმოშობა</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სათევზაო ან სასმელსამრეწველო წყლის ობიექტები განიცდიან ზეგავლენას. ან მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ოდენობის ჩამდინარე წყლები, სახეზეა დაბინძურებული წყლის ჭარბი ოდენობით გაშვება ან საგანგებო ვითარების ალბათობა მაღალია. წყალსატევის ახლო მდებარეობის გამო არსებობს მასში მყარი ნარჩენებისა და თხევადი მასების შეღწევის ალბათობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამრეწველო-სამეურნეო წყალი განიცდის ზეგავლენას. წარმოიქმნება ჩამდინარე წყალი, თუმცა, შესაბამისი პრევენციული ზომების ხარჯზე (ეფექტური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ა. შ.) შესაძლებელია ზედაპირული წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება. არსებული ხარისხი შეიძლება მცირედით შეიცვალოს, რაც წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მცირე გავლენას მოახდენს ან საგანგებო ვითარების ალბათობა არ არის მაღალი. ასეთ შემთხვევაში, მანძილი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყლის ობიექტთან სიახლოვეში ზედაპირული წყლები არ არის. ამიტომ, ირიბი ზეგავლენის ალბათობა არ არის მაღალი. არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლის წარმოშობა, ან მცირე რაოდენობით თხევადი ნაშთების მართვა შესაძლებელია წყლის გარემოსთვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენებით (მაგალითად, აორთქლებადი ტბორით, თხევადი ნაშთების გადამუშავებით და ა. შ.).</li> </ul>



• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
		იმდენად დიდია, რომ დაბინძურებული ნივთიერებების წყალში ჩადინების რისკები მინიმალურია.	

<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწისქვეშა წყლების დაბინძურება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობა გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც მიწისქვეშა წყლების ჭარბი დაბინძურების რისკის ქმნიან (მაგ., დაბინძურებული ნივთიერებების შემცველი მასალების დამარხვა და ა.შ.); შემარბილებელი ღონისძიებები ნაკლებად ეფექტურია, ან საგანგებო სიტუაციების ალბათობას ზრდის დიდი რაოდენობით ნავთობპროდუქტების ან სხვა დამაბინძურებელი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობა გულისხმობს მეთოდებს, რომლებიც მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკებს ქმნიან; ამასთან, შემარბილებელი ზომების გამოყენება ეფექტურია და მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს, ან</li> <li>• არსებობს საგანგებო შემთხვევების ალბათობა, და ამასთან, ტარდება შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწისქვეშა წყლის დაბინძურების რისკები დაკავშირებულია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან (ნავთობპროდუქტების მცირე გაჟონვა ტექნიკიდან ან მოწყობილობიდან და სხვა.). დიდი ოდენობით თხევადი დამაბინძურებელი ნივთიერებები არ ინახება, რაც ინციდენტების შემთხვევაში საფრთხეს შექმნიდა.</li> </ul>
--	---	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
	<p>ნივთიერებების მიწის ფენებში შეღწევა.</p>		

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ზემოქმედება</u> <u>მიწისქვეშა</u> <u>წყლების</u> <u>ნაკადის</u> <u>სიჩქარეზე,</u> <u>ნიადაგების</u> <u>ინფილტრაციის</u> <u>შეცვლილი</u> <u>თვისებები</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ღონისძიება ითვალისწინებს ღრმა საინჟინრო საშუალებების მოწყობას, რომლითაც შესაძლებელია მიწისქვეშა წყალშემცველი ინფრასტრუქტურის გადაკვეთა. შედეგად, მიწისქვეშა წყლების გადინება შეიძლება შემცირდეს, ან აქტივობა ითვალისწინებს მსხვილი მიწის ფართობების გამოყენებას / ტყეების მოჭრას, . რაც გააუარესებს ნიადაგის ინფილტრაციის თვისებებს. ამან შეიძლება შეამციროს მიწისქვეშა წყლის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საქმიანობა არ ითვალისწინებს ღრმა საინჟინრო ობიექტების მოწყობას და გარდა ამისა, ტერიტორიაზე წყალშემცველი ჰორიზონტები არ ვრცელდება. ამის მიუხედავად, მიწის ფართობების დამუშავებამ ან მშენებლობის ექსპლუატაციის მეთოდებმა შეიძლება გარკვეული გავლენა იქონიოს ნაკლებად ღირებული წყაროების გადინებაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის არეალის სიმცირის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების და არსებული ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მიწისქვეშა წყლების ნაკადის სიჩქარეზე ზემოქმედება მცირე იქნება. სასმელ და სამრეწველო წყალზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>

	ატმოსფერული ნალექებით კვება.		
--	---------------------------------	--	--

ცხრილი 23: ნიადაგზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
• <u>ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დაზიანება და ეროზია</u>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე მეტი ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც მაღალია, ან მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის პროცესების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე ნაკლები ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც მაღალია ან მართვის არეალი 12,5 ჰა-ზე მეტია, მაგრამ ეს არ არის სასოფლო-სამეურნეო მიწები ან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტი ითვალისწინებს 12,5 ჰექტარზე ნაკლები არა სასოფლო-სამეურნეო მიწების ან სხვა მიწის ნაკვეთების გამოყენებას, რომელთა ნაყოფიერებაც ნაკლებ ღირებულია. ნაყოფიერი ნიადაგის ფენასთან სწორ მოპყრობის პირობებში გავლენა მინიმალურია. გამოყენებული პერიმეტრის</li> </ul>

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
	გააქტიურებს მნიშვნელოვან ტერიტორიებზე.	სხვაგვარად ღირებული, მიწები ან მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიის პროცესის გააქტიურებას ზოგიერთ რაიონში, მაგრამ მათი თავიდან აცილება შესაძლებელია შესაბამისი შერბილების ზომებით.	ფარგლებს გარე ეროზია მოსალოდნელი არ არის.

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ნიადაგის/მიწის დაბინძურება</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდების გამო, ნებისმიერი ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაყოფიერი ფენის დაბინძურების რისკი (აჭარბებს MAC-ს) საკმაოდ მაღალი ან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გამოყენებული მეთოდების გამო, არსებობს მიწის ნაკლებად ღირებული ზედაპირული ფენის დაბინძურების რისკი (აჭარბებს MAC-ს) ან</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსალოდნელია მხოლოდ ნიადაგის / მიწის მცირე ადგილობრივი დაბინძურება, ძირითადად გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. შესაძლებელია დაბინძურებული ნიადაგის</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
	<p>პრაქტიკულად გარდაუვალია. ან საკმაოდ მაღალია ისეთი საგანგებო სიტუაციების განვითარების ალბათობა, რომლების შედეგადაც 100 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის ან 0,3 მ-ზე მეტი სიღრმის ნიადაგისა და მიწის დაბინძურება მოხდება.</p>	<p>საკმაოდ მაღალია ისეთი საგანგებო სიტუაციების განვითარების ალბათობა, რომლების შედეგადაც 100 მ<sup>2</sup>-ზე ნაკლები ფართობის ან 0,3 მ-ზე ნაკლები სიღრმის ნიადაგისა და მიწის დაბინძურება მოხდება.</p>	<p>ადგილობრივი გაწმენდის ტექნოლოგიის გამოყენება.</p>

ცხრილი 25: გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>პროექტის ზემოქმედების შედეგად გეოლოგიური გარემოს სტაბილურობის დარღვევა, სახიფათო</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია (საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით) III დონის სირთულის რელიეფზე. მიწის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია (საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით) II დონის სირთულის რელიეფზე. მიწის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია ხელსაყრელ რელიეფზე. დამცავი კონსტრუქციების აგება მნიშვნელოვან რესურსებს არ</li> </ul>
• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა

<p><u>პროცესების გააქტიურება</u></p>	<p>სამუშაოების დროს არსებობს ისეთი სახიფათო გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ალბათობა, როგორცაა მეწყერი, კლდის ვარდნა, ღვარცოფი და ა. შ. ან ობიექტის ექსპლუატაციის ფაზაში არსებობს იგივე პროცესების გააქტიურების რისკები (ასეთ ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ჰიდროტექნიკური ნაგებობები, მიწისქვეშა გადასასვლელი და ა.შ.). აუცილებელია კომპლექსური ნაგებობების დამცავი ობიექტების აშენება ან</p>	<p>სამუშაოების დროს ან ექსპლუატაციის ეტაპზე საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების ალბათობა. ამასთან, მარტივი კონსტრუქციის მქონე ობიექტების დამცავი ზომების გათვალისწინებით, მათი თავიდან აცილება შესაძლებელია.</p>	<p>მოითხოვს. შესაძლებელია განვითარდეს მხოლოდ ადგილობრივი მცირე ეროზიული პროცესები.</p>
--	--	---	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>
---	--



	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
	<p>პროექტში შესწორებების შეტანა.</p>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>არსებული საინჟინროგეოლოგიური პირობების გავლენა საპროექტო ობიექტებზე</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწის საინჟინროგეოლოგიური თვისებები ნიადაგის საინჟინროგეოლოგიური თვისებები არ არის ხელსაყრელი; კლდეზე ობიექტების აგება ღრმა საძირკვლებს საჭიროებს, ან ობიექტის სტაბილურობას საშიში გეოდინამიკური პროცესები ემუქრება. აუცილებელია კომპლექსური ნაგებობებისთვის დამცავი ობიექტების აშენება ან პროექტში შესწორებების შეტანა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიწის საინჟინროგეოლოგიური თვისებები ობიექტის აგების საშუალებას იძლევა, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. გარემოს (მიწისქვეშა და მიწისქვეშა წყლების) აგრესიულობის ხარისხი რკინაბეტონის მიმართ დამაკმაყოფილებელია, ან სახიფათო გეო-დინამიური პროცესები გარკვეულ საფრთხეს უქმნის ობიექტის სტაბილურობას; ამასთან, რისკი შეიძლება აღმოიფხვრას მარტივი კონსტრუქციის მქონე დამცავი ზომების გამოყენებით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ობიექტი არ წარმოადგენს რთულ სტრუქტურას. ტერიტორიის შემადგენელი მიწების საინჟინროგეოლოგიური თვისებები დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, არ არის საჭირო არც ღრმა საფუძველი და არც მნიშვნელოვანი ზომები საინჟინრო ნაგებობების დასაცავად.</li> </ul>



ცხრილი 26: ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
<p>• <u>მცენარეული საფარის ზოგადი და რაოდენობრივი ცვლილებები</u></p>	<p>• პროექტის განხორციელება გამოიწვევს ენდემური ან წითელ ნუსხაში მყოფი სახეობების განადგურებას ან პროექტის განხორციელება გამოიწვევს 1 ჰექტარზე მეტი ტყის მასივის გამოყენებას ან არსებობს ინვაზიური ჯიშების გავრცელების რისკი</p>	<p>• პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები მინიმალურია ან პროექტის განხორციელება გამოიწვევს 1 ჰექტარზე ნაკლები ტყის მასივის გამოყენებას</p>	<p>• პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები არ არსებობს. მოსალოდნელია მხოლოდ ერთგვაროვანი დაბალი ღირებულების მცენარეული საფარის განადგურება. ინვაზიური ჯიშების გავრცელების რისკი არ არსებობს.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველთა საბინადრო გარემოს გაუარესება, დაკარგვა ან დანაწევრება ენდემური ჯიშის ან წითელ წიგნში შეტანილი ცხოველი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება გამოიწვევს ენდემური და წითელ ნუსხაში მყოფი ცხოველების სახეობების საბინადრო ტერიტორიის განადგურებას,</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელების შემდეგ, ენდემურ ან წითელ ნუსხაში მყოფ სახეობებზე პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების რისკები ნაკლებ სავარაუდოა. ისეთი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის ტერიტორია ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არის და არ წარმოადგენს ცხოველთა სახეობების თავშესაფარს. მაღალი</li> </ul>
--	--	---	---

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>



	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
	შორის, ენდემური ან წითელ ნუსხაში მყოფი სახეობები), ან გაიზარდა ბრაკონიერობის ალბათობა.	(ნაკლებ ფასეული სახეობები),	შესაძლებლობა მინიმალურია.
• <u>დაცულ ტერიტორიებზე პირდაპირი და ირიბი ზეგავლენა</u>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირე მანძილისა და შენობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე გამოყენებული მეთოდების შედეგად, არსებობს გრძელვადიანი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების რისკები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო დაცულ ტერიტორიაზე ირიბი ზემოქმედების საფრთხე არსებობს, მაგრამ ზეგავლენა ხანგრძლივი არ არის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დიდი მანძილის გამო, დაცულ ტერიტორიაზე ზეგავლენა ნაკლებ სავარაუდოა.</li> </ul>

ცხრილი 27: ვიზუალურ ლანდშაფტზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ზეგავლენა ლანდშაფტზე</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია იშვიათი და მაღალი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია რეგიონულ და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის განხორციელება დაგეგმილია დაბალი ფასეულობის მქონე</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
	<p>ფასეულობის ლანდშაფტებზე ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები ხელშეუხებელია და ბუნებრიობის მაღალი დონით ხასიათდებიან.</p>	<p>ადგილობრივ ლანდშაფტებზე ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები, ადამიანის ზეგავლენით გარკვეულ წილად შეცვლილია. მათი ბუნებრიობის დონე საშუალოა.</p>	<p>ლანდშაფტზე, რომელიც შეიძლება ჩანაცვლდეს. ან ლანდშაფტი და მისი კომპონენტები, ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის გამო, საკმაოდ დაზიანებულია.</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ვიზუალური ცვლილებები</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის არეალი სხვადასხვა ადგილიდან კარგად ჩანს. ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივი მკვიდრებისა და ტურისტებისთვის შესამჩნევ ვიზუალურ ცვლილებას გამოიწვევს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის არეალი ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომელთაც ტურისტული ფასეულობა არ გააჩნია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის არეალი თითქმის უხილავია. მშენებლობა და ექსპლუატაცია ადგილობრივი მკვიდრებისა და ტურისტებისთვის მინიმალურად შესამჩნევ ცვლილებებს გამოიწვევს..</li> </ul>
---	--	---	--

ცხრილი 28: სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>დადებით გავლენა</u></li> </ul>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაზრდილი ცენტრალურ საბიუჯეტო შემოსავლები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაზრდილი ცენტრალურ საბიუჯეტო შემოსავლები</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებელია სამუშაო ძალის 70%-ით ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტება ან შესაძლებელია სამუშაო ძალის 40%-ით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო მხარის მოსახლეობისგან დაკომპლექტება ან შესაძლებელია სამუშაო ძალის 20%-ით ადგილობრივი მაღალ მთიანი რეგიონის მოსახლეობისგან დაკომპლექტება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაძლებელია 30-დან 100-მდე ადამიანის დასაქმება. ან შესაძლებელია 10-დან 30-მდე ადამიანის დასაქმება ადგილობრივი სოფლებიდან. ან სასოფლო-სამეურნეო მაღალმთიანი სტატუსის მხარის მაცხოვრებელთა დასაქმების შესაძლებლობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 10 ადამიანის დასაქმების შესაძლებლობა.</li> </ul>
---	---	--	---

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტრანსპორტის ინტენსივობის შემცირების დიდი ალბათობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგ სოფელში ან მაღალმთიან სოფლებში გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მარტივი ტრანსპორტირება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სოფლის გზებისა და ტრანსპორტის გამარტივებული რეაბილიტაცია</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>სხვა სახის სოციალურეკონომიკური სარგებელი</u></li> </ul>	<p>ქვეყნისთვის, რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე ან რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული პირობები.</li> <li>• წყალმომარაგებისა და წყლის დრენაჟის გაუმჯობესებული პირობები.</li> <li>• ელექტრო და ბუნებრივი აირით მომარაგების</li> </ul>	<p>რამდენიმე სოფლისათვის ან მაღალმთიანი სოფლისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული პირობები.</li> <li>• წყალმომარაგებისა და წყლის დრენაჟის გაუმჯობესებული პირობები.</li> <li>• ელექტრო და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესებული პირობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა სახის სოციალურეკონომიკური სარგებელს მხოლოდ რამდენიმე ოჯახი (ნაკვეთი) მიიღებს.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>
---	--

	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
	<ul style="list-style-type: none"> <li>გაუმჯობესებული პირობები.</li> <li>სხვა სახის რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვა სახის რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება.</li> </ul>	
• უარყოფითი ზეგავლენა			
<p><u>კერძო</u></p> <ul style="list-style-type: none"> <li><u>განსახლება, საკუთრების გამოყენების საჭიროება</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური განსახლების ერთი ან რამდენიმე შემთხვევა. ან ეკონომიკური განსახლების 10-ზე მეტი შემთხვევა. ან მაღალ მთაში ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური განსახლების შემთხვევა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ეკონომიკური განსახლების 10-მდე შემთხვევა. კომპენსაციების გაცემის შემთხვევაში მოსახლეობის უკმაყოფილება არ არის მოსალოდნელი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლება არ არის მოსალოდნელი. შესაძლოა ს აჭირო გახდეს კერძო საკუთრებაში მიწის არსებული ნაკვეთების დროებითი გამოყენება, რისთვისა დაგეგმილია შესაბამისი საკომპენსაციო ზომები.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><u>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუარესება</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონული გზების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ზოგ სოფელში ან მაღალმთიან სოფლებში გზების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივი გზები არ გაუარესდება, სატრანსპორტო</li> </ul>

• ზეგავლენის სახე	• შეფასების კრიტერიუმები		
	• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა	• საშუალო ზეგავლენა	• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა
	<p>ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება,</p> <p>ტრანსპორტის ინტენსივობის მნიშვნელოვანი ზრდა.</p>	<p>ტექნიკური პირობები გაუარესება. ან საავტომობილო მოძრაობის მნიშვნელოვანი ზრდა; აღნიშნული გავლენა დროებითია.</p>	<p>მოძრაობის ინტენსივობის მნიშვნელოვანი მატება არ არის მოსალოდნელი</p>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>სხვა სახის უარყოფით სოციალურეკონომიკური ზეგავლენა</u></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნისთვის, რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე ან რამდენიმე მაღალმთიანი სოფლისთვის:</li> <li>• ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.</li> <li>• გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა</li> <li>• სხვა რესურსებზე შეზღუდული წვდომა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენიმე სოფლისთვის ან მაღალმთიანი სოფლებისთვის:</li> <li>• ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.</li> <li>• გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა სხვა რესურსებზე შეზღუდული წვდომა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენიმე ოჯახისთვის</li> <li>• ნარჩენების მართვის პირობების გაუარესება და ნაგავსაყრელების გადატვირთვა.</li> <li>• გაუარესებული წყალმომარაგება და წყლის სადრენაჟო სისტემა ან შესაბამისი სისტემების გადატვირთულობა</li> <li>• სხვა რესურსებზე შეზღუდული წვდომა.</li> </ul> <p>პრობლემა შეიძლება გადაწყდეს ალტერნატიული გზების მოძებნით.</p>
--	--	--	---

ცხრილი 29: ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების კრიტერიუმები

<ul style="list-style-type: none"> <li>• ზეგავლენის სახე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეფასების კრიტერიუმები</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი (მაღალი) ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საშუალო ზეგავლენა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმნიშვნელო (დაბალი) ზეგავლენა</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>ისტორიულკულტურული მონუმენტების დაზიანება</u></li> </ul>	<p>მცირე მანძილის და შენობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო, არსებობს ალბათობა საერთაშორისო ან ადგილობრივი ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებისა.</p>	<p>მცირე მანძილის და მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო არსებობს ალბათობა ადგილობრივი ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანებისა.</p>	<p>დიდი მანძილის და მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეთოდების გამო ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ალბათობა ნაკლებ სავარაუდოა.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <u>არქეოლოგიური ძეგლებისათვის შემთხვევით მიყენებული ზიანი</u></li> </ul>	<p>საპროექტო ტერიტორიის ისტორიული დანიშნულების საფუძველზე, არსებობს არქეოლოგიური ძეგლების გვიან იდენტიფიკაციის ალბათობა.</p>	<p>არეალი საკმაოდ ანთროპოგენურია. ამიტომ, არქეოლოგიური მონუმენტების დადგენის ალბათობა ნაკლებია.</p>	

დანართი B. მონაწილე მხარეებთან შეხვედრის ოქმები

კურდღელაურის საბავშვო ბაღის მშენებლობა

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები

„კურდღელაურის საბავშვო ბაღის მშენებლობის“ პროექტისათვის მომზადებული გარემოს დაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის (საწყისი გარემოს დაცვითი შემოწმება (სგდშ) და სოციალური კვლევის ანგარიში (სკა)) განხილვის მიზნით“, 2020 წლის 19 აგვისტოს, 16:00 საათზე, გაიმართა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა სოციალურ ქსელში (ფეისბუკი), შეხვედრამდე, მერიის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ კომუნიკაციის კონსულტანტმა - [REDACTED] - ტელეფონის მეშვეობით შეატყობინა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა დაინტერესებული მხარეებისთვის ქვე-პროექტთან დაკავშირებულ დაგეგმილ ღონისძიებების გაცნობას, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელ ნეგატიურ გავლენებზე საუბარს და მათი პრევენციის გზებსა და საშუალებებზე მსჯელობას.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ადგილობრივები: [REDACTED], [REDACTED], [REDACTED]

თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი: [REDACTED]

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები: [REDACTED]

ADB კომუნიკაციის სპეციალისტი - [REDACTED]

პროექტის მენეჯერი - [REDACTED]

გარემოს დაცვის სპეციალისტი - [REDACTED]

შეხვედრა გახსნა კომუნიკაციის კონსულტანტმა [REDACTED], მოკლედ გააცნო შეხვედრის მიზანი და სიტყვა გადასცა შემდეგ მომხსენებელს - პროექტის მენეჯერს [REDACTED]. პროექტის მენეჯერმა შეხვედრის მონაწილეებს პროექტი და განსახორციელებელი სამუშაოების სპეციფიკა გააცნო; ასევე, დაწვრილებით ისაუბრა კურდღელაურის საბავშვო ბაღის დანიშნულებაზე. შემდეგ, სიტყვით გამოვიდა [REDACTED]. მან წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, კომპლექსური შემოწმების ანგარიშის სახით. [REDACTED] გა [REDACTED] რომ კომპლექსური შემოწმების ანგარიში უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას ითვალისწინებს. მან დამსწრეებს აჩვენა ფოტოები, რომლებიც ასახავდა სამშენებლო მოედანზე მისასვლელ გზებს და იმას, თუ როგორ უნდა მოძრაობდეს სამშენებლო ტექნიკა მშენებლობის პროცესში. მან შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ მშენებლობის დროს დამონტაჟდება სპეციალური ღობე. [REDACTED] განმარტა, თუ როგორ და რა ფორმით მიიღებენ და განიხილავენ საჩივრებს კურდღელაურის მერიასა და მგფ-ში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა MDF- ის გარემოს დაცვის სპეციალისტი [REDACTED] დამსწრეებს აცნობა პროექტისთვის მომზადებული IEE. მან მოკლედ განუმარტა საზოგადოებას ADB- სთვის გამოყენებული სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და წარმოდგენილი პროექტის მოთხოვნები. ასევე განიხილეს შემარბილებელი ღონისძიებები, რათა შემცირდეს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების პროცესში. აღნიშნა, რომ „საქართველოს გარემოზე ზემოქმედების კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროექტი არ საჭიროებს რაიმე სახის ნებართვას და შეთანხმებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან. განიხილა IEE / EMP სტრუქტურა და შინაარსი და მოკლედ განიხილა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შრომის მენეჯმენტის ღონისძიებები. მან აღნიშნა, რომ IEE / EMP წარმოადგენს კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. კონტრაქტორი ვალდებულია ზედმიწევნით განახორციელოს IEE / EMP- ით განსაზღვრული ზომები სოციალური და ბუნებრივი გარემოს დასაცავად.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, აუდიტორიას მიეცა შესაძლებლობა, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიეღო კითხვა-პასუხის სესიაში. მათ დასვეს შემდეგი კითხვები: [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] უპასუხეს ყველა დასმულ კითხვას.

კითხვა	პასუხი
იქნება თუ არა ბალისათვის უზრუნველყოფილი ხაზოვანი კომუნიკაცია?	თუ პროექტის არეალში უკვე არსებობს ხაზოვანი კომუნიკაცია, მაშინ შენობა მასზე დაერთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილი იქნება სათანადო კომუნიკაციებით.



შეხვედრის ამსახველი ფოტოები

